ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში

2022 წელი

# სარჩევი


ხედვა, მისია, ღირებულებები 5

თავმჯდომარის წერილი 6

შესავალი 8

მოკლე შეჯამება 10

**სტრატეგიული პრიორიტეტი 1. საარჩევნო კულტურა და განათლება** 12

მიზანი 1.1. ამომრჩევლის და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება 12

მიზანი 1.2. ეთიკური ნორმების განმტკიცება და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობა 18

**სტრატეგიული პრიორიტეტი 2. არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება** 21

მიზანი 2.1. საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა 21

მიზანი 2.2. უსაფრთხო საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 30

მიზანი 2.3. საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერ საფრთხეების აცილების მიზნით 32

**სტრატეგიული პრიორიტეტი 3. საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები** 33

მიზანი 3.1. საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება 33

მიზანი 3.2. ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით 37

მიზანი 3.3. საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა 39

მიზანი 3.4. საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა 41

**სტრატეგიული პრიორიტეტი 4. ინკლუზიური საარჩევნო გარემო** 43

მიზანი 4.1. საარჩევნო პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესება 43

მიზანი 4.2. თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 45

**სტრატეგიული პრიორიტეტი 5. მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება** 47

მიზანი 5.1. მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება 47

მიზანი 5.2. ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება 49

დასკვნა 52

# გამოყენებული ტერმინები/აბრევიატურები

| | |
|---|---|
| **საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია** | ცესკო, ცესკოს აპარატი, უსკო, უსკოს აპარატი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები |
| **ცესკო** | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია |
| **ცესკოს სტრუქტურული ერთეულები** | ცესკოს დეპარტამენტები |
| **სსკ** | საოლქო საარჩევნო კომისია |
| **სწავლების ცენტრი** | სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი |
| **სამუშაო ჯგუფი** | ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი |
| **სტრატეგიული გეგმა** | საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმა |
| **არმასი** | ელექტრონული პროგრამა „არჩევნების მართვის სისტემა“ |
| **შშმ პირები** | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები |
| **USAID** | აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო |
| **IFES** | საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი |
| **OSCE/ODIHR** | ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი |
| **NDI** | ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი |

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი თანამშრომლობისთვის მადლობას უხდიან:

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს (IFES), თანამშრომლობისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია მადლობას უხდის საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს განხორციელებული თანამშრომლობისთვის.

ასევე, მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციასა და მათ წარმომადგენლებს, რომლებმაც 2021 წლის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღეს ცესკოში შექმნილი მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში და წვლილი შეიტანეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში.

ცესკო მადლობას უხდის საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის თითოეულ თანამშრომელს პროფესიული სტანდარტებისა და საარჩევნო მოხელის ეთიკის ნორმების შესაბამისად შესრულებული სამუშაოსთვის.

## ხედვა, მისია, ღირებულებები

ჩვენი ხედვაა, როგორც ღია, კომპეტენტურმა და სანდო ინსტიტუციამ უზრუნველვყოთ დემოკრატიული საარჩევნო პროცესის განვითარება და განმტკიცება.

ჩვენი მისიაა საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა, თანაბრად ხელმისაწვდომი, ეფექტიანი, ინოვაციური სერვისების მიწოდება ამომრჩევლებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის, საარჩევნო პროცესების უსაფრთხოდ და სანდოობის საერთაშორისო სტანდარტით წარმართვა.

მისიის წარმატებით განსახორციელებლად გამოვხატავთ კორპორატიულ ერთგულებას შემდეგი ღირებულებებისადმი:

**დამოუკიდებლობა** – ჩვენ ვმოქმედებთ მხოლოდ კანონის ფარგლებში და გადაწყვეტილებებს ვიღებთ არჩევნებში ჩართული მხარეების ზეგავლენისგან დამოუკიდებლად;

**მიუკერძოებლობა** – ჩვენ ვიღებთ ობიექტურ და კანონზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს ყველა მხარის მიმართ;

**გამჭვირვალობა** – ჩვენ უზრუნველვყოფთ საქმიანობის ღიაობას, საჯაროობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საზოგადოებისთვის;

**პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება** – ჩვენ ვმოქმედებთ პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტით და კანონმდებლობით განსაზღვრული ინსტიტუციების გარდა რეგულარულად წარვუდგენთ საქმიანობის ანგარიშს საზოგადოებას;

**პროფესიული სანდოობა და ეთიკა** – ჩვენ საარჩევნო პროცესს წარვმართავთ კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მოხელეებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საარჩევნო პროცესის სანდოობას;

**ინოვაციურობა და სერვისზე ორიენტირება** – ჩვენ საარჩევნო პროცესში ვნერგავთ სიახლეებს საჭიროებების გათვალისწინებით და ჩართულ მხარეებს ვაწვდით ხარისხზე ორიენტირებულ მომსახურებას;

**ინკლუზიურობა და გენდერული თანასწორობა** – ჩვენ ხელს ვუწყობთ ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას და ვითვალისწინებთ გენდერული თანასწორობის ასპექტებს;

**პროაქტიულობა და ჩართულობა** – ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან სანდო, დემოკრატიული არჩევნების უზრუნველსაყოფად.

# თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო მეგობრებო და საარჩევნო ადმინისტრაციის პარტნიორებო,

2021 წელს, საარჩევნო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა საფუძველი დაუდო მნიშვნელოვან საარჩევნო რეფორმას და საარჩევნო ადმინისტრაცია ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. შემჭიდროებული ვადები რეფორმის განსახორციელებლად, კომისიების წევრთა რაოდენობის ზრდა და ლოგისტიკური სირთულეები, ცვლილებები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მენეჯმენტში, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში არჩევნების ორგანიზება, ასეთია იმ ამოცანების ჩამონათვალი რომელთა გადაწყვეტის მისიაც დაგვეკისრა.

მოხარული ვარ, რომ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ, როგორც განვითარებულმა და მდგრადმა ინსტიტუციამ წარმატებით გაართვა თავი გამოწვევებს და საერთაშორისო პარტნიორების შეფასების თანახმად არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ადმინისტრირება შეძლო.

როგორც იცით, მე აგვისტოში გავხდი ცესკოს თავმჯდომარე და რამდენიმე დღეში საარჩევნო პროცესის მართვის პასუხისმგებლობა დამეკისრა. საარჩევნო ადმინისტრაციის მართვის მოდელი, გამართული სტრუქტურა და პერსონალის კვალიფიკაცია ის სამი საყრდენი იყო, რომელთა მეშვეობითაც გადავჭერით ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები.

ახალ გამოწვევებს ჩვენ ვუპასუხეთ ახალი ხედვით, ტექნოლოგიური ინოვაციებით, უწყვეტი ინკლუზიური საინფორმაციო კამპანიით, გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტით, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების კომპეტენციის გაძლიერებით და ჩართული მხარეებისთვის ახალი სერვისების შეთავაზებით.

2021 წელს განვახორციელეთ სამი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სიახლე – №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში საპილოტე რეჟიმში გამოიცადა ხმის დათვლის ელექტრონული სისტემა, საარჩევნო უბნებზე მოხდა ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაცია და ამუშავდა საჩივრების ელექტრონულად წარდგენის პროგრამა. გარდა ამისა, ცესკოს სხდომები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და მათი ნახვა ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის მეტი გამჭვირვალობისთვის. ეს პრაქტიკა დღესაც გრძელდება და შესაძლებლობას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მაქსიმალურად იყოს ჩართული ჩვენს საქმიანობაში.

პარტიებსა და კანდიდატებს მაქსიმალურად გავუმარტივეთ რეგისტრაციის პროცესი, ხოლო საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ელექტრონული რეგისტრაციის შესაძლებლობა შევქმენით.

უზრუნველვყავით კენჭისყრის შედეგების ხელახლი გადათვლა უპრეცენდენტო რაოდენობით, კანონით განსაზღვრულ სავალდებულო რაოდენობაზე ბევრად დიდი ოდენობით. პირადად ჩემი ინიციატივით 315 საარჩევნო უბანზე მოხდა კენჭისყრის შედეგის გადათვლა.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის ტრენინგების მე-7 ეტაპი – ელექტრონული სასწავლო პროგრამა „კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის ტექნიკა“ განვახორციელეთ, რითიც კიდევ უფრო გავზარდეთ მათი კომპეტენცია.

საარჩევნო ადმინისტრაციის წინაშე მუდმივად დგას სერიოზული პრობლემა, რომელსაც შეუძლია საარჩევნო გარემოს მნიშვნელოვნად დაზიანება. ესაა დეზინფორმაციისა და ყალბი ინფორმაციის გავრცელება. ამ გამოწვევის საპასუხოდ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით (USAID) ცესკოში ქმედითი მექანიზმი – ინფორმაციის დაცულობის ცენტრი შევქმენით. ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობისა და ცესკოში ჩატარებული საინფორმაციო ბრიფინგების შედეგად საზოგადოებას გადამოწმებულ და სანდო ინფორმაციას ვაწვდიდით.

2020 წლის გამოცდილების გათვალისწინებით, დიდი ძალისხმევა გავწიეთ არჩევნების პანდემიის პირობებში, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ჩასატარებლად, რაც დადებითად შეაფასეს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიებმა და რაც მთავარია ამომრჩევლებმა.

გარდა დადებითი შეფასებებისა, დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშებში მოცემულია გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები. საარჩევნო ადმინისტრაცია გეგმავს კომპეტენციის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას, გაანალიზებას და შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებას.

საარჩევნო ადმინისტრაციამ, ტრადიციულად, მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია საარჩევნო პროცესში ეთიკური სტანდარტის დასამკვიდრებლად. პროფესიული ეთიკის კოდექსს ხელი მოაწერეს ყველა დონის საარჩევნო კომისიების წევრებმა. მივაღწიეთ შეთანხმებას ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებთანაც, თუმცა სამწუხაროდ, 2021 წელს, ვერ მოხერხდა ეთიკის კოდექსის გაფორმება პოლიტიკურ პარტიებს შორის.

მიუხედავად სიძნელეებისა, მიმაჩნია, რომ 2021 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით დემოკრატიული საარჩევნო პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით საარჩევნო ადმინისტრაცია უფრო გამჭვირვალედ, აქტიურად და კვალიფიციურად გააგრძელებს სამომავლო პროექტების განხორციელებასა და განვითარებას.

**გიორგი კალანდარიშვილი**
საქართველოს ცენტრალური
საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

# შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმის[1] შესრულების წლიურ ანგარიშს, რომელიც შემუშავებულია საარჩევნო ადმინისტრაციის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესის შესაბამისად ცესკოს სტრუქტურული ერთეულების, სწავლების ცენტრის, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი კვარტალური პროგრეს ანგარიშების საფუძველზე.

ანგარიშის მიზანია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების, აგრეთვე, საქმიანობების განხორციელების პროგრესის ჩვენება, მიღწევებისა და ხარვეზების გამოვლენა.

წლიური ანგარიშის შედგენის დროს გამოყენებული მეთოდოლოგიის თანახმად, შეფასდა ამოცანები და მათი შედეგის ინდიკატორების შესრულება, თუმცა, რიგ შემთხვევებში ამოცანის შედეგის ინდიკატორების გაზომვა არ იყო შესაძლებელი, რადგან ზოგიერთი საქმიანობა ობიექტური მიზეზების გამო საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა, ან შესაბამისი ამოცანის შესრულება მოიცავდა გრძელვადიან პერიოდს.

ვინაიდან, 2020 წელს გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი საქმიანობის შესრულება არ განაპირობებდა ამოცანის შედეგის გაზომვას საანგარიშო პერიოდში, 2021 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნა შეფასების დამატებითი ინსტრუმენტები. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიში უკეთ ზომავს საანგარიშო პერიოდში თითოეული ამოცანის შესრულებას, ზოგად პროგრესს და დასახული ამოცანის მიღწევის პროცესს. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულება სამოქმედო გეგმის ვადის ამოწურვის, 2021 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით შეფასდა. აგრეთვე, ზოგიერთი ინდიკატორის შესრულების შეფასებისთვის 2021 წლის მონაცემი შედარებულია 2020 წლის ანალოგიურ მონაცემთან, რაც საშუალებას გვაძლევს გავზომოთ პროგრესი საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის ამოქმედების წლიდან.

საარჩევნო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა საფუძველი დაუდო მნიშვნელოვან საარჩევნო რეფორმას და შეიცვალა საარჩევნო სისტემა.

შეიცვალა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი, რომლის შესაბამისად, ყველა დონის კომისიის შემადგენლობა 12-დან 17 წევრამდე გაიზარდა, გაიზარდა პარტიების წარმომადგენლობა და შესაბამისად მათი ჩართულობა საარჩევნო პროცესში. კომისიის წევრთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ტექნიკური და ლოგისტიკური ცვლილებები, რაც იყო ახალი გამოწვევა, რასაც ადმინისტრაციამ წარმატებით გაართვა თავი, საარჩევნო პერიოდში კომისიის ყველა წევრს მიეცა შესაბამისი და თანაბარი პირობები მუშაობისათვის.

საქართველოს პარლამენტმა აირჩია ცესკოს ახალი თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი, ასევე, ცესკოს ორი წევრი, ხოლო ცხრა უფლებამოსილმა პარტიამ დანიშნა კომისიის წევრები. პოლიტიკურ პარტიებს გაუჩნდათ ცესკოს მენეჯმენტში მონაწილეობის შესაძლებლობა. კერძოდ, პირველად, ცესკოს თავმჯდომარეს ჰყავს ორი მოადგილე, ერთ-ერთი აირჩა იმ პარტიების მიერ დანიშნული წევრებიდან, რომლებიც საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო უმრავლესობაში არ შედიან. თავმჯდომარის მოადგილედ პ/გ „ლელო“-ს მიერ დანიშნული წევრი იქნა არჩეული, რომელიც თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილია შეასრულოს თავმჯდომარის მოვალეობა.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებულმა ცვლილებებმა არ გამოიწვია სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის შეფერხება და არსებითი ცვლილება, რაც ხაზს უსვამს საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც საჯარო ინსტიტუციის მდგრადობას. ახალმა მენეჯმენტმა საქმიანობა წარმართა როგორც დაგეგმილი პროექტების განხორციელების, ისე ახალი მიდგომების დასანერგად.

1 ცესკოს 2020 წლის 28 დეკემბერის №386/2020 განკარგულება.

ახალი მენეჯმენტის არჩევისთანავე დაინიშნა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები. მიუხედავად ამისა, საარჩევნო ადმინისტრაციამ, ტრადიციულად, საარჩევნო პროცესის ადმინისტრირება ეფექტიანად განახორციელა. ცესკოს ახალი თავმჯდომარის ინიციატივით დაინერგა არაერთი სიახლე საქმიანობის გამჭვირვალობის, ამომრჩეველთა ინფორმირების, თანამდეროვე ტექნოლოგიების დანერგვის, საარჩევნო პროცედურების გამარტივების და საარჩევნო ადმინისტრატორების კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით.

ადმინისტრაციამ, 2020 წლის გამოცდილების გათვალისწინებით, დიდი ძალისხმევა გასწია პანდემიის პირობებში არჩევნების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პირობებში ჩასატარებლად, რაც დადებითად არის შეფასებული საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში.

2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში კანონით დადგენილ ვადაში წარედგინა საქართველოს პარლამენტს და განთავსდა ცესკო ოფიციალურ ვებგვერდზე. შესაბამისად, წინამდებარე წლიური ანგარიში არ მოიცავს დეტალურ ინფორმაციას 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

ანგარიში მოიცავს 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშს თან ერთვის განხორციელებული საქმიანობების აღწერა ცხრილის სახით.

# მოკლე შეჯამება

წინამდებარე წლიური ანგარიში მომზადებულია საარჩევნო ადმინისტრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება 2020-2023 წლების სტრატეგიულ გეგმას. სტრატეგიული გეგმა მოიცავს ხუთ პრიორიტეტს, 13 მიზანსა და 36 ამოცანას.

2021 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა 13 მიზნის 35 (2020 წელს – 33) ამოცანის გადაწყვეტას 83 (2020 წელს – 93) საქმიანობის განხორციელების გზით. გეგმა მოიცავდა აგრეთვე, ამოცანის შედეგის 42 (2020 წელს – 38) და საქმიანობის შესრულების 221 (2020 წელს – 216) ინდიკატორს.

### სტრატეგიული პრიორიტეტი 1. საარჩევნო კულტურა და განათლება

**ამომრჩევლისა და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირების მიზნით** სასწავლო პროგრამებისა და ინფორმირების კამპანიების ჩატარების შედეგად, 2020 წელთან შედარებით 4 786-ით გაიზარდა საარჩევნო ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდების რაოდენობა, მონაწილეთა მიერ შეფასდა ორი საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა და 2020-2021 წლებში 23 096-მდე გაიზარდა ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერად გამოყენების შესახებ სათანადო ცოდნით აღჭურვილი საჯარო მოხელეების რაოდენობა.

**ეთიკური ნორმების განმტკიცებისა და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობის მიზნით** ცესკოს ინიციატივით შემუშავდა და ხელი მოეწერა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების ქცევის (ეთიკის) კოდექსს და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. აღსრულების მექანიზმის არ არსებობის გამო პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის ხელმოწერა არ შედგა.

### სტრატეგიული პრიორიტეტი 2. არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება

**საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით** შეიქმნა ინფორმაციის დაცულობის ცენტრი, დაინერგა საჩივრების ელექტრონულად წარდგენის პროგრამა და შეფასდა შშმ პირთა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმატი, რომელიც დადებითად შეაფასა სპეციალურ ჯგუფების წევრთა 90-მა პროცენტმა.

**უსაფრთხო საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით** ცესკოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ჩატარებული სწავლების შედეგად კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოების შესახებ სწავლება ჩაუტარდა საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებს, ჩართული მხარეების წარმომადგენლებსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფების 879-მა თანამშრომელს.

**კიბერ საფრთხეების აცილებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით** კიბერუსაფრთხოებისა და კიბერჰიგიენის საკითხებზე ტრენინგი ჩაუტარდა საოლქო საარჩევნო კომისიების ყველა მუდმივ წევრს. ამაღლდა კიბერშეტევების აცილების პოტენციალი.

### სტრატეგიული პრიორიტეტი 3. საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები

**საარჩევნო სერვისების მოდერნიზაციისა და გაუმჯობესების მიზნით** საარჩევნო ოპერაციების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სტანდარტის დანერგვამ განაპირობა საარჩევნო სერვისების დროული, ხარისხიანი და ერთგვაროვანი მიწოდება და საარჩევნო ოპერაციების ოპტიმიზაცია. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებულმა სერვისებმა ამომრჩევლებსა და ჩართულ მხარეებს გაუმარტივა საარჩევნო პროცესებში მონაწილეობა.

**ტექნოლოგიების გამოყენებით ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარების მიზნით** საჩივრების ელექტრონულად წარდგენის პროგრამის დანერგვამ მნიშვნელოვნად გაუმარტივა პოლიტიკურ გაერთიანებებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საჩივრების წარდგენის პროცესი, რაც საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დადებითად შეფასდა. ცესკოს საინფორმაციო რესურსები და საკომუნიკაციო საშუალებები უზრუნველყოფდნენ მომხმარებლების ინფორმირებას მათთვის მისაღები ინსტრუმენტებით.

**საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით** საარჩევნო ადმინისტრაციამ წარადგინა საკანონმდებლო წინადადებები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაითვალისწინა საქართველოს პარლამენტმა. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში" შესული ცვლილებების შესაბამისად განახლდა საარჩევნო დავებისა და დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტი და გაუმჯობესდა საარჩევნო დავებისა და დისციპლინური სახდელების დაკისრების პრაქტიკა.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 4. ინკლუზიური საარჩევნო გარემო

**საარჩევნო პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესების მიზნით** ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ამომრჩევლების კენჭისყრაში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა საარჩევნო დოკუმენტაცია და საინფორმაციო მასალები. საარჩევნო უბნების შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით აღჭურვითა და სხვა სერვისების შექმნით საარჩევნო ადმინისტრაციამ ხელი შეუწყო შშმ პირების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას.

**თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით** მოქმედებდა გენდერული პორტალი, რომლის მომხმარებლები შეუფერხებლად იღებდნენ სხვადასხვა სტატისტიკურ ინფორმაციას გენდერულ ჭრილში.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 5. მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება

**მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით** საარჩევნო ადმინისტრაციამ წარმატებით გაიარა საერთაშორისო საკონტროლო აუდიტი და მიიღო არჩევნების მართვის სფეროში ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის განახლებული სერტიფიკატი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნით და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებით ხელი შეეწყო ინსტიტუციური ეფექტიანობის ზრდას.

**ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარების მიზნით** 2021 წლის განმავლობაში ტრენინგი გაიარა და პროფესიული კვალიფიკაცია აიმაღლა საარჩევნო ადმინისტრაციის 1 197-მა თანამშრომელმა, 36 პროცენტით გაიზარდა საარჩევნო ადმინისტრაციაში ცესკოსა და სწავლების ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეთა დასაქმების საერთო მაჩვენებელი.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 1. საარჩევნო კულტურა და განათლება

*ეფექტური და ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით ამომრჩეველთა და სხვა ჩართული მხარეების ინფორმირება, რაც განამტკიცებს საარჩევნო კულტურას, გაზრდის ამომრჩევლებისთვის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.*

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს ორ სტრატეგიულ მიზანს:

1. ამომრჩევლისა და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება;
2. ეთიკური ნორმების განმტკიცება და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობა.

### მიზანი 1.1. ამომრჩევლის და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის ოთხი საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა და ახალი საარჩევნო ცოდნით აღიჭურვა 4 786 ახალგაზრდა;
- ანგარიშში აისახა მონაწილეთა მიერ ორი საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის შეფასების ანალიზის შედეგები, რაც იძლევა პროგრამების ხარისხის კონტროლის შესაძლებლობას. პროგრამები მონაწილეების მიერ ძირითადად დადებითად შეფასდა;
- გაიზარდა ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერად გამოყენების შესახებ სათანადო ცოდნით აღჭურვილი საჯარო მოხელეების რაოდენობა და შეადგენს 23 096-ს, ხოლო კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ სათანადო ცოდნით აღჭურვილი პირების რაოდენობა – 1 559-ს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 4 ინდიკატორი | 11 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 41 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- ეფექტიანი საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრა და განხორციელება;
- ინოვაციური ინფორმირების კამპანიის განსაზღვრა და განხორციელება.

### ამოცანა 1.1.1. ეფექტიანი საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრა და განხორციელება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**

ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა ცოდნა საარჩევნო საკითხებზე ამაღლებულია

საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა გაზრდილია

მონაწილეთა უმეტესობის მიერ საგანმანათლებლო პროგრამა პოზიტიურად შეფასებულია

საარჩევნო საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად საარჩევნო ადმინისტრაცია და სწავლების ცენტრი წლების მანძილზე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ახორციელებენ საინფორმაციო-სასწავლო პროგრამებს. 2021 წელს ახალგაზრდებისთვის ჩატარდა ოთხი საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა, რომელთა მეშვეობით ახალი საარჩევნო ცოდნა მიიღო 4 786-მა პირმა.

თითოეულ საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის კონცეფციით განსაზღვრული იყო შემდეგი მიზნების მიღწევა:

- „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ – ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა;
- „საარჩევნო სამართალი“ – სტუდენტების პროფესიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;

- საარჩევნო განვითარების სკოლა – სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა და არჩევნების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში;
- ახალგაზრდული ბანაკები – არჩევნების პოპულარიზაცია, მონაწილეთა ინტერესის ამაღლება საარჩევნო პროცესებისადმი, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება მოქალაქეობრივი უფლებებისა და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესახებ.

პროექტების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/სწავლების ცენტრის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით მიღწეულია დაგეგმილი პროგრესი. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გამო პროგრამების განხორციელება შეფერხდა, თუმცა 2020 წლისგან განსხვავებით, როდესაც ვერ განხორციელდა პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი", ჩატარდა ყველა პროგრამა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, 2021 წელს სასწავლო კურსების ძირითად საკითხებს დაემატა შემდეგი სიახლეები: პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები; ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემა და დათვლა (საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს გამოცდილების გაზიარება).

დეტალური ინფორმაცია 2021 წელს განხორციელებული საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების შესახებ იხილეთ ცხრილში (1).

ცხრილი 1

| პროგრამის დასახელება | ასაკობრივი ჯგუფი | ინფორმაცია პროგრამის განხორციელების არეალისა და მონაწილეების შესახებ | მონაწილეთა რაოდენობა 2021 წელს | მონაწილეთა რაოდენობა 2020 წელს |
|---|---|---|---|---|
| არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი | საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეები | განხორციელდა 64 მუნიციპალიტეტის 244 საჯარო სკოლაში. აქედან, პირისპირ ტრენინგების ფორმატში 204 და ონლაინ – 40 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის | 4130 | 0 |
| საარჩევნო სამართალი | უნივერსიტეტის სტუდენტები | განხორციელდა ექვსი უნივერსიტეტის იურიდიული, სოციალური მეცნიერებებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებისთვის | 357 | 370 |
| საარჩევნო განვითარების სკოლა | 18-25 წელი | განხორციელდა ორ ეტაპად: პროექტის პირველი ეტაპი (24-28 თებერვალი) – დისტანციურად; პროექტის მეორე ეტაპი (22-30 ივლისი) ქ. თბილისისა და 18 მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის. | 141 | 578 |
| ახალგაზრდული ბანაკები | 21-29 წელი | განხორციელდა 5-24 ივლისის პერიოდში, დაბა ბაკურიანში | 168 | 148 |

სასწავლო კურსის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი დასრულების“ შემდეგ მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს მიღებული ცოდნა. მოსწავლეთა კომენტარებიდან ქვემოთ მოყვანილი ორი ამონარიდი გამოხატავს საერთო განწყობას.

*„ჩემი აზრით, ყველაზე ბევრის მომცემი ასეთი ტრენინგებია, რომლებიც გვასწავლიან და პრაქტიკაში გვანახებენ იმას, რაც გვჭირდება. ბევრ ინფორმაციასთან ერთად, ახლა უკვე ვიცი როგორ მივიღო არჩევნებში მონაწილეობა და ისიც, რა უნდა გავაკეთო თუ ოდესმე რეგისტრატორი ან ნაკადის მომწესრიგებელი ვიქნები“.*

*„ტრენინგის შედეგად შევისწავლე ბევრი რამ არჩევნების შესახებ, არჩევნების პრინციპები, დემოკრატიული არჩევნები, გავერკვიეთ არჩევნების მნიშვნელობაში და მჯერა, რომ თითოეული ამომრჩევლის როლი, ძალიან დიდია ქვეყნისთვის. ყველას აქვს სიტყვის და არჩევანის თავისუფლება განურჩევლად რელიგიისა და სქესისა“.*

სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული „ტრენინგში მონაწილე საჯარო სკოლების მოსწავლეების მიერ შევსებული შეფასების ფურცელების ანალიზი“.

გარდა ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი პროგრამებისა ცესკომ და სწავლების ცენტრმა ასევე განახორციელეს საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის. მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის დისტანციურად განხორციელებული საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა გაიარა:

- 14 დამკვირვებელი ორგანიზაციის 31-მა წარმომადგენელმა;
- 17 საარჩევნო სუბიექტის 43-მა წარმომადგენელმა;
- 31 მედია ორგანიზაციის 43-მა წარმომადგენელმა;
- 10 პენიტენციური დაწესებულების 11-მა წარმომადგენელმა.

აღნიშნული პროგრამების მონაწილეთა რაოდენობის სიმცირის გამო რთულია ვიმსჯელოთ საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების საარჩევნო ცოდნის ხარისხზე. რეგისტრირებული წარმომადგენლებისა და პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობის საშუალო თანაფარდობა (0.2 პროცენტი) და ინფორმაციის სიმცირე პროგრამების მონაწილეების საარჩევნო პროცესში ჩართულობის შესახებ არ გვაძლევს ჩატარებული სასწავლო კურსების გავლენის შეფასების საშუალებას.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობის ზრდას, 2020 წელთან შედარებით გაზრდილია 4 786-ით. 2020 და 2021 წლებში განხორციელებული თითოეული პროგრამის მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

- არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი – 4 130;
- საარჩევნო სამართალი – 727;
- საარჩევნო განვითარების სკოლა – 619;
- ახალგაზრდული ბანაკები – 316.

ხოლო, დეტალური ინფორმაცია მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობის შესახებ 2015-2021 წლების მიხედვით იხილეთ დიაგრამებში (1), (2), (3), (4).

დიაგრამა 1

## ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ-ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ XI-XII ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲙᲣᲛᲣᲚᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ




დიაგრამა 2

## ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ "ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ" ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲙᲣᲛᲣᲚᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ



დიაგრამა 3

**“საარჩევნო განვითარების სკოლა”
პროგრამის მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა წლების მიხედვით**




დიაგრამა 4

**“ახალგაზრდული ბანაკები”
პროგრამის მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა წლების მიხედვით**



საარჩევნო ადმინისტრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას მონაწილეების მიერ და შეფასების შედეგების ასახვას ანგარიშში. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად შეფასდა ორი პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ და სემესტრული სასწავლო პროგრამა "საარჩევნო სამართალი" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

- საინფორმაციო-სასწავლო კურსში „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ მონაწილე საჯარო სკოლების მოსწავლეების მიერ შევსებული შეფასების ფურცელების ანალიზის თანახმად, 2 525 გამოკითხული მოსწავლიდან (საერთო რაოდენობის 61%) სასწავლო კურსით კმაყოფილი იყო 97.5, მეტნაკლებად კმაყოფილი – 2.4 და უკმაყოფილო – 0.1 პროცენტი;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სემესტრულ სასწავლო პროგრამაში "საარჩევნო სამართალი" მონაწილე 198 სტუდენტის (საერთო რაოდენობის 55%) მიერ შეფასდა პროგრამის სამი კომპონენტი. პირველი კომპონენტი – სასწავლო პროგრამა (თეორიული/პრაქტიკული ნაწილი) 87-მა პროცენტმა უმაღლესი – ხუთი ქულით შეაფასა, 12-მა პროცენტმა – ოთხი ქულით, ერთმა პ როცენტმა – სამი ქულით, ხოლო 0.5-მა პროცენტმა – ორი ქულით. მეორე კომპონენტი – დამხმარე სახელმძღვანელო 95 პროცენტის აზრით იყო ინფორმატიული, ხოლო ხუთი პროცენტის აზრით – ნაკლებად ინფორმატიული. მესამე კომპონენტი – ლექტორის კომპეტენტურობა 94-მა პროცენტმა უმაღლესი, ხუთი ქულით შეაფასა, სამმა პროცენტმა – ოთხი ქულით, 0.5-მა პროცენტმა – სამი ქულით, ხოლო 2.5-მა პროცენტმა – ორი ქულით.

სწავლების ცენტრის მონაცემებით სემესტრული სასწავლო პროგრამა "საარჩევნო სამართალი" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის სრულად აკმაყოფილებს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილ სტანდარტს და პარტნიორი უნივერსიტეტების მოთხოვნებს.

**ამოცანა 1.1.2. ინოვაციური ინფორმირების კამპანიის განსაზღვრა და განხორციელება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

ინფორმირების კამპანიის პროცესში სიახლეები განსაზღვრული და განხორციელებულია

ინფორმირების კამპანიის პროცესში განხორციელებული სიახლეების შესაფასებლად ანგარიშის შედგენის დროს შესწავლილ იქნა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული ორი დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა – „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი – საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე“ და „კენჭისყრის დღის პროცედურები“, ასევე ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“.

დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო პროგრამები შემუშავდა 2020 წელს და განთავსდა ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე. სასწავლო პროგრამა განახლდა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი – საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე“ შემუშავდა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირების ცნობიერების ამაღლებისთვის. პროგრამა ეფუძნება მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკოს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და რვა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის გაფორმებულ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს. ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით, ფართოდ გაავრცელა ინფორმაცია პროგრამის შესახებ ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ 2020 წელს პროგრამა წარმატებით გაიარა და სერტიფიკატი მიიღო 15 838-მა საჯარო მოხელემ, 2021 პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა, წინა წლის შედეგებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, შემცირდა – რეგისტრაცია დამატებით გაიარა 9 174-მა მომხმარებელმა, ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 7 438-მა, ხოლო სერტიფიკატი მიიღო 7 258-მა საჯარო მოხელემ. სულ, პროგრამის დაწყებიდან პროგრამის წარმატებულად დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატის მფლობელთა კუმულატიური რაოდენობა შეადგენდა 23 096 საჯარო მოხელეს.

დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა „კენჭისყრის დღის პროცედურები“ შემუშავდა კენჭისყრის დღის პროცედურების საკითხებზე დაინტერესებული პირების ინფორმირებისთვის. პროგრამა ასევე წარმოადგენდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ცოდნის გადასამოწმებელ დამატებით რესურსს. 2021 წელს პროგრამის ინტეგრირებულ ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 2 157-მა პირმა, რომელთაგან ტესტირება წარმატებით გაიარა 1 466-მა. სულ, პროგრამის დაწყებიდან პროგრამის წარმატებულად დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატის მფლობელთა კუმულატიური რაოდენობა შეადგენდა 1 559 საჯარო მოხელეს.

გარდა დისტანციური სასწავლო პროგრამებისა, 2021 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა ფართომასშტაბიანი ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“. კამპანია 2017 წლიდან ეფექტიანად ხორციელდება და მის მდგრადობას განაპირობებს ყოველწლიური განახლება. კამპანიის ჩატარებამ საარჩევნო ადმინისტრაციას მისცა ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების, საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერების, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პოპულარიზაციის, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესების საშუალება.

კამპანიის ფარგლებში, 2021 წელს, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა და მოხალისეებმა ჩაატარეს 297 შეხვედრა თბილისსა და 63 მუნიციპალიტეტის ცენტრებსა და სოფლებში, მათ შორის 13 შეხვედრა – ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. კამპანიის ფარგლებში მომზადდა და სოციალურ ქსელებში განთავსდა ოთხი საინფორმაციო ვიდეორგოლი, აგრეთვე გავრცელდა ხუთი სახის საინფორმაციო ფლაერი, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. იუსტიციის სახლთან თანამშრომლობით, ქვეყნის მასშტაბით, ფლაერები ასევე გავრცელდა იუსტიციის სახლის 26 ფილიალში. №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში განხორციელებულ საპილოტე პროექტთან დაკავშირებით გავრცელდა ფლაერი ელექტრონული ხმის დათვლის აპარატის გამოყენების შესახებ.

**მიზანი 1.2. ეთიკური ნორმების განმტკიცება და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობა**

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- ცესკოს თავმჯდომარემ და 24 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქცევის (ეთიკის) კოდექსს;
- ცესკოს, სსკ-ების და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების უმრავლესობამ ხელი მოაწერა ეთიკის კოდექსს;
- მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დროს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ ეთიკური ნორმების დარღვევას შეეხებოდა მხოლოდ 12 საჩივარი. რაც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული საჩივრების საერთო რაოდენობის 1.7 პროცენტს შეადგენს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ამოცანა | ამოცანის შედეგის 3 ინდიკატორ | 5 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 15 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:

- პატივისცემასა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობა არჩევნებში ჩართულ მხარეებთან;
- საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმების პატივისცემის უზრუნველყოფა;
- ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ.

**ამოცანა 1.2.1. პატივისცემასა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობა არჩევნებში ჩართულ მხარეებთან**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

არჩევნებში ჩართულ მხარეებისთვის თანამშრომლობის მექანიზმები შემუშავებული და შეთავაზებულია

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციამ გააგრძელა წინა წლებში დაწყებული თანამშრომლობა საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან ეთიკური სტანდარტის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის, შესთავაზა ეთიკურ ნორმებზე შეთანხმება და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება. ცესკოს თავმჯდომარემ და 24 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქცევის (ეთიკის) კოდექსს. დოკუმენტი გულისხმობდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის შეთანხმებას პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის შესახებ.

თანამშრომლობის მეორე მექანიზმი, პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის შემუშავება და ხელმოწერა, რომელსაც ითვალისწინებდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმა აღსრულების მექანიზმის არ არსებობის გამო ვერ ამოქმედდა.

**ამოცანა 1.2.2. საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმების პატივისცემის უზრუნველყოფა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმები შემუშავებული, აღიარებული და დაცულია

2021 წელს ცესკომ და სწავლების ცენტრმა შეიმუშავა საინფორმაციო კურსი „სსკ-ების წევრთა ქცევის ზოგადი წესებისა და პროფესიული ეთიკის შესახებ“. საინფორმაციო კურსი გაიარა სსკ-ების 219 ხელმძღვანელმა პირმა. აღნიშნული კურსის გავლის შედეგად მათ გაუღრმავდათ ცოდნა პროფესიული ეთიკური სტანდარტის შესახებ.

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა ეთიკური ნორმების განსამტკიცებლად ცესკომ შეიმუშავა საარჩევნო კომისიების წევრთა ეთიკის კოდექსი. ეთიკის კოდექსს ხელი მოაწერა ცესკოს 16-მა წევრმა. დოკუმენტს ხელი არ მოაწერა პ/გ „გირჩის“ მიერ დანიშნულმა წევრმა. სსკ-ების 1 255 და საუბნო საარჩევნო კომისიების 63 105 წევრიდან ეთიკის კოდექსს მხოლოდ იშვიათ, ერთეულ შემთხვევაში არ მოეწერა ხელი, ძირითადად ადგილზე არყოფნის მიზეზით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამეტის არჩევნების დროს იმ საჩივრების რაოდენობამ, რომელიც ეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, შეადგინა 714, აქედან ეთიკური ნორმების დარღვევას შეეხებოდა მხოლოდ 12 საჩივარი, რაც საერთო რაოდენობის 1.7 პროცენტია. ეს მაჩვენებელი მიუთითებს საარჩევნო კომისიების წევრების მიერ პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვის მაღალ დონეს.

**ამოცანა 1.2.3. ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

არჩევნებში ძალადობისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილება, აღიარებული სტანდარტები გაზიარებულია და საჭიროებები განხილულია

არჩევნებში ძალადობისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილებისა და აღიარებული სტანდარტების შესწავლისა და გაზიარებისთვის დაგეგმილი იყო სამუშაო შეხვედრის ჩატარება საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან. 2021 წელს აღნიშნული შეხვედრა არ განხორციელდა, რადგან 2022 წლისთვის დაიგეგმა მასშტაბური საინფორმაციო კამპანია ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 2. არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება

*უსაფრთხო, სანდო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად არჩევნებში ჩართულ მხარეებთან ერთად ქმედითი მექანიზმების შემუშავება და განხორციელება.*

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს სამ სტრატეგიულ მიზანს:

- საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა;
- უსაფრთხო საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერ საფრთხეების აცილების მიზნით.

**მიზანი 2.1. საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა.**

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების ქმედითი მექანიზმის – ინფორმაციის დაცულობის ცენტრის შექმნა. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია პირველია საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის, რომელმაც ასეთი ინოვაციური პროექტი განახორციელა;
- ახალი სერვისის – საჩივრების ელექტრონულად წარდგენის პროგრამის დანერგვამ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საჩივრების წარდგენის პროცესი მნიშვნელოვნად გაუმარტივა;
- ცესკოში შექმნილი შშმ პირთა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფების წევრთა 90 პროცენტზე მეტმა დადებითად შეაფასა თანამშრომლობის ფორმატი;
- სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა გამოქვეყნებულ ანგარიშებში დადებითად შეაფასეს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისკენ მიმართული ძალისხმევა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ამოცანა | ამოცანის შედეგის 9 ინდიკატორ | 14 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 33 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ექვსი ამოცანის გადაჭრა:

- დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად მექანიზმების შემუშავება და განხორციელება;
- საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის განმტკიცება;
- გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გაძლიერება;
- არჩევნების შედეგების სწრაფი/დროული გასაჯაროების უზრუნველყოფა.

**ამოცანა 2.1.1. დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების მექანიზმი შექმნილია

დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების რაოდენობა

დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების მიზნით 2021 წელს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით (USAID) ცესკოში შეიქმნა ქმედითი მექანიზმი – ინფორმაციის დაცულობის ცენტრი.

ცენტრის სპეციალურად გადამზადებულმა მონიტორინგის ჯგუფმა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიით, გამოავლინა შემდეგი კრიტერიუმების დარღვევის ობიექტები: დეზინფორმაცია, დისკრედიტაცია, დისკრიმინაცია, ვიზუალური მანიპულაცია, სიძულვილის ენა, წყაროს ბუნდოვანება და ინფორმაციის გამოტოვება. ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების[2] და ჩატარებული ბრიფინგების შედეგად საზოგადოებას მიეწოდებოდა გადამოწმებული და სანდო ინფორმაცია საარჩევნო პროცესის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის დაცულობის ცენტრის მიმართ საზოგადოებაში ინტერესი მაღალი იყო, შესაბამისად, მედია აქტიურად აკვირდებოდა ცენტრის საქმიანობას. დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საჭიროება და ტექნიკური ხარვეზი, რაზეც ინფორმაციის დაცულობის ცენტრს მყისიერი რეაგირება ჰქონდა. სხვადასხვა მედია საშუალების წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე უფრო დეტალური გახდა ინფორმაციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის წარმოების აღწერილობა, დაზუსტდა გამოსაყენებელი ტერმინოლოგია.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დროს საარჩევნო ადმინისტრაციამ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გააძლიერა საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მცდარი ინფორმაციის გავრცელების პრევენციის მექანიზმი. საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ქცევის (ეთიკის) კოდექსის ხელმომწერმა მხარეებმა აიღეს საარჩევნო პროცესისადმი ნდობის დამაზიანებელი ინფორმაციის გაუვრცელებლობის ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის დაცულობის ცენტრის ანგარიშების თანახმად, ქცევის (ეთიკის) კოდექსის ხელმომწერი ორგანიზაციებიდან საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მცდარი ინფორმაცია გაავრცელა მხოლოდ ერთმა ორგანიზაციამ სამართლიანი არჩევნების საერთაშორისო საზოგადოებამ[3].

**ამოცანა 2.1.2. მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად მექანიზმების შემუშავება და განხორციელება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად შემუშავებული მექანიზმების რაოდენობა

მიუხედავად საარჩევნო ადმინისტრაციის ძალისხმევისა, კვლავ გამოწვევად რჩებოდა საარჩევნო პროცესზე მიკერძოებული დაკვირვების პრაქტიკა, რომელიც აზიანებდა ნდობას საარჩევნო პროცესებისა და ადმინისტრაციისადმი და ზოგ შემთხვევაში კამპანიური ხასიათი ჰქონდა. მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად საარჩევნო ადმინისტრაციამ ორი დამატებითი მექანიზმი შეიმუშავა.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა სასწავლო კურსის „სადამკვირვებლო ორგანიზაციების როლი საარჩევნო პროცესში" ფარგლებში დისტანციურად ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის დამკვირვებლად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ არჩევნებზე დაკვირვების საერთაშორისო სტანდარტებს, დამკვირვებლების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულაციებსა და საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეებს. ცესკოში რეგისტრირებული 100 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციიდან საინფორმაციო-სასწავლო შეხვედრას დაესწრო 14 ორგანიზაციის 31 წარმომადგენელი.

[2] https://cesko.ge/ge/informaciis-daculobis-centri/singleview/11030225-angarishebi

[3] სამართლიანი არჩევნების საერთაშორისო საზოგადოების მიერ გავრცელებული ინფორმაცია და ცესკოს პასუხი იხილეთ მედიის მონიტორინგის 25.09.2021 – 09.10.2021 პერიოდის ანგარიშში, გვ. 18, ბმულზე: https://cesko.ge/static/file/202112082609-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-25.09-09.10%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98.pdf

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის ცესკომ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით დანერგა ახალი ელექტრონული სერვისი – საჩივრების წარდგენის ონლაინ სისტემა . ცესკომ ონლაინ სისტემა[4] და ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით ჩატარებული განცხადება/საჩივრების ანალიზი გააცნო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს.

საჩივრების წარდგენის ონლაინ სისტემის დანერგვამ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საჩივრების წარდგენის პროცესი მნიშვნელოვნად გაუმარტივა. გარდა ამისა, ცესკოს გადაწყვეტილებით, ცესკოში საჩივრის განხილვისას საჩივრების ავტორს მიეცა დისტანციურად მონაწილეობის შესაძლებლობა, რითაც გართულებული პანდემიური სიტუაციის პირობებში, ცესკომ უზრუნველყო დაინტერესებული პირების მაქსიმალური ჩართულობა განხილვის პროცესში და მხარეების პოზიციების უკეთ წარმოჩენის შესაძლებლობა.

სტატისტიკური ინფორმაცია განცხადება/საჩივრების ანალიზის მონაცემების შესახებ მოცემულია 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების ანგარიშში[5].

## ამოცანა 2.1.3. საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის განმტკიცება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის ფორმატები მონაწილეთა მიერ მხარდაჭერილია

არჩევნების სანდოობის უზრუნველყოფა როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ისე საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა მხარის პასუხისმგებლობაა. აქედან გამომდინარე, ცესკო აქტიურად თანამშრომლობდა ყველა ჩართულ მხარესთან და ღია იყო ინიციატივებისთვის, რომლებიც ხელს უწყობდნენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და დემოკრატიული პროცესების განვითარებას. საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოიყენა ყველა შესაძლო საკომუნიკაციო არხი და პროაქტიულად მიაწოდა ინფორმაცია ჩართულ მხარეებს საარჩევნო პროცესისა და ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციამ გააგრძელა ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობა შშმ პირთა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფების, ტექნიკური სამუშაო ჯგუფისა (TWG) და „ვიმსჯელოთ ერთად“ ფორმატში. თანამშრომლობის აღნიშნული ფორმატები სარგებლობდა ჩართული მხარეების მხარდაჭერით, რასაც მიუთითებდა შეხვედრებში მათი წარმომადგენელების მონაწილეთა რაოდენობა. ჯგუფების შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა წევრთა რაოდენობის მინიმუმ ორი მესამედი. დეტალური ინფორმაცია შეხვედრების მონაწილეების შესახებ იხილეთ ცხრილში (2)

[4] საჩივრების წარდგენის ონლაინ სისტემა იხილეთ ბმულზე: https://elsachivrebi.cec.gov.ge/?fbclid=IwAR2t2SizuSurY1iTCE6zlN_lsYO5ZZGUX81TizL6x0-jVzpQPQKQw3p1ISU

[5] სტატისტიკური ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დროს ცესკოსა და სსკ-ებში შემოსული განცხადება /საჩივრების შესახებ იხილეთ არჩევნების შესახებ ანგარიშში, დანართები 7-13, გვ. 101-109, ბმულზე: https://cesko.ge/static/file/202112314733-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-2021.pdf

ცხრილი 2

| ფორმატის დასახელება | შეხვედრის თარიღი | ჯგუფის წევრთა რაოდენობა | მონაწილეთა რაოდენობა | მონაწილეთა საშუალო წილი ჯგუფის წევრთაგან |
|---|---|---|---|---|
| შშმ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი | 8 ივნისი | 35 | 19 | 64% |
| | 18 აგვისტო | | 25 | |
| | 7 დეკემბერი | | 24 | |
| ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი | 13 ივლისი | 29 | 17 | 63% |
| | 15 სექტემბერი | | 19 | |
| | 6 დეკემბერი | | 19 | |
| ტექნიკური სამუშაო ჯგუფი (TWG | 23 სექტემბერი | 28 | 25 | 90% |
| ვიმსჯელოთ ერთად | 6 აგვისტო | 30 | 20 | 67% |

ცესკოში შექმნილი შშმ პირთა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, 2021 წლის აპრილში, სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, Google forms-ის გამოყენებით, ჩატარდა სამუშაო ჯგუფების წევრების გამოკითხვა (გარდა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა). გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის 27-დან 20-მა (74%), ხოლო ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის 21-დან 14-მა (67%) წევრმა.

შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის გამოკითხულთა 90 პროცენტს მიაჩნდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია ითვალისწინებდა მათ რჩევებსა და წინადადებებს, ხოლო 100 პროცენტს მიაჩნდა, რომ საკმარის ინფორმაციას იღებდნენ სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის გამოკითხულთა 93 პროცენტს მიაჩნდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია ითვალისწინებდა მათ რჩევებსა და წინადადებებს, ხოლო 100 პროცენტს მიაჩნდა, რომ საკმარის ინფორმაციას იღებდნენ სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ აღნიშნული ფორმატები ეფექტიანი და მდგრადია. რაც შეეხება ტექნიკური სამუშაო ჯგუფსა (TWG) და „ვიმსჯელოთ ერთად“ ფორმატს, 2022 წლისთვის დაგეგმილია აღნიშნული ფორმატების გადახედვა და ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის ახალი ფორმატის შექმნა.

**ამოცანა 2.1.4. გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**

საარჩევნო ინფორმაცია პროაქტიულად გასაჯაროებულია, საჯარო ინფორმაცია გაცემულია და ანგარიშგება უზრუნველყოფილია

სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობა პოზიტიურად შეფასებულია

2021 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. ამ კუთხით, აღსანიშნავია, ცესკოს თავმჯდომარის ინიციატივით დანერგილი სიახლეები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის კიდევ მეტ საჯაროობასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ცესკოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება, ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაცია, საოლქო საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრების შესარჩევი გასაუბრებების ონლაინ ტრანსლირება.

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას ხელი შეუწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან გაფორმებულმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმმა, რომლის თანახმად აღნიშნული უნივერსიტეტების შესაბამისი კვალიფიკაციის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა მონაწილეობა მიიღეს  ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაციის დროს გადაღებული ვიდეომასალის google drive-ის პლატფორმაზე ატვირთვის პროცესში. ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაცია განხორციელდა 3 200 საარჩევნო უბანზე არჩევნების I ტურის დროს და 1 749 საარჩევნო უბანზე – II ტურის დროს. გადაღებული ვიდეომასალა უმოკლეს ვადაში (I ტურში მესამე დღეს, ხოლო II ტურში მეორე დღეს ნაცვლად დადგენილებით განსაზღვრული ხუთი დღისა) აიტვირთა google drive-ის პლატფორმაზე და ყველა დაინტერესებულ პირს 2021 წლის 31 დეკემბრამდე ქონდა ვიდეომასალის ნახვის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ ცესკოს თავმჯდომარის ინიციატივით, ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაციის პროცესს კოორდინირებას უწევდა ოპოზიციური პარტიის მიერ დანიშნული ცესკოს წევრი ივანე ნორაკიძე.

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალურ ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებზე, კენჭისყრის შედეგები ხელახლა გადაითვალა უფრო მეტ საარჩევნო უბანზე, ვიდრე კანონით იყო გათვალისწინებული. არჩევნების I ტურში განხორციელდა 812 გადათვლა, 360 – კანონით განსაზღვრული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, 195 – სსკ-ს ინიციატივით, საჩივრის საფუძველზე, ხოლო 257 – ცესკოს თავმჯდომარის ინიციატივით. II ტურში განხორციელდა 274 გადათვლა, 201 – კანონით განსაზღვრული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, 15 – სსკ-ს ინიციატივით, საჩივრის საფუძველზე, 58 – ცესკოს თავმჯდომარის ინიციატივით.

საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისკენ მიმართული ძალისხმევა დადებითად შეფასდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში.

> *„ცესკომ დასაფასებელი ძალისხმევა გაიღო თავისი სამუშაოს გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად. დადებითად უნდა შეფასდეს ცესკოს სხდომების და საოლქო საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრების შესარჩევი გასაუბრებების ონლაინ გაშუქება.“*
>
> ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) არჩევნების შეფასების გრძელვადიანი მცირე ზომის მისიის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასების ანგარიში (1-ელი სექტემბერი-5 ნოემბერი, 2021).

> *„ცესკო რეგულარულად ატარებს სხდომებს, რომლებიც ღიაა არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წარმომადგენლებისთვის, აკრედიტებული დამკვირვებლებისა და მედიისთვის, წელს პირველად კი სხდომები პირდაპირ ეთერში გადაიცა. ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები, და ასევე შესაბამისი შეხვედრების ოქმები, დროულად გამოქვეყნდა ონლაინ, რამაც პროცესის  გამჭვირვალობა გაზარდა“.*
>
> *„ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) სხდომები ღია იყო პროცესში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარისთვის და ამასთანავე, პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ისტორიაში პირველად, სხდომები პირდაპირი ეთერით გადაიცა. მხარეები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ ნდობის სხვადასხვაგვარ ხარისხს გამოხატავენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ პლურალისტურმა შემადგენლობამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებზე არსებით განხილვებს შეუწყო ხელი“.*
>
> საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო – მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი და ევროპის პარლამენტი.

2021 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციამ განახლებული კონცეფციის შესაბამისად ჩაატარა ეფექტური საინფორმაციო-საიმიჯო კამპანია, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქეების უკეთ ინფორმირებას საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ.

ახალი კონცეფციის შესაბამისად, განახლდა ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, რამაც ყველა დაინტერესებული მხარისთვის გაამარტივა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიება. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდის მომხმარებელთა 68 პროცენტმა დადებითად შეაფასა, როგორც მოსახერხებელი და მარტივი საძიებო სისტემა.

საარჩევნო ადმინისტრაციამ აქტიურად გამოიყენა სოციალური ქსელები საარჩევნო საკითხებით დაინტერესებული აუდიტორიის გასაზრდელად. სოციალური ქსელების მართვა ახალი მიდგომებით წარიმართა, რაც აისახა როგორც ვიზუალურ, ისე შინაარსობრივ მხარეზე. განახლდა ცესკოს ოფიციალური Facebook გვერდი. ცესკოს ახალი თავმჯდომარისთვის შეიქმნა ოფიციალური Facebook გვერდი, Twitter-ის გვერდი, რომლის გამომწერებს შორის ძირითადად იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და Instagram გვერდი იმ ასაკობრივ კატეგორიაზე წვდომის გაზრდის მიზნით, რომელთა ჩართულობა სხვა სოციალურ ქსელებში ნაკლები იყო.

ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციამ მოამზადა და სხვადასხვა საშუალებებით გაავრცელა 21 ვიდეო/აუდიო რგოლი, 80 საინფორმაციო ბანერი და 23 გარე ბანერი ქვეყნის მასშტაბით. საარჩევნო ადმინისტრაციაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესების შესახებ ჩატარდა 78 ბრიფინგი, მათ შორის განცხადებები საარჩევნო ადმინისტრაციის მიზანმიმართული დისკრედიტაციის ფაქტების შესახებ. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მომზადებული ყველა მასალა ითარგმნა და გავრცელდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რაც დადებითად შეფასდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში.

*„ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ტელევიზიითა და რადიოთი გაავრცელა ინფორმაცია ამომრჩეველთა საინფორმაციო პუნქტების შესახებ და ამომრჩევლებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო უმცირესობათა ენებზე“.*

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო – მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ფისი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი და ევროპის პარლამენტი.

*„ეთნიკური უმცირესობათა ინფორმირებულობისა და ჩართულობის გასაზრდელად, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ნათარგმნია ცესკოს მიერ მომზადებული ვიდეორგოლები და სახელმძღვანელო ინსტრუქციები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის. ინფორმირების კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ფარგლებში გავრცელდა ფლაერები ეთნიკური უმცირესობების ენებზე. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შეეძლოთ საარჩევნო საკითხებზე ინფორმაციის მიღება ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში დასაქმებული აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი ოპერატორებისგან. ცესკოს ვებგვერდზე შესაძლებელი იყო ამომრჩეველთა ერთიანი სიაში პირადი მონაცემების გადამოწმება, ასევე, ბანერში „ეთნიკური უმცირესობები“, საარჩევნო ინფორმაციის მიღება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე“.*

2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში სამართლიანი არჩევნების საერთაშორისო საზოგადოება (ISFED).

საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად საარჩევნო ადმინისტრაციამ ამომრჩევლებსა და ჩართულ მხარეებს პროაქტიულად წარუდგინა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შუალედური ანგარიში და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დასრულების შემდეგ საარჩევნო ადმინისტრაციამ სპეციალურად შექმნილ პორტალზე „საარჩევნო ხარჯები“ გამოაქვეყნა ინფორმაცია არჩევნების ხარჯების შესახებ[6]. ვინაიდან მეორე ტურის გამართვის გამო არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო დასრულებული, ინფორმაცია გამოქვეყნდა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ.

2021 წლის განმავლობაში, საარჩევნო ადმინისტრაციისგან საჯარო ინფორმაცია სხვადასხვა საკითხებზე 1 265-ჯერ იქნა მოთხოვნილი. აქედან, სრულად დაკმაყოფილდა – 1 244, ნაწილობრივ – ექვსი და უარი ეთქვა 15 მოთხოვნას. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული 15 გადაწყვეტილებიდან არც ერთი გადაწყვეტილება არ იქნა გასაჩივრებული.

**ამოცანა 2.1.5. საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გაძლიერება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**

საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატებისა და ინფორმირების მექანიზმების რაოდენობა

საერთაშორისო პარტნიორების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ დადებითი შეფასებების რაოდენობა

საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გასაძლიერებლად საარჩევნო ადმინისტრაციამ 2021 წელი გამოიყენა თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატი და შექმნა საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო მისიების, დიპლომატიურ წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების ინფორმირების მექანიზმები.

საერთაშორისო პარტნიორებთან გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებზე ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა განიხილეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა და დაგეგმილი სიახლეები. კერძოდ, საარჩევნო რეფორმის აღსრულება, საარჩევნო გარემო და არსებული გამოწვევები, მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დემოკრატიულ, გამჭვირვალე და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ჩატარება, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა, №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში დაგეგმილი საპილოტე პროექტი, ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაცია, კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი, საჩივრების განხილვის პროცესი, საარჩევნო კომისიების პროფესიული გადამზადება, ამომრჩეველთა და ჩართული მხარეების ინფორმირება, არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება, დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის გავრცელების პრევენციის მექანიზმები, ცესკოს ინოვაციური პროექტი „ინფორმაციის დაცულობის ცენტრი“.

2021 წლის განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 12 საერთაშორისო კონფერენციასა და სამუშაო შეხვედრაში, აგრეთვე სამ სადამკვირვებლო მისიაში. 11 შეხვედრა გაიმართა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების, ხოლო 16 შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით წარმატებით განხორციელებული საპილოტე პროექტის შესახებ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების ინფორმირებისთვის ინგლისურ ენაზე მომზადდა და გავრცელდა ელექტრონული გამოცემა „ელექტრონული ხმის მიცემის პილოტი საქართველოში – გზა წინსვლისკენ“.

6 დეტალური ინფორმაცია არჩევნების ხარჯების შესახებ იხილეთ ბმულზე: https://cesko.ge/ge/archevnebi/saachevno-khardjebi

2021 წელს საქართველოში დაგეგმილი იყო სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობის ტრადიციული ფორმატის – საარჩევნო ადმინისტრაციების მე-10 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, რომელიც ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო ვერ ჩატარდა.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საერთაშორისო პარტნიორებმა დადებითად შეაფასეს განხორციელებული საქმიანობა და ძალისხმევა.

*„ჩვენ ყოველთვის გვერდით ვუდგავართ საქართველოს დემოკრატიული განვითარების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. დემოკრატიზაციის მთავარ წყაროს კი სწორედ რომ ღია, სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ კუთხით, მინდა აღვნიშნო, ცენტრალური საარჩევნო კომისიის როლი, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს სანდო საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისთვის, განსაკუთრებით კი ამჟამინდელი მუნიციპალური არჩევნებისთვის. მინდა ხაზი გავუსვა, რომ საზოგადოების მხრიდან არჩევნებისადმი მაღალი ნდობის მისაღწევად ჩვენი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.*
*დარწმუნებული ვარ, 2 ოქტომბრის მუნიციპალურ არჩევნებში ჩაერთვება ბევრი საერთაშორისო დამკვირვებელი და საარჩევნო ადმინისტრაციისგან იქნება დიდი ხელშეწყობა ამ მიმართულებით. ლიეტუვას მოქალაქეები საარჩევნო მისიებით აუცილებლად ჩამოვლენ 2 ოქტომბრისთვის. საქართველოს მომავალი ეს არის ევროპის მომავალი“.*

ლიეტუვას ელჩი საქართველოში ანდრიუს კალინდრა.

*„მე ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული არჩევნები საქართველოსთვის იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი და სწორედ ეს არჩევნები გააძლიერებს ამომრჩეველთა და საერთაშორისო საზოგადოების ნდობას საარჩევნო ადმინისტრაციის და საარჩევნო პროცესების მიმართ“.*

გერმანიის ელჩი საქართველოში ჰუბერტ ქნირში

*“კარგი შეხვედრა მქონდა ცესკოს თავმჯდომარესთან. დადებითად შევაფასე ცესკოს გუნდის მუშაობა 2 ოქტომბრის არჩევნებზე და ყურადღება გავამახვილე საჩივრების და გამოწვევების გულდასმით განხილვის აუცილებლობაზე. ველოდებით მეორე ტურებს 30 ოქტომბერს და იმედი მაქვს მაღალი სტანდარტის შესაბამისად ჩატარდება”.*

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი

**ამოცანა 2.1.6. არჩევნების შედეგების სწრაფი/დროული გასაჯაროების უზრუნველყოფა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

არჩევნების წინასწარი შედეგები და შემაჯამებელი ოქმები შესაძლო უმოკლეს ვადებში გასაჯაროებული და ხელმისაწვდომია

არჩევნების წინასწარი შედეგებისა და შემაჯამებელი ოქმების უმოკლეს ვადაში გასაჯაროების უზრუნველსაყოფად საარჩევნო ადმინისტრაციამ მზადება დაიწყო 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების დასრულებისთანავე. არჩევნების შემაჯამებელი ოქმების ანალიზის საფუძველზე განახლდა არჩევნების წინასწარი შედეგების პროგრამა, რომელსაც დაემატა შემაჯამებელი ოქმების ანალიზის მოდული. განახლებული პროგრამის გამოყენებამ საარჩევნო ადმინისტრაციას მისცა ვებგვერდზე ბანერში „შედეგები 2021“, მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წინასწარი შედეგების შესაძლო უმოკლეს ვადაში გამოქვეყნების საშუალება.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმების გასაჯაროება ხდებოდა ცესკოში შემოსვლისთანავე და ხელმისაწვდომი იყო ყველა დაინტერესებული პირისთვის ვებგვერდზე https://results.cec.gov.ge/.

დეტალური ინფორმაცია 2012 წლიდან დღემდე ჩატარებული არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შესახებ იხილეთ ცხრილში (3).

ცხრილი 3

| № | არჩევნების დასახელება | საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | საარჩევნო სუბიექტების რაოდენობა | წინასწარი შედეგების გამოცხადების დრო საარჩევნო უბნების დახურვიდან |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2012 წლის პარლამენტის არჩევნები | **ორი საარჩევნო ბიულეტენი** პროპორციული/მაჟორიტარული | 16 | 8 საათი |
| 2 | 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნები | **ერთი საარჩევნო ბიულეტენი** | 23 | 4 საათი |
| 3 | 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები | **სამი საარჩევნო ბიულეტენი:** 2 პროპორციულ/მაჟორიტარული საკრებულოს არჩევნებისთვის; 1 მერის/გამგებლის არჩევნებისთვის | 24 | 6 საათი და 30 წუთი |
| 4 | 2016 წლის პარლამენტის არჩევნები | **ორი საარჩევნო ბიულეტენი:** პროპორციული/მაჟორიტარული 1 საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის (7 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი); 1 მერის და გამგებლის რიგგარეშე ა რჩევნებისთვის (5 საარჩევნო ოლქი). 4 საარჩევნო ბიულეტენი: 2 პარლამენტის არჩევნებისთვის; 2 აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის | 25 | 5 საათი და 30 წუთი |
| 5 | 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები / I ტური | **სამი საარჩევნო ბიულეტენი:** 2 მაჟორიტარულ/პროპორციული; 1 თვითმმართველი ქალაქის, ან თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისთვის | 27 | 7 საათი და 20 წუთი |
| 6 | 2017 წლის თვითმმართველი ქალაქის /თვითმმართველი თემის მერის არჩევნები/ II ტური | **ერთი საარჩევნო ბიულეტენი** | 12 | 4 საათი |
| 7 | 2018 წლის პრეზიდენტის არჩევნები /I ტური | **ერთი საარჩევნო ბიულეტენი** პრეზიდენტის არჩევნებისთვის; 1 საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის (2 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი) | 25 | 5 საათი |
| 8 | 2018 წლის პრეზიდენტის არჩევნები/ II ტური | **ერთი საარჩევნო ბიულეტენი** | 2 | 4 საათი |
| 9 | 2020 წლის პარლამენტის არჩევნები | **ორი საარჩევნო ბიულეტენი:** პროპორციული/მაჟორიტარული; ასევე, 1 ბიულეტენი საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის (4 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი); 1 მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებისთვის (5 საარჩევნო ოლქი). ოთხი საარჩევნო ბიულეტენი: 2 პარლამენტის არჩევნებისთვის; 2 აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის | 50 | 7 საათი და 25 წუთი |
| 10 | 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები | **სამი საარჩევნო ბიულეტენი:** 2 მაჟორიტარულ/პროპორციული; 1 თვითმმართველი ქალაქის, ან თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისთვის | 33 | 11 საათი |

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დროს ხმის დათვლის პროცესი შენელდა და წინასწარი შედეგების გამოცხადება დაგვიანდა ვიდეოფიქსაციის გამო, რაც აღინიშნა საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წინასწარ შეფასებაში.

*„3,200 საარჩევნო უბანს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის გასაზრდელად და გაყალბების ფაქტების
აღმოსაჩენად ვიდეო კამერები გადაეცათ, თუმცა ამ ზომამ ხმების დათვლის პროცესი შეანელა“.*

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო – მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი და ევროპის პარლამენტი.

**მიზანი 2.2. უსაფრთხო საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა**

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- საარჩევნო ადმინისტრაციამ კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოების შესახებ ცოდნა აუმაღლა საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებსა და ჩართული მხარეების წარმომადგენლებს;
- არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესის მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების მიზნით ცესკოს თავმჯდომარემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა გააფორმეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში სწავლება ჩაუტარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფების 879-მა თანამშრომელს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 2 ინდიკატორ | 5 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 9 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ წარმართვის უზრუნველსაყოფად ეფექტიანი მექანიზმების განხორციელება;
- სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის გაძლიერება არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარების მიზნით.

**ამოცანა 2.2.1. საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ წარმართვის უზრუნველსაყოფად ეფექტიანი მექანიზმების განხორციელება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტებისა და მათზე ეფექტური რეაგირების რაოდენობა

საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ წარმართვის მიზნით 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკომ და სწავლების ცენტრმა ჩაატარეს საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოება“. კურსი გაიარა საუბნო საარჩევნო კომისიების 9 495-მა ხელმძღვანელმა პირმა და პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი ცხრა საუბნო საარჩევნო კომისიის/სპეციალური ჯგუფის 82-მა წევრმა. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის სპეციალურად შეიქმნა სასწავლო ინსტრუქცია – არჩევნების უსაფრთხოება ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იყო ჩართული მხარეებისთვის ჩატარებულ ტრენინგებზე, რომელიც გაიარა 14 დამკვირვებელი ორგანიზაციის 31-მა, 17 საარჩევნო სუბიექტის 43-მა და სხვადასხვა მედიაორგანიზაციის 43-მა წარმომადგენელმა.

არჩევნების უსაფრთხოების საკითხი ცესკოს თავმჯდომარემ და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა განიხილეს შეხვედრებზე საქართველოში მოქმედი საელჩოების წარმომადგენლებთან და სახალხო დამცველთან.

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაგეგმილი იყო არჩევნების დროს გამოვლენილი საარჩევნო პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების აღრიცხვა და ანალიზი,

**ამოცანა 2.2.2. სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის გაძლიერება არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარების მიზნით**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

თანამშრომლობის მექანიზმი შექმნილია და პრევენციული ღონისძიებები განხორციელებულია

არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესის მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩასატარებლად საარჩევნო ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკოს თავმჯდომარემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმი შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით.

მემორანდუმის ფარგლებში, სწავლების ცენტრმა შსს აკადემიასთან პარტნიორობით, განახორციელა დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და უსაფრთხოება“. სწავლების დროს განხილულ იქნა საკანონმდებლო სიახლეები, უსაფრთხო საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის და კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანონმდებლო მექანიზმები. საინფორმაციო-სასწავლო კურსი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფების 879-მა თანამშრომელმა გაიარა.

**მიზანი 2.3. საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერ საფრთხეების აცილების მიზნით**

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- კიბერუსაფრთხოებისა და კიბერჰიგიენის საკითხებზე ცოდნა აუმაღლდა საოლქო საარჩევნო კომისიების ყველა მუდმივ წევრს.
- 2021 წელს განხორციელებული საქმიანობების შედეგად ამაღლდა კიბერშეტევების აცილების პოტენციალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 2 ინდიკატორ | 4 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 7 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გაუმჯობესება;
- კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესება.

**ამოცანა 2.3.1. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემუშავებული მექანიზმების რაოდენობა

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით 2021 წელს განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. მომზადდა სარეზერვო ასლების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი, განახლდა და საკანონმდებლო/მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დოკუმენტაცია.

**ამოცანა 2.3.2. კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესება.**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

აცილებული კიბერინციდენტების რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით შემოწმდა საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებული საინფორმაციო სისტემები. გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად განახლდა კიბერშეტევებისგან დამცავი სისტემების ლიცენზიები.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) პარტნიორობით, ონლაინ ფორმატში განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კიბერუსაფრთხოება და კიბერჰიგიენა“ საოლქო საარჩევნო კომისიების ყველა მუდმივი წევრისთვის.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 3. საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები

*საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ინოვაციური, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია.*

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს ოთხ სტრატეგიულ მიზანს:

1. საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება;
2. ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით;
3. საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა;
4. საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა.

### მიზანი 3.1. საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- საარჩევნო ოპერაციების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სტანდარტის დანერგვამ განაპირობა საარჩევნო სერვისების დროული, ხარისხიანი და ერთგვაროვანი მიწოდება და საარჩევნო ოპერაციების ოპტიმიზაცია;
- ცესკოს მიერ დანერგილი საარჩევნო სერვისები და საარჩევნო კომისიების კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი დადებითად არის შეფასებული საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებში;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებულმა სერვისებმა ამომრჩეველებსა და ჩართულ მხარეებს გაუმარტივა საარჩევნო პროცესებში მონაწილეობა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ამოცანა | ამოცანის შედეგის 5 ინდიკატორ | 11 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 30 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:

- საარჩევნო სერვისების მიწოდება, ოპერაციების სტანდარტიზაცია და ოპტიმიზაცია;
- საარჩევნო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გამარტივება ამომრჩეველებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის.

### ამოცანა 3.1.1. საარჩევნო სერვისების მიწოდება, ოპერაციების სტანდარტიზაცია და ოპტიმიზაცია

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**

ერთგვაროვანი მიდგომები დანერგილია

სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ საარჩევნო სერვისები დადებითად შეფასებულია

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების ორგანიზების დროს საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოიყენა წარმატებული პრაქტიკა და დაეყრდნო 2020 წლის არჩევნების დროს დანერგილ საარჩევნო ოპერაციების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სტანდარტს, რამაც განაპირობა საარჩევნო სერვისების დროული, ხარისხიანი და ერთგვაროვანი მიწოდება და საარჩევნო ოპერაციების ოპტიმიზაცია.

ცესკოდან სსკ-ებისთვის, ხოლო სსკ-ების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის საარჩევნო დოკუმენტაციის და ინვენტარის გადაცემის პროცესის სტანდარტიზაციამ შეამცირა ლოგისტიკური უზრუნველყოფის ხარვეზები, ასევე დაზოგა დრო და ადამიანური რესურსები.

საარჩევნო ადმინისტრაციამ მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დროს ყველა საარჩევნო უბანი აღჭურვა საჭირო ინვენტარით, მათ შორის სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებებით.

ადმინისტრაციამ დიდი ძალისხმევა გასწია პანდემიის პირობებში არჩევნების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პირობებში ჩასატარებლად, რაც დადებითად არის შეფასებული საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წინასწარ ანგარიშში.

> *„საარჩევნო ადმინისტრაციამ დღემდე კანონით განსაზღვრული ვადები დაიცვა და COVID-19-ის პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგოდ აუცილებელი შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით არჩევნებისთვის მზადების ტექნიკურ ასპექტებს ეფექტურად გაართვა თავი“.*
>
> საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო – მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი და ევროპის პარლამენტი.

კენჭისყრის დღის ორგანიზების პროცესი დადებითად წარმოჩინდა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISFED) მიერ კენჭისყრის დღეს ჩატარებული ხმების პარალელური დათვლის (PVT) შედეგების ანგარიშში. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი ფაქტები:

- საარჩევნო უბნების 99 პროცენტზე ამომრჩევლებმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს სათანადო დოკუმენტაციით. მაჩვენებელი მცირედ გაუმჯობესებულია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესაბამის მონაცემთან შედარებით (97.4%);
- საარჩევნო უბნების 98.8 პროცენტზე მარკირება მოწმდებოდა კანონით დადგენილი წესისამებრ, რაც სტატისტიკურად არ განსხვავდება 2017 წლის არჩევნების მონაცემისგან (97.3%);
- საარჩევნო უბნების 98.6 პროცენტზე ბიულეტენები სათანადოდ მოწმდებოდა ხელმოწერითა და ბეჭდით. ეს მონაცემი სტატისტიკურად არ განსხვავდება 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების მონაცემისგან (99.3%);
- საარჩევნო უბნების 98.8 პროცენტზე ამომრჩეველებს ყოველთვის უკეთდებოდათ მარკირება, რაც 2017 წლის არჩევნების მონაცემის თითქმის იდენტურია/მსგავსია (99.7%);
- საარჩევნო უბნების 97.8 პროცენტზე ხმის მიცემის ფარულობა ყოველთვის დაცული იყო. ეს მაჩვენებელი სტატისტიკურად არ განსხვავდება 2017 წლის არჩევნების მონაცემისგან (98%);
- საარჩევნო უბნების 98.7 პროცენტზე არ დაფიქსირებულა ფიზიკური ძალადობის, ზეწოლისა და მუქარის ფაქტები, რაც 2017 წლის არჩევნების მონაცემისგან ასევე არ განსხვავდება (99%).

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია წლების მანძილზე კენჭისყრის დღის პროცედურების ადმინისტრირებას ახორციელებს პროფესიულად და მაღალი სტანდარტის დაცვით.

ცესკომ კანონით განსაზღვრულ ვადებში მოამზადა და საქართველოს პარლამენტს წარუდგინა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში[7]. ასევე, ანგარიში წარედგინა საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებს და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის, სწავლების ცენტრმა შეიმუშავა საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგების კონცეფცია, რომლის შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ჩატარდა ინსტრუქტაჟი. სულ ჩატარდა 11 279 სატრენინგო სესია. გადამზადება გაიარა სსკ-ების 1 093-მა წევრმა, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, ახალი კონცეფციის შესაბამისად, სწავლება ექვს ეტაპად ჩატარდა (2020 წელს იგივე სახის ტრენინგები ოთხ ეტაპად ჩატარდა). სწავლების პროცესში ჩართულმა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების საერთო რაოდენობამ 47 350 შეადგინა. დამატებით, საპილოტე რეჟიმში, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის განხორციელდა ტრენინგების მე-7 ეტაპი – ელექტრონული სასწავლო პროგრამა „კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის ტექნიკა“.

[7] მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის ანგარიში იხილეთ ბმულზე: https://cesko.ge/static/file/202112314733-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-2021.pdf

ტრენინგებს დააკვირდა ორი საერთაშორისო და 18 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია. ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ დანერგილი სიახლეები შემუშავდა დამკვირვებელი ორგანიზაციების 2020 წლის არჩევნების ანგარიშებში ასახული რეკომენდაციების შესაბამისად და მიზნად ისახავდა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიების მუშაობის ეფექტიანობის ზრდას, ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის შესაბამისი სერვისის გაუმჯობესებას. რაც დადებითად შეფასდა საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ.

> *„საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები, პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრების დასწრების სხვადასხვაგვარი ხარისხის მიუხედავად, კარგად ორგანიზებული იყო".*
>
> საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო – მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი და ევროპის პარლამენტი.

ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფდა ცესკოს კონტაქტ-ჰაბი. წინა წლებისგან განსხვავებით, კონტაქტ-ჰაბში განახლებული მიდგომით იმართებოდა, ონლაინ კომუნიკაცია „ფეისბუქის" მესინჯერის მეშვეობით ხორციელდებოდა. 2021 წლის განმავლობაში კონტაქტ-ჰაბის სხვადასხვა მომსახურებით ამომრჩევლებმა 30 077-ჯერ ისარგებლეს. კონტაქტ-ჰაბში შემოსული კითხვები ძირითად ეხებოდა შემდეგ საკითხებს: ამომრჩეველთა ერთიანი სია, საკანონმდებლო სიახლეები, საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა. სტატისტიკური ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ იხილეთ დიაგრამაზე (5).

დიაგრამა 5




აღსანიშნავია, რომ კონტაქტ-ჰაბის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევაში მონაწილეთა 95 პროცენტმა მიღებული სერვისი დადებითად შეაფასა.

## ამოცანა 3.1.2. საარჩევნო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა იძლევა საარჩევნო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას და პასუხობს ახალ გამოწვევებსა და მოთხოვნებს

საარჩევნო ადმინისტრაციის გამართულმა ინფრასტრუქტურამ განაპირობა საარჩევნო ოპერაციების ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობა.

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად შეიცვალა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი, რომლის შესაბამისად, ყველა დონის კომისიის შემადგენლობა 12-დან 17 წევრამდე გაიზარდა. კომისიის წევრთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ტექნიკური და ლოგისტიკური ცვლილებები, რაც იყო ახალი გამოწვევა, რასაც ადმინისტრაციამ წარმატებით გაართვა თავი, საარჩევნო პერიოდში კომისიის ყველა წევრს მიეცა შესაბამისი და თანაბარი პირობები მუშაობისათვის. აგრეთვე, დაინერგა ცესკოს სხდომებზე კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ქვემდგომი კომისიის წევრთა არჩევების ელექტრონული (ხმის მიცემის) პროგრამა.

სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში: მოწესრიგდა ელექტროგაყვანილობის, ვენტილაცია-კონდიცირების, გათბობის სისტემა და შენობების სახურავები. ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში მოეწყო კანცელარია. სსკ-ების შენობებში მოეწყო უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi ქსელი), შემოწმდა და ტექნიკურად გაიმართა ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა.

კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საუბნო საარჩევნო კომისიები განთავსდნენ შესაბამის შენობებში, რაც იძლეოდა კენჭისყრის დღის პროცედურების შეუფერხებლად განხორციელების საშუალებას. შენობების შერჩევის დროს გათვალისწინებული იყო ვენტილაციის შესაძლებლობა და კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლით განსაზღვრული ყველა სხვა მოთხოვნა.

საქართველოს მასშტაბით, 73 საარჩევნო ოლქში შემავალი 3 664 საარჩევნო უბნიდან, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო 1 107 საარჩევნო უბანი (საერთო რაოდენობის 30 %), მათ შორის მარტივი ადაპტაციით – 256 (ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობის 23 %), ხოლო პანდუსით – 851 (ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობის 77 %).

2021 წელს ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ორი გამოცდა. საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურამ რეგისტრაციის დროს მოქალაქეებს შესაძლებლობა მისცა გამოცდის ჩაბარების ადგილად აერჩიათ თბილისის ან ქუთაისის საგამოცდო ცენტრი. საგამოცდო პროცესი წარიმართა პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის დაცვით. შექმნილი შესაძლებლობით სარგებლობის და გამოცდის ჩაბარების მსურველთა რაოდენობამ შეადგინა 3 587, ხოლო გამოცდაზე გამოცხადდა 1 384 (რეგისტრირებულთა 38%) მონაწილე. გამოცდა წარმატებით ჩააბარა 337-მა (მონაწილეთა 24%) მონაწილემ. 2020 წელს დარეგისტრირდა 1 097 მსურველი. გამოცდაზე გამოცხადდა 455 (რეგისტრირებულთა 42%) მონაწილე. გამოცდა წარმატებით ჩააბარა 135-მა (მონაწილეთა 30%) მონაწილემ.

**ამოცანა 3.1.3. საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გამარტივება ამომრჩეველებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**

საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეები გამოხატავენ კმაყოფილებას შეთავაზებული გამარტივებული სერვისების მიმართ

ჩართული მხარეებისთვის შეთავაზებული სერვისების რაოდენობა

საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გამარტივების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციამ ამომრჩევლებსა და ჩართულ მხარეებს შესთავაზა სხვადასხვა სერვისი.

ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის გაუმჯობესებამ საარჩევნო რეგისტრაციის პროცესი გაუმარტივა საარჩევნო სუბიექტებს, საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებსა და მედიის წარმომადგენლებს, ხოლო საარჩევნო ადმინისტრაციისთვის დაზოგა დრო და ადამიანური რესურსი.

პარტიული სიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების სარეგისტრაციო დოკუმენტაციაზე დადგენილი ხარვეზების ელექტრონულად (ელექტრონული ფოსტით) შევსების შესაძლებლობამ საარჩევნო სუბიექტებს გაუმარტივა კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი, რაც მნიშვნელოვანი იყო გართულებული პანდემიური სიტუაციის პირობებში.

ცესკოს დადგენილებით სიის რეგისტრაციის შენარჩუნებამ კანდიდატურების მოხსნის შემთხვევაში სიაში მყოფი კანდიდატების რაოდენობის განსაზღვრულ მინიმუმს ქვემოთ ჩამოსვლისას საარჩევნო სუბიექტებს გაუმარტივა პარტიული სიების წარდგენის პროცესი.

ცესკოს დადგენილებით იმ კანდიდატთა რეგისტრაციის აღდგენამ, რომლებმაც პირადობის მოწმობის ასლი ან/და ფოტოსურათი ვერ წარმოადგინეს საარჩევნო სუბიექტებს გაუმარტივა კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი.

2021 წლის განმავლობაში, პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებიდან გადმოცემული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ექვსჯერ განახლდა ამომრჩეველთა ერთიანი სია.

ამომრჩეველთა სიის გადამოწმების შესაძლებლობა ქონდათ პოლიტიკურ პარტიებს, დამკვირვებელ ორგანიზაციებსა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს. ამ შესაძლებლობით ისარგებლა 25-მა პოლიტიკურმა პარტიამ, 10-მა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ და ხუთმა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა.

ამომრჩევლებს ჰქონდათ ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემების, ასევე საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის გადამოწმების შესაძლებლობა. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ამომრჩევლებისთვის ამომრჩეველთა ერთიანი სია მისაწვდომი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისებით ამომრჩევლებმა 5 196 304-ჯერ ისარგებლეს.

**მიზანი 3.2. ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით**

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- ცესკოს მიერ ახალი სერვისის – საჩივრების ელექტრონულად წარდგენის პროგრამის დანერგვამ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საჩივრების წარდგენის პროცესი მნიშვნელოვნად გაუმარტივა, რაც საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დადებითად შეფასდა;
- საინფორმაციო რესურსებისა და საკომუნიკაციო საშუალებების კვლევის მიხედვით მომხმარებლებისთვის ცესკოს საინფორმაციო რესურსები ადვილად გამოსაყენებელია, ინფორმაცია საკმარისია და მისი მოძიება მარტივია.

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 2 ინდიკატორ | 2 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 5 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:
- ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება;
- საინფორმაციო რესურსებისა და საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტიანად გამოყენება.

**ამოცანა 3.2.1. ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

მომხმარებელთა მიერ ელექტრონული სერვისები პოზიტიურად შეფასებულია

ცესკომ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით დანერგა ახალი სერვისი – საჩივრების ელექტრონულად წარდგენის პროგრამა. აღნიშნული ელექტრონული სერვისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური და პროცედურული სიახლე იყო, რომლითაც საარჩევნო ადმინისტრაციამ შესაძლებლობა მისცა პოლიტიკურ გაერთიანებებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, მატერიალური სახით საჩივრების წარმოდგენასთან ერთად, ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრები ასევე წარედგინათ ელექტრონული ფორმით, რამაც საჩივრების წარდგენის პროცესი მნიშვნელოვნად გაამარტივა.

ცესკოს გადაწყვეტილებით, ცესკოში საჩივრის განხილვისას საჩივრების ავტორს მიეცა დისტანციურად მონაწილეობის შესაძლებლობა, რითაც გართულებული პანდემიური სიტუაციის პირობებში, ცესკომ უზრუნველყო დაინტერესებული პირების მაქსიმალური ჩართულობა განხილვის პროცესში და მხარეების პოზიციების უკეთ წარმოჩენის შესაძლებლობა.

საჩივრების ელექტრონულად წარდგენის პროგრამით ისარგებლა 246-მა მომხმარებელმა და ონლაინ წარადგინა 559 საჩივარი, რაც საერთო რაოდენობის 19 პროცენტი იყო. ახალი ელექტრონული სერვისის დანერგვა დადებითად შეფასდა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ.

*„ცენტრალური საარჩევნო კომისია, გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, პასუხისმგებელია საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში შეტანილი საჩივრებისა და სარჩელების მონაცემთა ბაზის საჯარო ხელმისაწვდომობაზე. ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად, საჩივრების შეტანა შესაძლებელი იყო როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით ონლაინ პლატფორმაზე დარეგისტრირებულ კანდიდატების და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ, ზოგიერთი სხდომა კი ონლაინ რეჟიმში/დისტანციურად ჩატარდა, რამაც ხელი შეუწყო სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობას“.*

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო – მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი და ევროპის პარლამენტი.

*„უმეტესობისთვის უახლესმა საკანონმდებლო ცვლილებებმა საჩივრების წარდგენის და დავების განხილვის პროცესი უფრო ხელმისაწვდომი გახადა და მათ საჩივრების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა პირველად მისცა“.*

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) არჩევნების შეფასების გრძელვადიანი მცირე ზომის მისიის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასების ანგარიში (1-ელი სექტემბერი-5 ნოემბერი, 2021).

**ამოცანა 3.2.2. საინფორმაციო რესურსებისა და საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტიანად გამოყენება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

მომხმარებელთა კმაყოფილება გაზრდილია

2021 წელს განხორციელდა საინფორმაციო რესურსებისა და საკომუნიკაციო საშუალებების შეფასება. შეფასება განახორციელა სამუშაო ჯგუფმა, რომელმაც შეისწავლა მომხმარებელთა კმაყოფილება ცესკოს ოფიციალური ვებგვერდების www.cesko.ge; voters.cec.gov.ge; map.cec.gov.ge; sachivrebi.cec.gov.ge მიმართ.

აღნიშნული ვებგვერდები დადებითად შეაფასეს მომხმარებელთა შემდეგმა რაოდენობამ:

- ვებგვერდი **www.cesko.ge** – 68 პროცენტმა;
- ვებგვერდი **voters.cec.gov.ge** – 83-მა პროცენტმა;
- ვებგვერდი **map.cec.gov.ge** – 69 პროცენტმა;
- ვებგვერდი **sachivrebi.cec.gov.ge** – 74-მა პროცენტმა;
- ცესკო ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდი –56-მა პროცენტმა.

კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომხმარებლებისთვის ცესკოს საინფორმაციო რესურსები ადვილად გამოსაყენებელია, ინფორმაცია საკმარისია და მისი მოძიება მარტივია.

**მიზანი 3.3. საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა**

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- საარჩევნო ადმინისტრაციამ, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შესული ცვლილებების შესაბამისად განაახლა საარჩევნო დავებისა და დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტი;
- საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადებების მნიშვნელოვანი ნაწილი გაითვალისწინა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 2 ინდიკატორ | 4 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 11 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- საარჩევნო სისტემის, საკანონმდებლო სიახლეების იმპლემენტაცია და საკანონმდებლო ჩარჩოს ერთგვაროვანი აღქმის ხელშეწყობა;
- საარჩევნო პროცედურების გამარტივება და ტექნიკურ/პროცედურული საკანონმდებლო საკითხების დახვეწა. საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა მეორე ამოცანის განხორციელებას არ ითვალისწინებდა.

**ამოცანა 3.3.1. საარჩევნო სისტემის, საკანონმდებლო სიახლეების იმპლემენტაცია და საკანონმდებლო ჩარჩოს ერთგვაროვანი აღქმის ხელშეწყობა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩართულ მხარეებთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებების ერთგვაროვნების პრაქტიკა არ სახელდება პრობლემად და გამოწვევად ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში

2021 წელს, საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშესაწყობად საარჩევნო ადმინისტრაციამ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შესული ცვლილებებიდან გამომდინარე განაახლა საარჩევნო დავებისა და დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტი.

განახლებული დოკუმენტის საფუძველზე სსკ-ების ხელმძღვანელმა და იურისტებმა გაიარეს ტრენინგი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული საარჩევნო დავები, დისციპლინური სახდელების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. ასევე, საოლქო საარჩევნო კომისიების იურისტებისთვის ჩატარდა ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა საარჩევნო დავებთან დაკავშირებული სიახლეები და საარჩევნო დავების წარმოების საკითხები. ტრენინგი ჩატარდა სამ ეტაპად და დაესწრო სსკ-ების 149 ხელმძღვანელი პირი და 70 იურისტი.

საკანონმდებლო სიახლეების იმპლემენტაციის მიზნით სასწავლო პროგრამა ჩატარდა აგრეთვე 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 1 093 წევრისთვის და დისტანციური შეხვედრები გაიმართა 14 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 31 და 17 საარჩევნო სუბიექტის 43 წარმომადგენლისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ერთგვაროვნება არ სახელდება პრობლემად, საჩივრების განხილვისთვის დაუშვებლობის პროცესი კვლავ სახელდება გამოწვევად.

> *„პროცედურულ საფუძვლებზე საჩივრების დაუშვებლობის პროცენტულმა მაჩვენებელმა წინა არჩევნებთან შედარებით იკლო, თუმცა ეს მაჩვენებელი მაინც მაღალი რჩება“.*

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) არჩევნების შეფასების გრძელვადიანი მცირე ზომის მისიის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასების ანგარიში (1-ელი სექტემბერი-5 ნოემბერი, 2021).

**ამოცანა 3.3.2. საარჩევნო პროცედურების გამარტივება და ტექნიკურ/პროცედურული საკანონმდებლო საკითხების დახვეწა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი წინადადებები კანონმდებლობაში ასახულია

საარჩევნო პროცედურების გამარტივებისა და ტექნიკურ/პროცედურული საკანონმდებლო საკითხების დახვეწის მიზნით 2021 წელს განხორციელდა 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების დროს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების შესწავლა და ანალიზი. ამ ანალიზის და სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესატანი ცვლილებები და საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

წარდგენილი წინადადებებიდან საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა საკითხები, რომლებიც ეხებოდა ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მოქმედი დროებითი ნორმის ვადის გაგრძელებას, პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებული სოციალურად დაუცველებისთვის დახმარების შენარჩუნებას, საარჩევნო პერიოდში ცესკოს სწავლების ცენტრისთვის გამარტივებული შესყიდვების უფლებას და სხვა ტექნიკურ-პროცედურულ საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, ცესკომ, თავმჯდომარის მოადგილის გიორგი სიორიძის რეკომენდაციით, შეცვალა კენჭისყრის კაბინის სახე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქ თბილისის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის.

**მიზანი 3.4. საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა**

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- გამოკითხვის შედეგების თანახმად, №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში დანერგილ ხმის დათვლის ელექტრონულ ტექნოლოგიას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 90 პროცენტზე მეტმა;
- არჩევნების მართვის სისტემის განახლების მეშვეობით გამარტივდა რეგისტრაციის და რეგისტრაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავების პროცესი. ასევე დაიზოგა დრო და ადამიანური რესურსი.

| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 2 ინდიკატორ | 2საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 7 ინდიკატორი |
|---|---|---|---|

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა;
- ტექნოლოგიების გამოყენებით საარჩევნო პროცედურების გამარტივება.

**ამოცანა 3.4.1. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

შესაბამისი საარჩევნო ტექნოლოგიები იდენტიფიცირებულია

ახალი საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების გამოსავლენად, საარჩევნო ადმინისტრაციამ შეისწავლა საერთაშორისო კარგი პრაქტიკა. კერძოდ, განხილულ იქნა ყირგიზეთისა და სომხეთის გამოცდილება.

საარჩევნო რეფორმის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტში შექმნილი „საპარლამენტო რეფორმის სამუშაო ჯგუფი"-ს ფორმატში მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ცესკოს მიენიჭა საარჩევნო პროცესში ზოგიერთი პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განხორციელების უფლებამოსილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში შემავალ 31 საარჩევნო უბანზე, ცესკომ ელექტრონული აპარატების საშუალებით განახორციელა ხმის დათვლის საპილოტე პროექტი, რომელსაც ცესკოს წევრი დიმიტრი ჯავახაძე ხელმძღვანელობდა.

პროექტის განმახორციელებლად შეირჩა ნიდერლანდების სამეფოში რეგისტრირებული საარჩევნო ტექნოლოგიებისა და სერვისის გლობალური მიმწოდებელი კომპანია Smartmatic International B.V., რომელმაც პროექტი უსასყიდლოდ განახორციელა. საპილოტე პროექტის ფარგლებში, ხმის დათვლის ელექტრონული ტექნოლოგიებიდან შერჩეული იქნა, საარჩევნო უბნის ხმის მთვლელი ოპტიკური სკანერი (PCOS).

ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით დათვლილ მონაცემებს ჰქონდა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი, ხოლო არჩევნების შედეგების დათვლა თითოეულ საარჩევნო უბანზე განხორციელდა ხელით, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. არჩევნების ელექტრონული და ხელით დათვლის შედეგები 99.7 პროცენტით დაემთხვა ერთმანეთს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამომრჩეველმა ნათლად გაიგო და მაქსიმალურად ზუსტად შეასრულა ხმის მიცემის ახალი პროცედურა.

ტექნოლოგიური სიახლის მიმართ ამომრჩეველთა დამოკიდებულების გამოსავლენად საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა კვლევა და გამოკითხა 600 ამომრჩეველი. ამომრჩეველთა დამოკიდებულება შემდეგ მონაცემებში გამოისახა:

- მოეწონა ტექნოლოგია – 97 პროცენტი;
- არ გასჭირვებია ხმის მიცემა ახალი ტექნოლოგიით - 98 პროცენტი;
- უფრო სანდოდ მიაჩნდა ახალი ტექნოლოგია ვიდრე ტრადიციული – 94 პროცენტი;
- ემხრობა ახალი ტექნოლოგიის სრულმასშტაბიან დანერგვას საქართველოში – 94 პროცენტი.

**ამოცანა 3.4.2. ტექნოლოგიების გამოყენებით საარჩევნო პროცედურების გამარტივება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

დანერგილი ტექნოლოგიური ცვლილებები პოზიტიურად შეფასებულია

საარჩევნო პროცედურების გამარტივების მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, განხორციელდა ცვლილებები არჩევნების მართვის სისტემის სხვადასხვა მოდულებში. ძირითადი ცვლილებები შეეხო 5 მოდულს.

- გადაკეთდა მოდული „კონკურსანტები“ და აპლიკანტების მონაცემებს დაედო შეზღუდვა გასულ არჩევნებზე პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ წევრებთან კვეთის შემთხვევაში;
- მოდულში „საერთაშორისო დამკვირვებლები“ დაემატა პიროვნებაზე ანკეტური მონაცემების გამოტანის ფუნქცია, ასევე ხელით შეტანილ (გვარი, სახელი) არაქართულ მონაცემებზე რედაქტირების შესაძლებლობა;
- მოდულში „პარტიული სიები“ სსკ-ს ფუნქციებს დაემატა გენდერული სტატისტიკის დათვლის მექანიზმი;
- მოდულში „საინიციატივო ჯგუფები“ როგორც ცესკოს, ასევე სსკ-ს ნაწილში შესაძლებელი გახდა კანდიდატის წარმდგენის მონაცემების შენახვა, აგრეთვე მოდულში „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები“-ს ქვემოდულს დაემატა ახალი ფუნქცია, კამერებზე ზედამხედველი პირის სტატისტიკის აღრიცხვისათვის;
- მოდულის „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები“-ს ქვემოდულში შეიცვალა წევრთა რაოდენობა, როგორც პარტიების დანიშნულ, ისე სსკ-ს არჩეულ წევრებში.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საარჩევნო ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვნად გამარტივდა რეგისტრაციის და რეგისტრაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავების პროცესი. ასევე დაიზოგა დრო და ადამიანური რესურსი.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 4. ინკლუზიური საარჩევნო გარემო

*თანაბარი, ყველასათვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს განვითარება, საარჩევნო პროცესში ყველა მხარის ჩართულობის ხელშეწყობა.*

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:
1. საარჩევნო პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესება;
2. თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა.

**მიზანი 4.1. საარჩევნო პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესება**

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებში მცხოვრები და საქართველოს სხვა რეგიონების ამომრჩევლები თანაბარად იყვნენ ჩართული საარჩევნო პროცესში;
- მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად განხორციელდა ყველა დაგეგმილი მექანიზმი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 2 ინდიკატორ | 8 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 21 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობა ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფით;
- საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა სპეციალური ჯგუფების ჩართულობის წახალისება.

**ამოცანა 4.1.1. საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობა ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფით**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საარჩევნო ადმინისტრაციამ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნა და ხელმისაწვდომი გახადა საარჩევნო დოკუმენტაცია და სხვა საინფორმაციო მასალები.

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ამომრჩევლებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მისაწვდომი იყო შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაცია და სხვა საინფორმაციო მასალა:

- საარჩევნო ბიულეტენი და ბიულეტენის შევსების წესი;
- ამომრჩეველთა ერთიანი სია;
- კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი;
- ცესკოს 2021 წლის 23 აგვისტოს №51/2021 დადგენილება „საარჩევნო კომისიების კუთვნილ ან/და საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემულ შენობებში შესვლისას/გამოსვლისას და შენობებში ყოფნისას/გადაადგილებისას სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დადგენის შესახებ";
- ცესკოს 2021 წლის 23 აგვისტოს №52/2021 დადგენილება „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დღისთვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ";

- ცესკოს 2021 წლის 23 აგვისტოს №55/2021 დადგენილება „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისას ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაციის წესის განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუხლი 2001 – „ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა დროებითი წესი“;
- ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები, კანდიდატები) შესახებ;
- ინფორმაცია საარჩევნო სერვისების შესახებ;
- ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა ახალგაზრდა ამომრჩევლებს – მათ, ვინც პირველად მონაწილეობდა არჩევნებში.

შესაბამისი რეგიონების ტელე და რადიო კომპანიების ეთერში განთავსდა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ნათარგმნი 13 საინფორმაციო რგოლი. ბეჭდური სახით სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საარჩევნო ინფორმაცია განთავსდა გაზეთებში „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“. ინფორმირების კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში ჩატარდა 13 შეხვედრა, მათ შორის ექვსი აზერბაიჯანულენოვან ამომრჩევლებთან, ხუთი სომხურენოვან ამომრჩევლებთან და ორი მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან.

ამომრჩეველთა აქტივობამ საქართველოს მასშტაბით შეადგინა 52 პროცენტი, ხოლო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების მასშტაბით – 49.65 პროცენტი. უმნიშვნელო განსხვავება ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებლებს შორის მიუთითებს ამომრჩეველთა ჩართულობის თანაბარ დონეზე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებსა და საქართველოს სხვა რეგიონებში.

ეთნიკური უმცირესობის ჩართულობის ხელშეწყობისთვის განხორციელებული საქმიანობა დადებითად შეაფასა საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ.

> *„კანონის შესაბამისად ამომრჩეველთა სიები, ბიულეტენები, ოქმები და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი ითარგმნა უმცირესობათა ენაზე უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებულ საუბნო კომისიებში. აღნიშნულ რეგიონებში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიებს ტრენინგები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩაუტარა“.*
>
> საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო – მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი და ევროპის პარლამენტი.

**ამოცანა 4.1.2. საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა

საარჩევნო ადმინისტრაციამ, მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით აღჭურვა საარჩევნო უბნები, მისაწვდომი გახადა საინფორმაციო/სარეკლამო მასალები, გადამზადდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები და განახორციელა არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა მონაწილეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაცია.

არჩევნების ორივე ტურის კენჭისყრის დღეს შშმ პირებისთვის საარჩევნო უბანზე მისაწვდომი იყო შემდეგი სერვისები:

- ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის – ადაპტირებულ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა;
- მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის – ორი ცალი გამადიდებელი ლინზა;
- უსინათლო ამომრჩევლებისთვის – საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა;
- ამომრჩევლებისთვის ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული იყო კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი.

ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის საკანონმდებლო რეგულაციის შესახებ ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის ცესკომ დაამზადა და სატელევიზიო ეთერში განათავსა ვიდეორგოლი. არჩევნების დროს საარჩევნო უბნის ცვლილება მოითხოვა და აღნიშნული სერვისით არჩევნების I ტურში ისარგებლა 12-მა, ხოლო II ტურში – ეტლით მოსარგებლე ცხრა ამომრჩეველმა.

73 საარჩევნო ოლქში შემავალი 3 664 საარჩევნო უბნიდან, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო მარტივი ადაპტაციით – 254, ხოლო პანდუსით – 869 საარჩევნო უბანი. ცესკოს ვებგვერდზე ბანერში „საარჩევნო რუკა" განთავსდა დეტალური ინფორმაცია საარჩევნო უბნების შესახებ, მათ შორის დასურათებულ ფორმატში.

ცესკოს მიერ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით მომზადებული ვიდეორგოლები ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის უზრუნველყოფილი იყო სურდო თარგმანით. ასევე, ცესკოს საინფორმაციო ბრიფინგები პირდაპირ ეთერში შუქდებოდა სურდო თარგმანის თანხლებით.

ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ შეეძლოთ ინფორმაციის მიღება ვიდეო ზარის საშუალებით ცესკოს კონტაქტ-ჰაბის ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორისგან. ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდები სრულად მისაწვდომი იყო უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის.

შშმ ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობისთვის მომზადდა სპეციალური ინსტრუქცია, რომლის მიხედვით გადამზადდა 73 სსკ-ს ხელმძღვანელი პირი. ამავე ინსტრუქციის შესაბამისად შეიქმნა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგების განახლებულ კონცეფციაში აისახა დისტანციური სასწავლო მოდული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა". ელექტრონული სასწავლო პროგრამა გაიარა და ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 1397-მა მომხმარებელმა. ტესტირება წარმატებით გაიარა და სერტიფიკატი მიიღო 1154-მა პირმა (ტესტირებაში მონაწილეთა 83 პროცენტი).

**მიზანი 4.2. თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა**

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- საარჩევნო ინფორმაციის გენდერულ ჭრილში მისაღებად მომხმარებლები ინტენსიურად სარგებლობდნენ გენდერული პორტალით.

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 2 ინდიკატორ | 2 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 4 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელება;
- საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისება.

**ამოცანა 4.2.1. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა

გენდერული პორტალის ამოქმედების შემდეგ ჩართული მხარეებისთვის მისაწვდომია საარჩევნო ინფორმაცია გენდერულ ჭრილში. მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების I და II ტურის შემდეგ გენდერულ პორტალზე აიტვირთა და ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლების, რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების, არჩეული მერებისა და საკრებულოების წევრების, დამკვირვებელი ორგანიზაციების, მედიის აკრედიტირებული წარმომადგენლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ. ასევე, შემუშავდა და პორტალზე აიტვირთა გაერთიანებული ინფორმაცია I და II ტურის შედეგების შესახებ.

პორტალი მოიცავს ინფორმაციას 2014 წლიდან ჩატარებული არჩევნების შესახებ დამუშავებად ფორმატში (Excel) და ხელმისაწვდომია ჩართული მხარეებისთვის. პორტალი სხვადასხვა წლებში ჩატარებული ერთი ტიპის არჩევნების მონაცემების შედარების შესაძლებლობას იძლევა.

2021 წელს გენდერულ პორტალზე მომხმარებლები 5 000-ჯერ შევიდნენ 1385 უნიკალური IP მისამართიდან.

**ამოცანა 4.2.2. საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისების მიზნით გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა

საარჩევნო ადმინისტრაციამ, სწავლების ცენტრთან ერთად, პოტენციური კანდიდატი ქალების შესაძლებლობის განვითარებაზე ორიენტირებული დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის ჩატარებით წაახალისა საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობა.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და არჩევნებისთვის რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიისთვის შეთავაზებულ ტრენინგში „ქალთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა პასიური საარჩევნო უფლების განსახორციელებლად“ მხოლოდ 12-მა პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინა 29 პოტენციური კანდიდატი ქალი.

2020 წელს, რვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა 26-მა პოტენციურმა კანდიდატმა ქალმა დისტანციურად გაიარა ტრენინგი და გაეცნო კანდიდატისთვის მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებს.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 5. მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება

*მართვის ეფექტიანობის ზრდისა და ინსტიტუციური სიძლიერის შედეგად არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის სათანადო ხარისხის სერვისების მიწოდება.*

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს ორ სტრატეგიულ მიზანს:
1. მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება;
2. ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება.

### მიზანი 5.1. მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- 2021 წელს ცესკომ არჩევნების მართვის სფეროში ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის - ISO 9001:2015 განახლებული სერტიფიკატი მიიღო;
- შეიქმნა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შეიქმნა ცესკოს ადმინისტრაციული შენობის და სსკ-ების შენობების რისკების შეფასების ინდივიდუალური დოკუმენტები და შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის სახელმძღვანელო.

| 4 ამოცანა | ამოცანის შედეგის 4 ინდიკატორ | 7 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 9 ინდიკატორი |
|---|---|---|---|

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ოთხი ამოცანის გადაჭრა:

- ხარისხის მართვის სტანდარტის (ISO) განვითარება;
- რისკებისა და კრიზისების  მართვისა შესაძლებლობების განვითარება;
- ელექტრონული ინსტრუმენტების საშუალებით მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება.

### ამოცანა 5.1.1. მართვის ხარისხის სტანდარტის (ISO) განვითარება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

მართვის ხარისხის სტანდარტის (ISO)  შენარჩუნებულია და საკონტროლო აუდიტი წარმატებით გავლილია

2021 წელს ცესკომ გაიარა ხარისხის სისტემების შიდა აუდიტი და მეორე გარე საკონტროლო აუდიტი. ჩატარებული აუდიტის თანახმად ადგილი არ ჰქონდა შეუსაბამო გადახრებს, რის საფუძველზეც ცესკომ არჩევნების მართვის სფეროში ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის - ISO 9001:2015 განახლებული სერტიფიკატი მიიღო.

ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სისტემის შემუშავების და დანერგვის საკოორდინაციო საბჭოს მიერ  ჩატარდა ცესკოს აპარატის მენეჯმენტის ანალიზი. განახლდა ხარისხის მართვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტი, კერძოდ, KPI ბიზნეს პროცესების აღმნიშვნელი PD დოკუმენტი, გარე პროვაიდერების SWAT ანალიზის დოკუმენტი, შიდა აუდიტის 2021 წლის გეგმა, შიდა და გარე დოკუმენტების ჩამონათვალი, ჩართული მხარეების მიერ კმაყოფილების განმსაზღვრელი დოკუმენტები. აგრეთვე, შედგა შეუსაბამობის ოქმები და განხორციელდა მაკორექტირებელი ქმედებები. შემუშავდა ხარისხის განვითარების 2021 წლის სტრატეგიული გეგმა, რომელიც დისტანციურად დამტკიცდა საბჭოს ონლაინ სხდომაზე.

აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის ორმა თანამშრომელმა გაიარა შპს „მენეჯმენტის სისტემების“ ორგანიზებულ ტრენინგი ხარისხის მენეჯმენტის შიდა აუდიტი ISO 19011:2018“, მათ გადაეცათ საერთაშორისო სერტიფიკატები.

**ამოცანა 5.1.2. რისკებისა და კრიზისების მართვის შესაძლებლობების განვითარება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

რისკები იდენტიფიცირებულია და კრიზისების მართვის მექანიზმები შემუშავებულია

2021 წელს ცესკოს აპარატში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები. განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად მოხდა რისკების იდენტიფიცირება და განახლდა რისკების მართვის დოკუმენტი.

**ამოცანა 5.1.3. ელექტრონული ინსტრუმენტების საშუალებით მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

ელექტრონული შესაძლებლობები შექმნილი და დანერგილია

საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ცესკოს სტრუქტურული ერთეულების/სწავლების ცენტრის კვარტალური პროგრეს ანგარიშების და კონსოლიდირებული პროგრეს ანგარიშების შედგენის პროცესის ერთიანი ელექტრონული პლატფორმის ჩამოყალიბების მიზნით, 2018 წელს გადაწყდა დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შექმნა.

პროგრამას საარჩევნო ადმინისტრაცია საკუთარი რესურსებით ქმნიდა, თუმცა იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა პილოტირების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების სრულად აღმოფხვრა, გადაწყდა პროგრამის შემუშავების პროცესში გარე შემსრულებლის ჩართვა და პროცესის დასრულება გადაიდო 2022 წლისთვის.

**ამოცანა 5.1.4. ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

ინსტიტუციური ეფექტიანობის ხელშემწყობი მექანიზმები გაუმჯობესებულია

ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სიახლე იყო ცესკოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა. დოკუმენტი ცესკოს აპარატის თანამშრომლების აქტიური ჩართულობით შემუშავდა და ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა. დოკუმენტით განისაზღვრა ცესკოს ძირითადი მიდგომები ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, მათ შორის, ეფექტიანი რეკრუტირების მოდელისა და არამატერიალური წახალისების ფორმები.

გარდა ამისა, 2021 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციამ აღადგინა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციასთნ დაკავშირებული ღონისძიებების გამო შეჩერებული დაქვემდებარებული ერთეულების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის პროცესი და ჩამოაყალიბა შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა. რისკების ანალიზისა და დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა და ჩატარდა ოთხი სსკ-ს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის დასრულების შემდეგ შიდა აუდიტორული ანგარიშები გადაეგზავნა აუდიტის ობიექტებს – საოლქო საარჩევნო კომისიებს.

ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის გეგმის განხორციელებამ ხელი შეუწყო ცესკოსა და სსკ-ების კოორდინირებულ საქმიანობას.

შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, სხვა სამართლებრივი აქტებისა და სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, ცესკოსა და 73 სსკ-ში განხორციელდა შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სიტემის სრული ინსპექტირება. ინსპექტირების შედეგების საფუძველზე შეიქმნა ცესკოს ადმინისტრაციული შენობის და სსკ-ების შენობების რისკების შეფასების ინდივიდუალური დოკუმენტები და შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის სახელმძღვანელო.

**მიზანი 5.2. ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება**

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- 2021 წლის განმავლობაში ტრენინგი გაიარა და პროფესიული კვალიფიკაცია აიმაღლა საარჩევნო ადმინისტრაციის 1 197-მა თანამშრომელმა;
- 2021 წელს 36 პროცენტით გაიზარდა საარჩევნო ადმინისტრაციაში ცესკოს საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეთა დასაქმების საერთო მაჩვენებელი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ამოცანა | ამოცანის შედეგის 3 ინდიკატორ | 8 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 30 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:

- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება და წახალისება;
- ორგანიზაციული ეთიკისა და კორპორატიული კულტურის განმტკიცება.

**ამოცანა 5.2.1. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

პროფესიული განვითარების მექანიზმების რაოდენობა

2021 წელს, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა ტრენინგების წლიური გეგმა, მენტორინგის პროცესი და საორიენტაციო პროგრამა ახლად დანიშნული/არჩეული თანამშრომლებისთვის.

ინფორმაცია თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის და სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული სასწავლო პროგრამების შესახებ იხილეთ ცხრილში (4).

ცხრილი 4

| სასწავლო პროგრამის ასახელება | პროგრამის მონაწილეები | პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა | პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა 2020 წელს |
|---|---|---|---|
| საორიენტაციო სასწავლო პროგრამა | **ახლად დანიშნული/ არჩეული თანამშრომლები** | 55 | 54 |
| არჩევნების მიმოხილვა - ზოგადი სასწავლო კურსი | | 21 | 20 |
| შრომითი ურთიერთობები | | 55 | 32 |
| საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა (eDocument) | | 9 | 2 |
| სასწავლო პროგრამა "საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები - საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის" | **საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრები** | 11889 | 7104 |
| საქმისწარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების ტრენინგი | **სსკ-ების თავმჯდომარეები და მდივნები** | 150 | 150 |
| არჩევნების მართვის სისტემა „არმასი"-ს ინსტრუქტაჟი | **სსკ-ების წევრები** | 150 | 130 |
| საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ | **სსკ-ების წევრები** | 124 | 124 |
| "საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ქცევის ზოგადი წესებისა და პროფესიული ეთიკის შესახებ" | **სსკ-ების წევრები** | 219 | |
| კიბერ - ჰიგიენა | **სსკ-ების წევრები** | 370 | |
| დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესაძლებლობების გაძლიერება | **სსკ-ების წევრები** | 73 | |
| კომუნიკაციის მეთოდები | **კონტაქტ - ჰაბის ოპერატორები** | 18 | |
| საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა (eDocument) | **სსკ-ების თავმჯდომარეები და მდივნები** | 150 | |

ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის შედეგად მომზადდა და ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა ტრენინგების წლიური გეგმა. გეგმის მიხედვით ჩატარდა ოთხი ტრენინგი და გადამზადდა შვიდი პირი, გეგმის გარდა ჩატარდა ცხრა ტრენინგი და გადამზადდა 579 პირი. ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგების შესახებ იხილეთ ცხრილში (5).

ცხრილი 5

| ტრენინგების წლიური გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსის დასახელება | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|
| საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მიხედვით ფინანსური ანგარიშგების ფორმების შევსების წესი | 3 |
| CCNA(Cisco Certified Network Associate) | 1 |
| შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა | 2 |
| მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა „მოხელის მენეჯერული უნარები | 1 |
| **ტრენინგების წლიური გეგმის გარდა ჩატარებული სასწავლო კურსის დასახელება** | |
| ხარისხის მენეჯმენტის შიდა აუდიტი ISO 19011 | 2 |
| Querying Dara with Transact-SQL | 7 |
| COVID-19 და შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება | 4 |
| „შრომის უსაფრთხოების ზოგადი პრინციპები“, „სახანძრო უსაფრთხოება და ევაკუაციის ღონისძიებები“, „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება“ | 537 |
| სახელმწიფო ენა საჯარო სამსახურში | 7 |
| Regional training on Measuring SDG 16 in Asia | 3 |
| სამუშაოს აღწერილობების ჰარმონიზაციის მეთოდოლოგია | 4 |
| კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში | 7 |
| სექსუალური შევიწროების რეგულირება საჯარო სივრცეში და სამუშაო ადგილას | 8 |

კვალიფიციური ადამიანური რესურსის რეზერვის შესაქმნელად, საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრატორის კურსი.

ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ცესკოს აპარატში მენტორის სტატუსი მიენიჭა ოთხ პირს, რომლებმაც მენტორობა გაუწიეს ოთხ შეგირდს.

სულ, 2021 წლის განმავლობაში პროფესიული განვითარების ტრენინგი გაიარა საარჩევნო ადმინისტრაციის 1 197-მა თანამშრომელმა.

**ამოცანა 5.2.2. ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება და წახალისება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

კვალიფიციური ადამიანური კაპიტალი შენარჩუნებულია, წახალისების მექანიზმები დანერგილია

ცესკოს მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგების პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ საჭიროა კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების ეფექტური მექანიზმების შემუშავება. ცესკოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განისაზღვრა ცესკოს ძირითადი მიდგომები ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, მათ შორის, ეფექტიანი რეკრუტირების მოდელისა და არამატერიალური წახალისების ფორმები.

კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის შენარჩუნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ცესკოს საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეთა დასაქმება საარჩევნო ადმინისტრაციაში. განხორციელებული ანალიზის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიებში დასაქმებული პირებიდან „საარჩევნო განვითარების სკოლა“ გავლილი ჰქონდა – 255 (2020 წელს – 169), „ახალგაზრდული ბანაკები“ – 37 (2020 წელს – 14), „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ – 13 296 (2020 წელს – 9 841) პირს. 2020 წელთან შედარებით, ცესკოს საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილე საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებულთა რაოდენობა 36 პროცენტით გაიზარდა.

2021 წელს დაგეგმილი იყო თანამშრომელთა კმაყოფილებისა და მოტივაციის კვლევა, რომელიც ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული დისტანციური სამუშაო რეჟიმის გამო არ ჩატარებულა.

**ამოცანა 5.2.3. ორგანიზაციული ეთიკისა და კორპორატიული კულტურის განმტკიცება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

ორგანიზაციული ეთიკის და კორპორატიული კულტურის განსამტკიცებლად განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა

კორპორატიული კულტურის განმტკიცების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების უმეტესობა მოითხოვდა თანამშრომელთა გამოცხადებას ღონისძიების ჩატარების ადგილას. შესაბამისად, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული დისტანციური სამუშაო რეჟიმის გამო დაგეგმილი ღონისძიებები გაუქმდა. განხორციელდა მხოლოდ ორი, სააღდგომო და საახალწლო სოციალური აქცია, რომელთა ფარგლებშიც დახმარება გაეწია ჯამში 48 მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ და მრავალშვილიან ოჯახს.

# დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში მოცემული შეფასება ცესკოს სტრუქტურული ერთეულების/სწავლების მიერ წარმოდგენილი წყაროების და კვარტალური პროგრეს ანგარიშების ანალიზს ეფუძნება. პროგრეს ანგარიშები ნაკლებად მოიცავდნენ ანალიტიკურ ინფორმაციას საქმიანობების შესრულების ინდიკატორებთან მიმართებაში და წლიური ანგარიშის შედგენის დროს საჭირო გახდა დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა. სასურველია, ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, 2022 წელს, პროგრეს ანგარიშების შედგენაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებს ჩაუტარდეს გადამზადების კურსი.

სტრუქტურული ერთეულების/სწავლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი პროგრეს ანგარიშების მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ – საარჩევნო ადმინისტრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმით, დაგეგმილი იყო 83 საქმიანობის განხორციელება, რომლებიც ძირითადად სრულყოფილად და დროულად შესრულდა. ინდიკატორების შეფასების ჭრილში, სრულად განხორციელდა 67 (დაგეგმილი საქმიანობების 80.7 %), მეტწილად – შვიდი (დაგეგმილი საქმიანობების 8.4 %), ნაწილობრივ – ორი (დაგეგმილი საქმიანობების 2.4 %) და არ განხორციელდა შვიდი საქმიანობა (დაგეგმილი საქმიანობების 8.4 %)[8].

სტატისტიკური ინფორმაცია განხორციელებული საქმიანობების შესახებ იხილეთ დიაგრამაზე (6).

დიაგრამა 6




[8] ინფორმაცია თითოეული საქმიანობის მიხედვით იხილეთ დანართში ცხრილის სახით.

ინფორმაცია იმ საქმიანობების შესახებ რომელიც არ განხორციელდა იხილეთ ცხრილში (6).

ცხრილი 6

| საქმიანობა | საქმიანობის სტატუსი | პროგრესი (%) |
|---|---|---|
| 1.2.1.2 საარჩევნო სუბიექტების "ეთიკის პრინციპების" დოკუმენტის შემუშავება | გაუქმებულია | 0 |
| 1.2.3.1 სამუშაო შეხვედრის გამართვა არჩევნებში ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ | არ დაწყებულა | 0 |
| 2.1.5.4 საარჩევნო ადმინისტრაციების მე-10 საერთაშორისო დისტანციური კონფერენციის ორგანიზება | არ დაწყებულა | 0 |
| 2.2.1.3 საარჩევნო პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების აღრიცხვა და ანალიზი | არ განხორციელდა | 0 |
| 3.1.2.1 ცესკოს სხდომების ელექტრონული მართვის დანერგვა | შეჩერებულია | 50 |
| 5.1.4.4 შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოკვეთილი საქიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი | არ განხორციელდა | 0 |
| 5.2.2.2 თანამშრომელთა კმაყოფილებისა და მოტივაციის ანონიმური კვლევის ჩატარება | არ დაწყებულა | 0 |

გარდა გეგმით გათვალისწინებულისა, ცესკოს სტრუქტურულმა ერთეულებმა და სწავლების ცენტრმა განახორციელეს სხვა დამატებითი საქმიანობები, რომლებმაც ხელი შეუწყო საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელებას.

## ცესკოს სტრუქტურული ერთეულები

**იურიდიული დეპარტამენტი**
გიორგი სანტურიანი, დეპარტამენტის უფროსი

**სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი**
ქეთევან დანგაძე, დეპარტამენტის უფროსი

**საფინანსო დეპარტამენტი**
ოთარ ბუსკივაძე, დეპარტამენტის უფროსი

**საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი**
კახაბერ ჟამურაშვილი, დეპარტამენტის უფროსი

**კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი**
სოფიო სიჭინავა, დეპარტამენტის უფროსი

**ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი**
ლალი კიკნაძე (მ/შ), დეპარტამენტის უფროსი

**საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი**
ეკა ცაბაშვილი, დეპარტამენტის უფროსი

**ცესკოს მდივნის აპარატი**
ლალი კიკნაძე, აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი

**პრეს-სპიკერი**
ნათია იოსელიანი

**თავმჯდომარის მრჩეველები**
თამაზ შარმანაშვილი
ვალერი მაისურაძე

**ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი**
ლევან კახურაშვილი

**სსიპ-საარჩევნო სისტემების, განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი**
ნათია ზაალიშვილი, სწავლების ცენტრის დირექტორი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სტრატეგიული პრიორიტეტი** | **საარჩევნო კულტურა და განათლება**<br><br>ეფექტური და ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით ამომრჩეველთა და სხვა ჩართული მხარეების ინფორმირება, რაც განამტკიცებს საარჩევნო კულტურას, გაზრდის ამომრჩევლებისთვის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას | | | | | |
| 1.1 | **მიზანი** | ამომრჩევლის და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება | | | | | |
| 1.1.1 | **ამოცანა** | გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა ცოდნა საარჩევნო საკითხებზე ამაღლებულია<br><br>საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა გაზრდილია<br><br>მონაწილეთა უმეტესობის მიერ საგანმანათლებლო პროგრამა პოზიტიურად შეფასებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 1.1.1.1 | საჯარო სკოლებში XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო -სასწავლო პროგრამის განხორციელება | განხორციელდა | 2021 წლის 15 მარტი-12 აპრილის პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საჯარო სკოლებში განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“. პროგრამის განხორციელების მიზანი იყო ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა.<br><br>პროექტი განხორციელდა 64 მუნიციპალიტეტის 244 საჯარო სკოლაში. პანდემიიდან გამომდინარე ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად, პროგრამა განხორციელდა ორი ფორმით: პირისპირ ტრენინგების ფორმატში, რომელიც 204 საჯარო სკოლაში ჩაატარეს პროგრამისთვის სპეციალურად გადამზადებულმა ტრენერებმა და ონლაინ ფორმატში – 40 საჯარო სკოლაში, რომელიც სწავლების ცენტრის ოთხმა თანამშრომელმა ჩაატარა.<br><br>საჯარო სკოლებში მიმდინარე პრაქტიკული სწავლების ფორმატში ჩატარდა იმიტირებული არჩევნები, რომლის შედეგად მოსწავლეებმა აირჩიეს ცესკოს მიერ სხვადასხვა დროს გამოყენებული სლოგანები. გამარჯვებულად გამოვლინდა სლოგანი – „შენი არჩევანი კანონია“. პროგრამის ფარგლებში, ახალგაზრდებში დებატების კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მოეწყო დებატი.<br><br>საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა საჯარო სკოლებში პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის დაცვით განხორციელდა. | 100% | საქმიანობის კონცეფცია და სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>გადამზადებული ტრენერების რაოდენობა, მუნიციპალიტეტების, საჯარო სკოლებისა და მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | განახლდა სასწავლო პროგრამის კონცეფცია და სასწავლო მასალა<br><br>გადამზადდა 102 ტრენერი<br><br>პროექტი განხორციელდა 64 მუნიციპალიტეტის 244 საჯარო სკოლაში<br><br>კურსი გაიარა 4 130-მა მოსწავლემ, მათ შორის:<br>* ონლაინ ტრენინგის ფორმატში – 488 მოსწავლე, მათ შორის 332 (68%) ქალი და 156 (32%) კაცი<br>* პირისპირ ტრენინგის ფორმატში – 3 642 მოსწავლე, მათ შორის 2 166 (60%) ქალი და 1 476 (40%) კაცი<br><br>მონაწილეთა უმეტესობის მიერ სასწავლო კურსი პოზიტიურად შეფასდა (იხ. დანართი, რომელიც განთავსებულია შიდა დისკზე "Angarishebi") | სწავლების ცენტრი |
| 1.1.1.2 | უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სემესტრული სასწავლო პროგრამის "საარჩევნო სამართალი" განხორციელება | განხორციელდა | პირველი მარტიდან -14 ივლისის ჩათვლით პერიოდში, სწავლების ცენტრმა, პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, განახორციელა საარჩევნო სამართლის საავტორო პროგრამა ექვს უნივერსიტეტში.<br><br>სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა ლექტორებმა იურიდიული, სოციალური მეცნიერებებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს გააცნეს არჩევნებთან დაკავშირებული შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციები და საერთაშორისო საარჩევნო პრაქტიკა.<br><br>კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული რეგულაციების გათვალისწინებით, სასწავლო პროგრამა განხორციელდა როგორც ონლაინ, ისე აუდიტორული სწავლების ფორმატში. | 100 % | სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობა<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | განახლდა სასწავლო მასალა<br><br>პროგრამა განხორციელდა 6 უნივერსიტეტში: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი); გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.<br><br>სასწავლო კურსი გაიარა 357-მა სტუდენტმა, მათ შორის 210 (59%) ქალი და 147 (41%) კაცი<br><br>მონაწილეთა მიერ სასწავლო კურსი პოზიტიურად შეფასებულია, დეტალური ინფორმაცია იხილეთ სწავლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის დანართში (1) დისკზე "Angarishebi" | სწავლების ცენტრი |
| 1.1.1.3 | სასწავლო პროგრამის "საარჩევნო განვითარების სკოლა" განხორციელება | განხორციელდა | 2021 წელს ცესკომ და სწავლების ცენტრმა ორ ეტაპად განახორციელეს პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“. სასწავლო კურსი განახორციელეს სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა, ცესკოსა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა, სულ ხუთმა ტრენერმა. სასწავლო კურსი გაიარეს 18-25 წლის ახალგაზრდებმა.<br><br>მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა, ხმის მიცემის და დათვლის ელექტრონული საშუალებები, არჩევნები და კვლევები, დეზინფორმაცია და ყალბი ცნობების გავრცელება საარჩევნო პერიოდში.<br><br>პროექტის პირველი ეტაპი (24-28 თებერვალი) განხორციელდა დისტანციურად.<br><br>პროექტის მეორე ეტაპი (22-30 ივლისი) განხორციელდა ქ. თბილისსა და 18 მუნიციპალიტეტში. სწავლების ბოლო დღეს ახალგაზრდებმა ტრენერების დახმარებით ჩაატარეს იმიტირებული კენჭისყრის პროცესი. | 100% | სამუშაო ჯგუფი შექმნილია<br><br>პროექტი შემუშავებულია<br><br>გადამზადებული ტრენერების რაოდენობა<br><br>მუნიციპალიტეტების, ჯგუფების და მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ცესკოს თავმჯდომარის 2021 წლის 29 იანვრის N01-05 ბრძანებით<br><br>განახლდა პროექტის კონცეფცია, შემუშავდა სამოქმედო გეგმა<br><br>პირველი ეტაპი ჩატარდა დისტანციურად, ხოლო მეორე ეტაპი ჩატარდა ქ. თბილისსა და 18 მუნიციპალიტეტში<br><br>გადამზადდა 5 ტრენერი<br><br>პროექტის პირველი ეტაპი (24-28 თებერვალი) გაიარა და სერტიფიკატი მიიღო 20-მა მონაწილემ, მათ შორის 14 (70%) ქალი და 6 (30%) – კაცი<br><br>პროექტის მეორე ეტაპი (22-30 ივლისი) გაიარა და სერტიფიკატი მიიღო 121-მა მონაწილემ, მათ შორის 78 (65%) ქალი და 43 (35%) – კაცი<br><br>კურსის მიმდინარეობისას სისტემატურად ხდებოდა მონაწილეების მიერ სასწავლო პროგრამის, ტრენერების და კურსის ორგანიზების შეფასება. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ მონაწილეების უმრავლესობა დადებითად აფასებდა სასწავლო კურსს | ცესკოს სამუშაო ჯგუფი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.1.1.4** | პროექტის "ახალგაზრდული ბანაკები" განხორციელება | განხორციელდა | 5-24 ივლისის პერიოდში ცესკომ განახორციელა საგანმანათლებლო პროექტი – „ახალგაზრდული ბანაკები". პროექტის მიზანი იყო არჩევნების პოპულარიზაცია, მონაწილეთა ინტერესის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება მოქალაქეობრივი უფლებებისა და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესახებ. სასწავლო კურსი გაიარეს 21-29 წლის ახალგაზრდებმა.<br><br>პროექტის „ახალგაზრდული ბანაკების" მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: დემოკრატიული პრინციპები, საარჩევნო სისტემები, არჩევნების პროცედურები, არჩევნების ისტორია, საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელები, ინკლუზიური საარჩევნო გარემო, დემოკრატიული საარჩევნო პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები, მათ შორის ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი, გენდერული თანასწორობა, არჩევნების უსაფრთხოება.<br><br>პროექტში მონაწილეობა მიიღო 168-მა ახალგაზრდამ, მათ შორის 96 (58%) ქალი და 72 (42%) – კაცი. | 100% | სამუშაო ჯგუფი შექმნილია<br><br>კონცეფცია განახლებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ცესკოს თავმჯდომარის 2021 წლის 29 იანვრის N01-05 ბრძანებით<br><br>განახლდა კონცეფცია<br><br>პროექტში მონაწილეობა მიიღო 168-მა ახალგაზრდამ, მათ შორის 96 (58%) ქალი და 72 (42%) – კაცი<br><br>კურსის მიმდინარეობისას სისტემატურად ხდებოდა მონაწილეების მიერ სასწავლო პროგრამის, ტრენერების და კურსის ორგანიზების შეფასება. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ მონაწილეების აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად აფასებდა სასწავლო კურსს | ცესკოს სამუშაო ჯგუფი |
| **1.1.1.5** | სადამკვირვებლო ორგანიზაციების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული საინფორმაციო - სასწავლო კურსის განხორციელება | განხორციელდა | 11 სექტემბერს, სწავლების ცენტრმა ჩაატარა დისტანციური საინფორმაციო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის დამკვირვებლად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები/საინიციატივო ჯგუფები) წარმომადგენლებთან.<br><br>შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეებსა და შემდეგ საკითხებზე: დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები და მათ უზრუნველსაყოფად არჩევნებში ჩართული მხარეების როლის მნიშვნელობა, მანდატი ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში; სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო პროცესში; კენჭისყრის დღე და პანდემიის პირობებში კენჭისყრის პროცესის ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები; ამომრჩეველთა საარჩევნო უფლებების რეალიზება (მათ შორის, რეგულაციები ხმის მიცემის პროცესში ფარულობისა და კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად); ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები საარჩევნო უბანზე, მათ შორის ხმის დათვლის პროცესის აუდიო-ვიდეოფიქსაციის წესი; კენჭისყრის შედეგების შეჯამება; კენჭისყრის დღის საჩივრის/განცხადების შედგენის საფუძველი და ტექნიკა; საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების გადამოწმება/ხელახლა დათვლა და ამ პროცესში ჩართული მხარეების მონაწილეობის ასპექტები.<br><br>ასევე, მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში დაგეგმილი საპილოტე პროექტის შესახებ. | 100 % | სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | მომზადდა სასწავლო მასალა<br><br>შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 14 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 31-მა და 17 საარჩევნო სუბიექტის 43-მა წარმომადგენელმა<br><br>მონაწილეთა მიერ სასწავლო კურსი პოზიტიურად შეფასებულია. დეტალური ინფორმაცია იხილეთ სწავლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის დანართში (3) დისკზე "Angarishebi" | სწავლების ცენტრი |
| **1.1.1.6** | საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული საინფორმაციო - სასწავლო კურსის განხორციელება | განხორციელდა | იხ. საქმიანობა 1.1.1.5 | 100% | სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | იხ. საქმიანობა 1.1.1.5 | სწავლების ცენტრი |
| **1.1.1.7** | მედია საშუალებების წარმომადგენლების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული საინფორმაციო - სასწავლო კურსის განხორციელება | განხორციელდა | 13 სექტემბერს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა ჩაატარეს დისტანციური საინფორმაციო შეხვედრა რეგიონული მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან.<br><br>შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეებსა და შემდეგ საკითხებზე: მედიის როლი და უფლებრივი მდგომარეობა კენჭისყრის პროცესში; კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ფოტო/ვიდეო გადაღების რეგულაციები (მათ შორის, რეგულაციები ხმის მიცემის პროცესში ფარულობისა და კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად); მედიის და სხვა ჩართული მხარეების როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად; სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო პროცესში და მედიის როლის მნიშვნელობა; პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები; სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საარჩევნო უბნების შექმნა, ამ უბნებზე დამკვირვებლის/საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების დანიშვნა/აკრედიტაცია და მათი უფლებრივი მდგომარეობა; სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში საარჩევნო უბნების შექმნა, ამ უბნებზე დამკვირვებლის/საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების  წარმომადგენლების დანიშვნა/აკრედიტაცია და მათი უფლებრივი მდგომარეობა.<br><br>მონაწილეებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში დაგეგმილი საპილოტე პროექტის შესახებ.<br><br>17-18 სექტემბერს, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით ჩატარდა შეხვედრა ცენტრალური მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან.<br>საარჩევნო ადმინისტრაციის, ცესკოს სწავლების ცენტრისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს გააცნეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: მედიის როლი საარჩევნო პროცესში; მედიის როლი და უფლებრივი მდგომარეობა კენჭისყრის პროცესში; კენჭისყრის დღეს ფოტო/ვიდეო გადაღების რეგულაციები; სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო პროცესში და მედიის როლის მნიშვნელობა; მედიის და სხვა ჩართული მხარეების როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად; პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები; საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეები. ტრენინგის მიმდინარეობისას გაიმართა დისკუსია და ჟურნალისტების კითხვებს ტრენერებთან ერთად ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა უპასუხეს. | 100 % | სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>მონაწილე მედიასაშუალებები იდენტიფიცირებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | მომზადდა სასწავლო მასალა<br><br>შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ცენტრალური და რეგიონული მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა<br><br>შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო:<br>* ტელე/რადიო მაუწყებლების, ბეჭდური და ონლაინ მედიის 26-მა წარმომადგენელმა, მათ შორის 21(81%) ქალი  და 5(19%) კაცი.<br>* ცენტრალური მედიის 17-მა წარმომადგენელმა, მათ შორის 15(89%) ქალი  და 2(11%) კაცი<br><br>მონაწილეთა მიერ სასწავლო კურსი პოზიტიურად შეფასებულია. დეტალური ინფორმაცია იხილეთ სწავლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის დანართში (3) დისკზე "Angarishebi" | სწავლების ცენტრი<br><br>საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| **1.1.1.8** | პენიტენციური სისტემის წარმომადგენლებისთვის საინფორმაციო კურსის "პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზება" განხორციელება | განხორციელდა | 28 სექტემბერს, სწავლების ცენტრმა გამართა დისტანციური საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებების წარმომადგენლებთან.<br><br>შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი აქტივობების შესახებ, ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზების საკითხზე, მათ შორის კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებზე და მათ უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის პროცესში ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის დაცვით მომსახურების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ ღონისძიებებზე. | 100 % | სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | მომზადდა სასწავლო მასალა<br><br>საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სპეციალური პენიტენციური სამსახურის 10 პენიტენციური დაწესებულებების 11-მა წარმომადგენელმა<br><br>მონაწილეთა მიერ სასწავლო კურსი პოზიტიურად შეფასებულია | სწავლების ცენტრი |

| 1.1.2 | ამოცანა | ინოვაციური ინფორმირების კამპანიის განსაზღვრა და განხორციელება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ინფორმირების კამპანიის პროცესში სიახლეები განსაზღვრული და განხორციელებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 1.1.2.1 | სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული პირებისთვის დისტანციური საინფორმაციო პროგრამის "საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი" განახლება | განხორციელდა | 14 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ, თავმჯდომარის მოადგილე გიორგი სიორიძემ და სწავლების ცენტრის დირექტორმა გამართეს შეხვედრა საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსსა და საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილესთან. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას საჯარო უწყებებში ადმინისტრაციული რესურსებისა და თანამდებობრივი/სამსახურებრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენების პრევენციის მნიშვნელობაზე.<br><br>სწავლების ცენტრის დირექტორმა შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა განახლებული დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო კურსი „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი – საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე“, რომელიც ეფუძნება საკანონმდებლო სიახლეებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის ცესკოს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს.<br><br>საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა გამოთქვა საჯარო მოსამსახურეების საინფორმაციო-სასწავლო პროგრამაში ჩართულობის მზაობა და ამ მიზნით სასწავლო რესურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სახელმწიფო უწყებებში, ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე. | 100 % | დისტანციური საინფორმაციო პროგრამა განახლებულია და ხელმისაწვდომია<br><br>პროგრამაში რეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობა (საჯარო მოხელეები, სახელმწიფო მოსამსახურეები და სხვა პირები)<br><br>სერტიფიკატის მფლობელთა რაოდენობა | განახლდა დისტანციური საინფორმაციო პროგრამა;<br><br>* სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 9 174-მა მომხმარებელმა, მათ შორის 2 770 (31%) ქალი და 6 404 (69%) კაცი<br><br>* პროგრამაში ინტეგრირებულ ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 7 438-მა მომხმარებელმა, მათ შორის 1 926 (26%) ქალი და 5 512 (74%) კაცი<br><br>* ტესტირება წარმატებით გაირა და სერტიფიკატი მიიღო 7 258-მა მომხმარებელმა, მათ შორის 1 831 (26%) ქალი და 5 427 (74%) კაცი | სწავლების ცენტრი<br><br>იურიდიული დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 1.1.2.2 | დაინტერესებული პირებისთვის დისტანციური საინფორმაციო პროგრამის "კენჭისყრის დღის პროცედურები" განახლება | განხორციელდა | მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირებისთვის შემუშავდა დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კენჭისყრის დღის პროცედურები". პროგრამა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის პროცესი; ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა კენჭისყრის პროცესში; კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა; საარჩევნო უბნის დახურვა, ხმის დათვლის პროცესი და ამ პროცესის ვიდეოფიქსაციის წესი; კენჭისყრის შედეგების შეჯამება საუბნო საარჩევნო კომისიაში; კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები; კენჭისყრის შენობაში ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები; პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები. პროგრამაში ინტეგრირებული ტესტური დავალებები მომხმარებლისთვის ქმნის დამატებით რესურსს ცოდნის გადასამოწმებლად.<br><br>პროგრამა განთავსდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე არსებულ დისტანციურ ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე. | 100 % | დისტანციური საინფორმაციო პროგრამა განახლებულია<br>და ხელმისაწვდომია<br><br>დისტანციური საინფორმაციო პროგრამის შესახებ<br>საზოგადოების ინფორმირება განხორციელებულია<br><br>პროგრამაში რეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობა<br><br>სერტიფიკატის მფლობელთა რაოდენობა | მომზადდა და ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე განთავსდა დისტანციური საინფორმაციო პროგრამა<br><br>* პროგრამაში ინტეგრირებულ ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 2 157-მა პირმა, მათ შორის 737 (35%) ქალი და 1 420 (65%) კაცი<br><br>ტესტირება წარმატებით გაიარა 1 466-მა პირმა, მათ შორის 484 (33%) ქალი და 982 (67%) კაცი | სწავლების ცენტრი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 1.1.2.3 | ინფორმირების კამპანიის "ვესაუბრებით ამომრჩევლებს" განხორციელება | განხორციელდა | 2021 წელს ჩატარებული ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ მიზანი იყო საარჩევნო ადმინისტრაციასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერება, მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება და საარჩევნო ცნობიერების ამაღლება.<br><br>კამპანიის პირველ ეტაპზე, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები მოხალისეებთან ერთად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხვდებოდნენ ამომრჩევლებს და აცნობდნენ მათ ინფორმაციას საარჩევნო უფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების შესახებ. კამპანიის მეორე ეტაპზე კი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაიმართა საინფორმაციო აქციები. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამომრჩევლებს სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმების სერვისს სთავაზობდნენ პლანშეტისა და სწრაფი გადახდის აპარატის გამოყენებით.<br><br>საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადდა 4 ვიდეორგოლი და 5 საინფორმაციო ფლაერი - მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების, ხმის მიცემის პროცესის, ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხებისა და მათთვის შეთავაზებული სერვისების, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ გავრცელდა საინფორმაციო ფლაერები ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების შესახებ და ხმის მიცემის პროცედურების შესახებ. გარდა ამისა საუბნო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა გაავრცელეს ცესკოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც არჩევნების დღისთვის აღწევდნენ საარჩევნო ასაკს. №4 კრწანისის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა კი ასევე მიიღეს საინფორმაციო ფლაერი დაგეგმილი საპილოტე პროექტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით იუსტიციის სახლთან თანამშრომლობით ფლაერი დარიგდა იუსტიციის სახლის 26 ფილიალში. ყველა საინფორმაციო ფლაერი ეთნიკური უმცირესობებისთვის ნათარგმნი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად მომზადდა ანგარიში კამპანიის შესახებ, რომელიც წარედგინა ცესკოს თავმჯდომარეს. ანგარიში ასევე განთავსდა ცესკოს ვებგვერდსა და შიდა დისკზე "Angarishebi" | 100 % | სამუშაო ჯგუფი შექმნილია<br><br>პროექტი მომზადებულია<br><br>ამომრჩევლებთან, მათ შორის მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან საინფორმაციო შეხვედრები ჩატარებულია<br><br>მოქალაქეთა გამოკითხვა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასების მიზნით განხორციელებულია და შედეგები ანგარიშში ასახულია<br><br>კამპანია განხორციელებულია | შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ცესკოს თავმჯდომარის 2021 წლის 23 თებერვლის №01-15 ბრძანებით<br><br>მომზადდა პროექტი<br><br>ქ. თბილისსა და 63 მუნიციპალიტეტის ცენტრებსა და სოფლებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაიმართა 297 საინფორმაციო შეხვედრა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში 13 შეხვედრა, აქედან აზერბაიჯანულენოვან ამომრჩევლებთან გაიმართა 6, ხოლო სომხურენოვან ამომრჩევლებთან 5 შეხვედრა და მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან - 2 შეხვედრა.<br><br>განხორციელებული კამპანიის შესახებ მომზადდა ანგარიში, რომელიც წარედგინა ცესკოს თავმჯდომარეს, ასევე ხელმისაწვდომია ცესკოს ვებგვერდზე, იხილეთ ბმული: https://cesko.ge/static/file/202201133229-%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-3.pdf | ცესკოს სამუშაო ჯგუფი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.2** | **მიზანი** | ამომრჩევლის და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება | | | | | |
| **1.2.1** | **ამოცანა** | გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა ცოდნა საარჩევნო საკითხებზე ამაღლებულია საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა გაზრდილია მონაწილეთა უმეტესობის მიერ საგანმანათლებლო პროგრამა პოზიტიურად შეფასებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **1.2.1.1** | ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებთან ეთიკის (ქცევის) კოდექსის გაფორმება | განხორციელდა | პირველ სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქცევის (ეთიკის) კოდექსს. დოკუმენტი გულისხმობდა საარჩევნო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის შეთანხმებას პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის შესახებ. ტექსტი მემორანდუმის მხარეებმა ერთობლივად შეიმუშავეს.<br>მხარეები შეთანხმდნენ, რომ პატივს სცემდნენ კანონის უზენაესობას, იხელმძღვანელებდნენ არჩევნების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით და ქცევის (ეთიკის) კოდექსით, ხელს შეუწყობდნენ არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებასა და ძირითადი საარჩევნო პრინციპების, ასევე საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის განხორციელებას. იქნებოდნენ მიუკერძოებელნი და თავიანთ მოვალეობებს შეასრულებდნენ გამჭვირვალედ და ობიექტურად.<br><br>ქცევის (ეთიკის) კოდექსის სახელმძღვანელო პრინციპები იყო – პოლიტიკური ნეიტრალობა და მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა, პროაქტიული თანამშრომლობა და პანდემიის პირობებში ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა. | 100 % | სამუშაო ჯგუფი შექმნილია<br><br>ქცევის კოდექსის ტექსტი შემუშავებულია და მხარეებთან შეთანხმებულია<br><br>დოკუმენტზე ხელმომწერთა რაოდენობა | დეპარტამენტმა ორგანიზება ქცევის (ეთიკის) კოდექსის ტექსტის შემუშავებასა და შეთანხმებას<br><br>დოკუმენტს ხელი მოაწერა 24-მა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| **1.2.1.2** | საარჩევნო სუბიექტების "ეთიკის პრინციპების" დოკუმენტის შემუშავება | გაუქმებულია | საარჩევნო სუბიექტების "ეთიკის პრინციპების" დოკუმენტის შემუშავება და ხელმოწერა ხორციელდებოდა შვეიცარიის საელჩოს ფასილიტაციით. 2021 წელს აღნიშნული საელჩო არ განახორციელა ფასილიტაცია, შესაბამისად საქმიანობა არ შესრულდა. | 0 % | ეთიკის პრინციპების ტექსტი შემუშავებულია და მხარეებთან შეთანხმებულია<br><br>დოკუმენტზე ხელმომწერთა რაოდენობა<br><br>დოკუმენტის შესახებ საზოგადოება ინფორმირებულია | | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| **1.2.2** | **ამოცანა** | საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმების პატივისცემის უზრუნველყოფა | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმები შემუშავებული, აღიარებული და დაცულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **1.2.2.1** | საარჩევნო კომისიების წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება | განხორციელდა | მომზადდა 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსის ტექსტი, ასევე განხორციელდა ეთიკის კოდექსის ხელმოსაწერი ვერსიის დიზაინის შერჩევა და ბეჭდვისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება.<br><br>4 სექტემბერს, ცესკოს 16-მა წევრმა ხელი მოაწერა ეთიკის კოდექსს, დოკუმენტს ხელი არ მოაწერა პ/გ "გირჩის" მიერ დანიშნულმა წევრმა. დოკუმენტზე ხელმომწერები შეთანხმდნენ, რომ იმოქმედებდნენ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი ფუნქციების შესრულებისას იქნებოდნენ სამართლიანები, მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები, უზრუნველყოფდნენ საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირებისთვის თანაბარ და სამართლიან საარჩევნო გარემოს. ასევე, საოლქო და საუბნო სარჩევნო კომისიების უმრავლესობამ ხელი მოაწერა ზემოხსენებულ დოკუმენტს.<br><br>ცესკოს თავმჯდომარემ ყველა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართა წერილობითი რეკომენდაციით, რომელიც კომისიების წევრებს საქმიანობის ყველა ეტაპზე გაეთვალისწინებინათ ეთიკის პრინციპები. | 100% | საარჩევნო კომისიების წევრთა ეთიკის კოდექსი მომზადებულია<br><br>ცესკოს წევრთა მიერ ეთიკის კოდექსი ხელმოწერილია<br><br>საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მიერ<br>ეთიკის კოდექსი ხელმოწერილია<br><br>დოკუმენტზე ხელმომწერთა რაოდენობა | საარჩევნო კომისიების წევრთა ეთიკის კოდექსი დამტკიცდა ცესკოს 2021 წლის 23 აგვისტოს №49/2021 დადგენილებით<br><br>ეთიკის კოდექსს ხელი მოაწერა ცესკოს 16-მა წევრმა<br><br>საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრიდან ეთიკის კოდექსს მხოლოდ იშვიათ, ერთეულ შემთხვევაში არ მოეწერა ხელი (ძირითადად ადგილზე არყოფნის მიზეზით). | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| **1.2.2.2** | საინფორმაციო კურსი "საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ქცევის ზოგადი წესებისა და პროფესიული ეთიკის შესახებ" | განხორციელდა | 2021 წლის 15-29 ივნისის პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა გამართეს სამუშაო შეხვედრა სსკ-ების ხელმძღვანელი პირებისთვის.<br><br>შეხვედრის ფორმატში კომისიის თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები და კომისიის მდივნები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საკანონმდებლო სიახლეები, სსკ-ების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი, საინფორმაციო კურსი „სსკ-ების წევრთა ქცევის ზოგადი წესებისა და პროფესიული ეთიკის შესახებ", საარჩევნო სარეგისტრაციო პროცედურები და რეგისტრაციები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ლოგისტიკა.<br><br>შეხვედრებს ცესკოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და სწავლების ცენტრის ტრენერები უძღვებოდნენ.<br><br>საქმიანობა ვადაზე ადრე განხორციელდა. | 100% | სასწავლო მასალა შემუშავებულია<br><br>სსკ-ებისთვის საინფორმაციო კურსი განხორციელებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | შემუშავდა სასწავლო მასალა<br><br>ჩატარდა საინფორმაციო კურსი სსკ-ების ხელმძღვანელი პირებისთვის<br><br>სასწავლო კურსი გაიარა 219 -მა მონაწილემ | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი<br><br>სწავლების ცენტრი |
| **1.2.3** | **ამოცანა** | ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | არჩევნებში ძალადობისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილება, აღიარებული სტანდარტები გაზიარებულია და საჭიროებები განხილულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **1.2.3.1** | სამუშაო შეხვედრის გამართვა არჩევნებში ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ | არ დაწყებულა | სამუშაო შეხვედრა არ ჩატარდა. | 0% | სამუშაო შეხვედრა დაგეგმილი და ჩატარებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2** | **სტრატეგიული პრიორიტეტი** | **არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება**<br><br>უსაფრთხო, სანდო  საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად არჩევნებში ჩართულ მხარეებთან ერთად ქმედითი მექანიზმების შემუშავება და განხორციელება | | | | | |
| **2.1** | **მიზანი** | საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა | | | | | |
| **2.1.1** | **ამოცანა** | დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების მექანიზმი შექმნილია | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების მექანიზმი შექმნილია<br><br>დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **2.1.1.1** | დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების დოკუმენტის შემუშავება | განხორციელდა | 16 აგვისტოდან, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით (USAID) ცესკოში ამოქმედდა ინფორმაციის დაცულობის ცენტრი. საარჩევნო პერიოდში ცენტრი ახორციელებდა მედიამონიტორინგს, რომლის მიზანი იყო არასწორი/ყალბი ინფორმაციის გამოვლენა, გავრცელებული სიახლეების სისწორის გადამოწმება და მცდარი ინფორმაციის გავრცელების აღკვეთა. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია პირველია საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის, რომელმაც ასეთი ინოვაციური პროექტი განახორციელა.<br><br>3 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს გააცნო ინფორმაციის დაცულობის ცენტრის მუშაობის სპეციფიკა და შეხვედრის მონაწილეებს პირადად დაათვალიერებინა ცენტრი.<br><br>საანგარიშო პერიოდში ასევე ჩატარდა ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებისთვის, რომლის ფარგლებშიც მათ სხვა მნიშნელოვან საკითხებთან ერთად მიეწოდათ ინსტრუქცია იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოახდინონ რეაგირება დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე. ტრენინგი საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ექსპერტმა ჩაატარა. | 100 % | ანალიზი განხორციელებულია<br><br>სამოქმედო გეგმა შემუშავებულია<br><br>ინსტრუქციები შემუშავებულია | განხორციელდა ანალიზი<br><br>მომზადდა სამოქმედო გეგმა<br><br>შეიქმნა ინფორმაციის დაცულობის ცენტრი, რომლის ანგარიშები განთავსებულია ცესკოს ვებგვერდზე ბანერში "ინფორმაციის დაცულობის ცენტრი" https://cesko.ge/geo/list/3637<br><br>შემუშავდა ინსტრუქცია და ჩატარდა ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებისთვის | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| **2.1.1.2** | ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობა საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მცდარი ინფორმაციის გავრცელებაზე რეაგირების მიზნით | განხორციელდა | მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის გაფორმდა ქცევის (ეთიკის) კოდექსი, რომელშიც<br>ერთ-ერთ პუნქტად იყო გაწერილი საარჩევნო ადმინისტრაციის ვალდებულება, საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მცდარი ინფორმაციის გავრცელებაზე რეაგირების მიზნით, განავითაროს სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის მექანიზმები. თავის მხრივ კი დამკვირვებელი ორგანიზაციები, რომლებმაც ხელი მოაწერეს კოდექსს, იღებდნენ ვალდებულებას, არ გაევრცელებინათ დეზინფორმაცია, რომელსაც შესაძლო იყო დაეზიანებინა საარჩევნო პროცესისადმი ნდობა. ასევე საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მცდარი ინფორმაციის გავრცელებაზე რეაგირების მიზნით ითანამშრომლებდნენ საარჩევნო ადმინისტრაციასთან. | 100 % | თანამშრომლობის ფორმატები შექმნილია<br><br>ინფორმაცია გაზიარებულია | თანამშრომლობის ფორმატები შექმნილია<br><br>ინფორმაცია გაზიარებულია | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| **2.1.2** | **ამოცანა** | მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად მექანიზმების შემუშავება და განხორციელება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად შემუშავებული მექანიზმების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **2.1.2.1** | ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საინფორმაციო-სასწავლო კურსის "სადამკვირვებლო ორგანიზაციების როლი საარჩევნო პროცესში" განხორციელება | განხორციელდა | 11 სექტემბერს, სწავლების ცენტრმა გამართა დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის დამკვირვებლად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ არჩევნებზე დაკვირვების საერთაშორისო სტანდარტებს, დამკვირვებლების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულაციებსა და საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეებს.<br><br>საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 14 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 31-მა წარმომადგენელმა. | 100 % | საქმიანობის კონცეფცია და სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | შემუშავდა სასწავლო მასალა, დისტანციური ელექტრონული პროგრამა/პრეზენტაცია<br><br>საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა გაიარა 14 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის<br>31-მა წარმომადგენელმა | სწავლების ცენტრი |
| **2.1.2.2** | განცხადება/საჩივრების სამართლებრივი ანალიზის ჩატარება | განხორციელდა | შემუშავდა განცხადება/საჩივრების ანალიზის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციაში შემოსული განცხადება/საჩივრების ანალიზი. დოკუმენტი გაზიარებული იქნა ჩართული მხარეებისთვის. | 100 % | განცხადება/საჩივრები დამუშავებულია და ანალიზი განხორციელებულია<br><br>ჩართული მხარეებისთვის ანალიზის შედეგები გაზიარებულია | ახალი მეთოდოლოგიით განხორციელდა განცხადება/საჩივრების ანალიზის<br><br>განცხადება/საჩივრების ანალიზის შედგები წარედგინა ჩართულ მხარეებს | იურიდიული დეპარტამენტი |

| 2.1.3 | **ამოცანა** | საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის განმტკიცება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის ფორმატები მონაწილეთა მიერ მხარდაჭერილი და შეფასებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **2.1.3.1** | ცესკოში არსებული სამუშაო ჯგუფების (შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები) შეხვედრების გამართვა | განხორციელდა | 6 დეკემბერს, გაიმართა ცესკოში არსებული ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის დისტანციური შეხვედრა. ცესკოს თავმჯდომარემ და კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსმა სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგენს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ეთნიკური უმცირესობების მიმართ 2021 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. ანგარიში მოიცავდა ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირება საარჩევნო საკითხებზე, საგანმანათლებლო პროგრამები, კენჭისყრაში მონაწილეობის სტატისტიკა, საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წინასწარი მიგნებები.<br><br>პრეზენტაციის შემდეგ, ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს ეთნიკური უმცირესობების მიმართ 2022 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელ საქმიანობებზე.<br><br>7 დეკემბერს, გაიმართა ცესკოში არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის დისტანციური შეხვედრა. ცესკოს თავმჯდომარემ და კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსმა სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგინეს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შშმ პირთა მიმართ 2021 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. ანგარიში მოიცავდა ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: შშმ პირთა ინფორმირება საარჩევნო საკითხებზე, მისაწვდომი გარემო, კენჭისყრის დღეს შეთავაზებული სერვისები, კენჭისყრაში მონაწილეობის სტატისტიკა, საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წინასწარი მიგნებები.<br><br>პრეზენტაციის შემდეგ, ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს შშმ პირთა მიმართ 2022 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელ საქმიანობებზე. | 100% | შეხვედრების, ორგანიზაციების და მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სამუშაო ჯგუფის წევრების გამოკითხვა თანამშრომლობის ფორმატის შეფასების მიზნით განხორციელებულია და შედეგები ანგარიშში ასახულია | გაიმართა შშმ პირთა საკითხებზე მოქმედი სამუშაო ჯგუფის 1 და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის 1 შეხვედრა<br><br>6 დეკემბრის შეხვედრას დაესწრო 18 მონაწილე<br><br>7 დეკემბრის შეხვედრას დაესწრო 17 მონაწილე<br><br>ჩატარდა სამუშაო ჯგუფების წევრების გამოკითხვა, გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია სამუშაო ჯგუფის ფორმატით, მიღებული ინფორმაციის რაოდენობითა და ფორმატით | კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი |
| **2.1.3.2** | "ვიმსჯელოთ ერთად" ფორმატში სამოქალაქო ორგანიზაციებთან შეხვედრების გამართვა | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | 6 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარემ გამართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სადაც შეხვედრის მონაწილეებს ახალი მოადგილე გიორგი სიორიძე წარუდგინა.<br><br>ცესკოს თავმჯდომარემ შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდა ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, საკანონმდებლო სიახლეები, პანდემიის პირობებში არჩევნების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ჩასატარებლად საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელ საქმიანობები. | 90 % | შეხვედრების, ორგანიზაციების და მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სამუშაო ჯგუფის წევრების გამოკითხვა თანამშრომლობის ფორმატის შეფასების მიზნით განხორციელებულია და შედეგები ანგარიშში ასახულია | გაიმართა 1 შეხვედრა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმოამდგენლებთან<br><br>სამუშაო ჯგუფის წევრების გამოკითხვა თანამშრომლობის ფორმატის შესახებ არ ჩატარებულა | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| **2.1.3.3** | ტექნიკური სამუშაო ჯგუფის ფორმატში შეხვედრების გამართვა | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | საანგარიშო პერიოდში, დისტანციურად  გაიმართა ერთი შეხვედრა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის წევრებთან. სამუშაო ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების შესახებ და მოკლედ მიმოიხილეს არჩევნებისთვის განხორციელებული საქმიანობა. | 90 % | შეხვედრების, ორგანიზაციების და მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სამუშაო ჯგუფის წევრების გამოკითხვა თანამშრომლობის ფორმატის შეფასების მიზნით განხორციელებულია და შედეგები ანგარიშში ასახულია | 2021 წლის პერიოდში გაიმართა 2  შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ჯგუფის 28 და 25-მა წევრმა<br><br>სამუშაო ჯგუფის წევრების გამოკითხვა თანამშრომლობის ფორმატის შესახებ არ ჩატარებულა | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

| 2.1.4 | ამოცანა | გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საარჩევნო ინფორმაცია გასაჯაროებულია, საჯარო ინფორმაცია გაცემულია და ანგარიშგება უზრუნველყოფილია<br><br>სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობა პოზიტიურად შეფასებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **2.1.4.1** | საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის განხორციელება | განხორციელდა | მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების I და II ტურისთვის ცესკომ განსაზღვრა საინფორმაციო კამპანიის ძირითადი მიმართულებები ამომრჩეველთა ინფორმირების, მედიასთან ურთიერთობის, არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირების კუთხით. საინფორმაციო კამპანიის მიზანია მოქალაქეების ინფორმირება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და ამომრჩევლებისთვის საარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს შეთავაზებული სერვისების შესახებ.<br><br>კონცეფციის შესაბამისად განახლდა ცესკოს ლოგო, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელების გვერდები. სოციალურ ქსელებში ხორციელდებოდა აქტიური საინფორმაციო-საიმიჯო კამპანია, სოციალური ქსელების მართვა ახალი მიდგომებით მიმდინარეობდა, რაც აისახა როგორც ვიზუალურ, ისე შინაარსობრივ მხარეზე. განახლდა ცესკოს ოფიციალური Facebook გვერდი და შეიქმნა ცესკოს თავმჯდომარის ოფიციალური გვერდი.<br><br>სოციალურ ქსელებში Twitter და Instagram შეიქმნა ცესკოს თავმჯდომარის გვერდები.<br>მომზადდა და რეგიონული და ცენტრალური ტელეკომპანიების ეთერში, ასევე ცესკოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსდა 13 ვიდეორგოლი, მათ შორის 4 - არჩევნების II ტურისთვის. არჩევნებთან დაკავშირებით დამზადებული აუდიო რგოლები განთავსდა რადიო ეთერებში. სარეკლამო ბანერები განთავსდა 80-ზე მეტი ცენტრალური და რეგიონული საინფორმაციო სააგენტოს ვებგვერდზე. სარეკლამო მასალა განთავსდა ასევე ვებგვერდებზე "youtube. com"  „adjaranet.com“ და „palitravideo.ge“.  ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა 23 სარეკლამო გარე ბანერი. ცესკოს ვებგვერდზე განთავსდა 101 სიახლე.<br><br>მნიშვნელოვანია, რომ როგორც საარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების შეჯამების შემდეგაც  გაგრძელდა ცესკოს სხდომების გადაცემა პირდაპირ ეთერში ცესკოს ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში Facebook.  აღნიშნულმა ხელი შეუწყო საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის კიდევ უფრო მეტ გამჭვირვალობასა და საზოგადოების მაქსიმალურად ინფორმირებას. ასევე შესაძლებლობას აძლევდა ჩართულ მხარეებს საჭიროების შემთხვევაში დისტანციურად ჩართულიყვნენ ცესკოს სხდომებში.<br><br>პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ცესკოში გამართული 48 ბრიფინგი.<br><br>ამომრჩევლის ინფორმირებისა და საარჩევნო საკითხების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა მედიასაშუალების გადაცემებში.<br><br>ასევე ეთნიკური უმცირესობების ენებზე გავრცელდა საარჩევნო ინფორმაცია სომხურენოვანი გაზეთის „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის „გურჯისტანი“ საშუალებით. | 100 % | კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განახლებული და განხორციელებულია<br><br>ტელევიზიაში, რადიოში, ბეჭდურ მედიასა და ინტერნეტში განთავსებული მასალის რაოდენობა | განახლდა და განხორციელდა კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა<br><br>ჩატარდა 48 ბრიფინგი,  მომზადდა და სატელევიზიო ეთერში განთავსდა 13 ვიდეორგოლი; სარეკლამო ბანერები განთავსდა 80-ზე მეტი ცენტრალური და რეგიონული საინფორმაციო სააგენტოს ვებგვერდზე. სარეკლამო მასალა განთავსდა ასევე ვებგვერდებზე "youtube",  „adjaranet.com“ და „palitravideo.ge“<br><br>ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა 23 სარეკლამო გარე ბანერი<br><br>ვებგვერდზე განთავსდა 101 სიახლე.<br><br>გავრცელდა საარჩევნო ინფორმაცია სომხურენოვანი გაზეთის „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის „გურჯისტანი“ საშუალებით | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| **2.1.4.2** | საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება | განხორციელდა | მომზადდა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების შუალედური ანგარიში, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას არჩევნების დანიშვნის დღიდან, 2 აგვისტოდან 15 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ ძირითად საქმიანობას, კერძოდ, №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში დაგეგმილი საპილოტე პროექტი, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული ზომები, ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაცია, საარჩევნო რეგისტრაციები, ამომრჩეველთა ინფორმირება, საგანმანათლებლო პროგრამები და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა.<br><br>ანგარიშის მიხედვით მომზადდა პრეზენტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ცესკოს თავმჯდომარემ, 28 სექტემბერს, შუალედური ანგარიში წარუდგინა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, 29 სექტემბერს – ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ხოლო 1 ოქტომბერს – არჩევნებისთვის რეგისტრირებული 14 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის  წარმომადგენლებს.<br><br>ანგარიში ითარგმნა ინგლისურ ენაზე. ანგარიშის ქართული და ინგლისური ვერსიები განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე ასევე, შიდა დისკზე „Angarishebi“. | 100 % | საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების ანგარიში მომზადებული და წარდგენილია<br><br>საარჩევნო ადმინისტრაციის და სწავლების ცენტრის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში მომზადებულია<br><br>2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შუალედური ანგარიში მომზადებულია | მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში<br><br>მომზადდა და ცესკოს წარედგინა საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში<br><br>მომზადდა და ჩართულ მხარეებს წარედგინათ 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების შუალედური ანგარიში<br><br>ანგარიშები განთავსებულია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე შიდა დისკზე "Angarishebi" | კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი |

| 2.1.5 | ამოცანა | საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გაძლიერება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატებისა და ინფორმირების მექანიზმების რაოდენობა<br><br>საერთაშორისო პარტნიორების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ დადებითი შეფასებების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **2.1.5.1** | საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ ინგლისურენოვანი ელექტრონული გამოცემის მომზადება და გავრცელება | განხორციელდა | მომზადდა ელექტრონული გამოცემა "ელექტრონული ხმის მიცემის პილოტი საქართველოში - გზა წინსვლისკენ". გამოცემაში ასახულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს წარმატებით განხორციელებული საპილოტე პროექტის შესახებ, კერძოდ კრწანისის საარჩევნო ოლქში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის შესახებ.<br><br>ელექტრონული გამოცემა გაგზავნილია საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან. | 100 % | გამოცემა მომზადებულია<br><br>საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთ საქართველოს წარმომადგენლობებთან და სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან ელექტრონული გამოცემა გაგზავნილია | მომზადდა გამოცემა<br><br>გამოცემა გაიგზავნა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| **2.1.5.2** | საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის საელჩოებისა და წარმომადგენლობების თანამშრომლებთან არჩევნების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | განხორციელდა | 29 სექტემბერს, სწავლების ცენტრის დირექტორმა გამართა დისტანციური საინფორმაციო შეხვედრა უცხო ქვეყნის საელჩოებისა და დელეგაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: საკანონმდებლო სიახლეები, კენჭისყრის დღისთვის დადგენილი პროცედურული და ეპიდემიოლოგიური რეგულაციები, მათ შორის, სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხები. ამასთან, მონაწილეებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია ცესკოს და სწავლების ცენტრის მიერ საარჩევნო კომისიების პროფესიული გადამზადების, ამომრჩეველთა და ჩართული მხარეების ინფორმირების კამპანიის, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს, არჩევნების სანდოობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის, დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის გავრცელების პრევენციის მექანიზმებზე.<br>შეხვედრის მონაწილეები ასევე გაეცნენ მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში დაგეგმილი საპილოტე პროექტის შესახებ.<br><br>საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის საელჩოებისა და დელეგაციების 14-მა წარმომადგენელმა, მათ შორის: არაბეთის გაერთიანებული საემიროები (მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი); შვეიცარია (მისიის ხელმძღვანელის მოადგილე); ლიეტუვა (სრულუფლებიანი დესპანი); შვედეთის სამეფო (პირველი მდივანი – პოლიტიკურ საკითხებში); კანადა (მეორე მდივანი პოლიტიკურ საკითხებში); ნიდერლანდები (პოლიტიკური ოფიცერი); იტალია (მისიის წარმომადგენელი); იაპონია (მისიის წარმომადგენელი); მოლდოვა (მისიის წარმომადგენელი); ევროპის საინვესტიციო ბანკის რეგიონული წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში (ხელმძღვანელი); გაეროს რეგიონული კოორდინატორის ოფისი საქართველოში (ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი); საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს საქართველოს ოფისი (ოფისის ხელმძღვანელი); ნატოს სამეკავშირეო ოფისი (პოლიტიკური ოფიცერი); მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (წარმომადგენელი). | 100 % | საქმიანობის კონცეფცია და საინფორმაციო მასალა შემუშავებულია<br><br>საინფორმაციო შეხვედრები ჩატარებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | შეიქმნა საქმიანობის კონცეფცია და მომზადდა საინფორმაციო მასალა (პრეზენტაცია)<br><br>საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ონლაინ ფორმატში<br><br>შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის საელჩოებისა და დელეგაციების 14 წარმომადგენელმა | სწავლების ცენტრი |
| **2.1.5.3** | საერთაშორისო კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებში დისტანციურად მონაწილეობის ორგანიზება | განხორციელდა | საანგარიშო პერიოდში ცესკოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 12 საერთაშორისო კონფერენციასა და სამუშაო შეხვედრაში:<br><br>1. საარჩევნო სამართლის შესახებ გლობალური ქსელის მეოთხე პლენარული ასამბლეა<br>2. საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის (ACEEEO) მიერ ორგანიზებული სიმპოზიუმი<br>3. საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიურ ღონისძიება<br>4. საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მე-14 შეხვედრა<br>5. საერთაშორისო ვებინარი „არჩევნების ადმინისტრირება ევროპაში პანდემიის დროს“<br>6. სამუშაო შეხვედრა „გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი და ინტერსექციული პერსპექტივები საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში“<br>7. შეხვედრა მთავრობათაშორისი კოალიციის „დემოკრატიათა თანამეგობრობა" გენერალურ მდივანთან<br>8. შეხვედრა IFES-ის წარმომადგენლებთან<br>9. სამუშაო შეხვედრა „მეტი ქალი (თვით) მმართველობაში და ბარიერები, რომლებსაც ქალი კანდიდატები აწყდებიან – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პრიზმიდან“<br>10. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)“ და „ევროპული პლატფორმა დემოკრატიული არჩევნებისთვის (EPDE)“ მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრა<br>11. კონფერენცია „დემოკრატიული არჩევნები ბელარუსის კრიზისის მოგვარების მიზნით“<br>12. კონფერენცია „დეზინფორმაციასთან გამკლავება: საარჩევნო ადმინისტრაციების როლი საარჩევნო პერიოდში ამომრჩევლებთან კომუნიკაციის დროს<br><br>ასევე, ცესკოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 3 სადამკვირვებლო მისიაში:<br>1. უზბეკეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნები<br>2. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია ყირგიზეთში<br>3. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია მოლდოვაში | 100 % | გამართული შეხვედრების რაოდენობა<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | ცესკოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 12 საერთაშორისო კონფერენციასა და სამუშაო შეხვედრაში და 3 სადამკვირვებლო მისიაში | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| **2.1.5.4** | საარჩევნო ადმინისტრაციების მე-10 საერთაშორისო დისტანციური კონფერენციის ორგანიზება | არ დაწყებულა | კონფერენციის ჩატარების ვადა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეპიდსიტუაციაზე. სავარაუდოდ განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ პერიოდში და არა დისტანციურ რეჟიმში. | 0 % | კონფერენციაზე განსახილველი თემატიკა განსაზღვრულია<br><br>მონაწილე ორგანიზაციების და წარმომადგენლების რაოდენობა<br><br>კონფერენცია ორგანიზებული და ჩატარებულია | | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br><br>საფინანსო დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.1.6** | **ამოცანა** | არჩევნების შედეგების სწრაფი/დროული გასაჯაროების უზრუნველყოფა | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | არჩევნების წინასწარი შედეგები და შემაჯამებელი ოქმები შესაძლო უმოკლეს ვადებში გასაჯაროებული და ხელმისაწვდომია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **2.1.6.1** | არჩევნების წინასწარი შედეგების პროგრამული შესაძლებლობების განვითარება/გაუმჯობესება | განხორციელდა | არჩევნების წინასწარი შედეგების პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შემაჯამებელი ოქმების ანალიზის საფუძველზე, მომზადდა ტექნიკური დავალება. არჩევნების წინასწარი შედეგების პროგრამას დაემატა შესაბამისი კატეგორიები შემაჯამებელი ოქმების ანალიზის განსახორციელებლად.<br><br>განახლებული პროგრამის საშუალებით ცესკოს ვებგვერდზე ბანერში „შედეგები 2021" გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წინასწარი შედეგები. | 100 % | ანალიზი განხორციელებულია<br><br>ტექნიკური დავალება მომზადებულია<br><br>პროგრამული განახლება განხორციელებულია | განხორციელდა 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შემაჯამებელი ოქმების ანალიზი<br><br>მომზადდა ტექნიკური დავალება<br><br>არჩევნების წინასწარი შედეგები გამოქვეყნდა განახლებული პროგრამის საშუალებით https://results.cec.gov.ge/#/ka-ge | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| **2.2** | **მიზანი** | უსაფრთხო საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა | | | | | |
| **2.2.1** | **ამოცანა** | საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ წარმართვის უზრუნველსაყოფად ეფექტიანი მექანიზმების განხორციელება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტებისა და მათზე ეფექტური რეაგირების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **2.2.1.1** | საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის საინფორმაციო - სასწავლო კურსის "კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოება" განხორციელება | განხორციელდა | 1-5 სექტემბერს, სწავლების ცენტრმა გამართა დისტანციური საინფორმაციო შეხვედრები 72 საოლქო საარჩევნო კომისიის 1 241 წევრისგან დაკომპლექტებულ 18 ჯგუფთან. საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა სხვადასხვა საარჩევნო საკითხებთან ერთად, მიიღეს ინფორმაცია არჩევნების უსაფრთხოების მოდულზე.<br><br>25 აგვისტო-27 სექტემბრის პერიოდში, ტრენინგების კონცეფციის შესაბამისად, ექვს ეტაპად განხორციელდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის არჩევნების უსაფრთხოების საკითხების სწავლებას დაეთმო ტრენინგების IV ეტაპი. სწავლება გაიარა 3 633 საუბნო საარჩევნო კომისიის 9 495 ხელმძღვანელმა პირმა (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი).<br><br>შენიშვნა: მონაცემებში არ არის შეყვანილი №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა. | 100 % | სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის მომზადდა "არჩევნების უსაფრთხოების შესახებ" შესაბამისი ინსტრუქცია<br><br>ტრენინგს დაესწრო:<br>* 72 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი;<br>* 3 633 საუბნო საარჩევნო კომისიის 9 495 წევრმა, მათ შორის, 7 331 (77%) ქალი და 2 164 (23%) კაცი | სწავლების ცენტრი |
| **2.2.1.2** | ჩართული მხარეებისთვის საინფორმაციო - სასწავლო კურსის "კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოება" განხორციელება | განხორციელდა | სწავლების ცენტრმა, ჩაატარა დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის დამკვირვებლად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების და მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან.<br><br>შეხვედრის მონაწილეებმა პროცედურულ საკითხებთან ერთად განიხილეს არჩევნებში ჩართული მხარეების უფლებრივი მდგომარეობა და მათი როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად. | 100 % | სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | მომზადდა სასწავლო-საინფორმაციო მასალა (პრეზენტაცია)<br><br>შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო:<br>* 14 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 31-მა წარმომადგენელმა<br>* 17 საარჩევნო სუბიექტის 43-მა წარმომადგენელმა<br>* სხვადასხვა მედიასაშუალების 43-მა წარმომადგენელმა | სწავლების ცენტრი |
| **2.2.1.3** | საარჩევნო პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების აღრიცხვა და ანალიზი | არ განხორციელდა | საარჩევნო პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების აღრიცხვა და ანალიზი არ განხორციელდა | 0 % | ინციდენტების შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია<br><br>ინციდენტების ანალიზი განხორციელებულია | | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| **2.2.2** | **ამოცანა** | სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის გაძლიერება არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარების მიზნით | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | თანამშრომლობის მექანიზმი შექმნილია და პრევენციული ღონისძიებები განხორციელებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **2.2.2.1** | სამართალდამცავ უწყებებთან კოორდინაციის გაძლიერება | განხორციელდა | 2 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების მიზნით გააფორმეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.<br><br>მემორანდუმი ითვალისწინებდა არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესის მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად, მხარეთა თანამშრომლობასა და კოორდინირებულ მუშაობას, ასევე, ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას. | 100 % | შსს-თან მემორანდუმი განახლებულია და ხელმოწერილია | მემორანდუმის ტექსტი განახლდა, ხოლო 2021 წლის 2 სექტემბერს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა | იურიდიული დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.2.2.2** | სამართალდამცავ უწყებებისთვის დისტანციური სასწავლო კურსის განხორციელება | განხორციელდა | 17-18 სექტემბერს, სწავლების ცენტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის (შსს აკადემია) თანამშრომლობით, განხორციელდა პოლიციელთა გადამზადების პროგრამა, დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და უსაფრთხოება“.<br><br>სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პირებთან ერთად განიხილეს საკანონმდებლო სიახლეები და შემდეგი საკითხები: უსაფრთხო საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად; არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი როლი არჩევნების უსაფრთხოების პროცესში (უფლებრივი მდგომარეობა და მოქმედების ფარგლები საარჩევნო პროცესში); საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოების მიმართულებით რისკების იდენტიფიცირება; საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანონმდებლო მექანიზმები (პრევენცია და რეაგირება); პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები.<br><br>პოლიციელები ასევე გაეცნენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებას და აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართულ ინსტრუქციებს, რომელთა თანახმად, საქართველოს რეგიონებში, პოლიციის დეპარტამენტების სამოქმედო ტერიტორიებზე შეიქმნება სამართალდარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის პასუხისმგებელი ჯგუფები. | 100 % | დისტანციური სასწავლო კურსი განახლებული და განხორციელებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | მომზადდა და განხორციელდა საინფორმაციო-სასწავლო კურსი<br><br>საინფორმაციო-სასწავლო კურსი გაიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 879-მა თანამშრომელმა | სწავლების ცენტრი |
| **2.3** | **მიზანი** | საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერ საფრთხეების აცილების მიზნით | | | | | |
| **2.3.1** | **ამოცანა** | ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გაუმჯობესება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემუშავებული მექანიზმების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **2.3.1.1** | ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემუშავება/განახლება | განხორციელდა | განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. განახლდა სარეზერვო ასლების მართვის პოლიტიკა. | 100 % | ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დოკუმენტაცია შემუშავებულია და შესაბამისობაშია საკანონმდებლო/მარეგულირებელ მოთხოვნებთან | განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დოკუმენტაცია საკანონმდებო/მარეგულირებელ მოთხოვნების შესაბმისად | ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი |
| **2.3.2** | **ამოცანა** | კიბერ უსაფრთხოების გაუმჯობესება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | აცილებული კიბერ ინციდენტების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **2.3.2.1** | კიბერ შეტევებისგან დამცავი სისტემისა და ლიცენზიების განახლება | განხორციელდა | კიბერ-შეტევებისაგან დამცავი სისტემებისა და ლიცენზიების განახლების მიზნით, შემოწმდა საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებული საინფორმაციო სისტემები, გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად შეიქმნა ტექნიკური დავალებები და განხორციელდა მათი განახლება. | 100 % | კიბერ შეტევებისგან დამცავი სისტემები და ლიცენზიები განახლებულია | განახლდა კიბერ შეტევებისგან დამცავი სისტემები და ლიცენზიები | საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| **2.3.2.2** | კიბერ შეტევებისგან დამცავი ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესება | განხორციელდა | კიბერ საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის IT ინფრასტუქტურაში, შემოწმდა საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებული საინფორმაციო სისტემები, გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად შეიქმნა ტექნიკური დავალებები და განხორციელდა მათი განახლება. | 100 % | საჭიროებები შესწავლილია<br><br>ტექნიკური საშუალებები საჭიროებისამებრ განახლებულია | გამოვლინდა გაჭიროებები<br><br>განახლდა კიბერ-შეტევებისაგან დამცავი სისტემები და ლიცენზიები | საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| **2.3.2.3** | სსკ-ების წევრებისთვის კიბერ ჰიგიენის საკითხებზე დისტანციური ტრენინგების ჩატარება | განხორციელდა | 2021 წლის 1-12 მარტის პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) პარტნიორობით, ონლაინ ფორმატში განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კიბერუსაფრთხოება და კიბერ-ჰიგიენა“ ყველა სსკ-ს წევრებისთვის.<br><br>პროგრამა ეხმიანებოდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას და ითვალისწინებდა კიბერ საფრთხეების პრევენციის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობას. მონაწილეები გაეცნენ კიბერუსაფრთხოების კონტროლის მექანიზმებსა და კიბერ-ჰიგიენის ძირითად გაიდლაინებს. | 100 % | ტრენინგ პროგრამა განსაზღვრულია<br><br>ტრენინგი ჩატარებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | განისაზღვრა სატრენინგო პროგრამა, მომზადდა და მონაწილეებს გადაეცა სახელმძღვანელო<br><br>ჩატარდა ტრენინგი 7 ნაკადად 13 ჯგუფისთვის<br><br>ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 76 სსკ-ს 370-მა წევრმა, მათ შორის 221 (60%) ქალი და 149 (40%) კაცი | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br><br>სწავლების ცენტრი |

| 3 | სტრატეგიული პრიორიტეტი | საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები<br><br>საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ინოვაციური, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.1 | მიზანი | საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება | | | | | |
| 3.1.1 | ამოცანა | საარჩევნო სერვისების მიწოდება, ოპერაციების სტანდარტიზაცია და ოპტიმიზაცია | | | | | |
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | ერთგვაროვანი მიდგომები დანერგილია<br><br>სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ საარჩევნო სერვისები დადებითად შეფასებულია | | | | | |
| N | საქმიანობა | საქმიანობის სტატუსი* | საქმიანობის აღწერა* | პროგრესი (%)* | საქმიანობის შესრულების ინდიკატორი | საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში | ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი |
| 3.1.1.1 | მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნების ორგანიზება/ჩატარება | განხორციელდა | მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების ორგანიზების მიზნით, ცესკომ საარჩევნო პროცესი წარმართა კანონმდებლობის სრული დაცვითა და საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის დამტკიცებული საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შესაბამისად. | 100% | საარჩევნო პროცედურები განხორციელებულია | მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ იხილეთ ანგარიშში, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს, განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე და შიდა დისკზე "Angarishebi" | ყველა დეპარტამენტი |
| 3.1.1.2 | საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების გადამზადება | განხორციელდა | საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები მიზნად ისახავდას 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების II ტურისთვის საარჩევნო კომისიების მუშაობის ეფექტიანობის ზრდას, ამომრჩევლებისა და ჩართული მხარებისთვის შესაბამისი სერვისის გაუმჯობესებას.<br>სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული გადამზადების პროგრამის ფარგლებში ჯამურად 3375 სატრენინგო სესია ჩატარდა:<br>3338 ტრენინგი (ოთხი ეტაპის ფარგლებში) - 1830 საუბნო საარჩევნო კომისიის სწავლებაზე ორიენტირებით;<br>29 ტრენინგი (ერთი ეტაპის ფარგლებში) - სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფად შექმნილი 29 სპეციალური ჯგუფის სწავლებაზე ორიენტირებით;<br>8 ტრენინგი (ერთი ეტაპის ფარგლებში) - სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი 8 საუბნო საარჩევნო კომისიის/სპეციალური ჯგუფის სწავლებაზე ორიენტირებით.<br><br>არჩევნების I ტურის მაგალითზე საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის პროცესში იდენტიფიცირებულ ხარვეზებზე აქცენტირებით ტრენინგები პრაქტიკულ სწავლებაზე დაფუძნებით წარიმართა. არჩევნების II ტურისთვის - საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელმა პირებმა ინტენსიური გადამზადება გაიარეს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსების ტექნიკაზე. ამასთან, ყურადღება დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მიერ კენჭისყრის დღეს შესასრულებელი სხვა ფუნქციების არსებით განხილვას და მათი შესრულების პრაქტიკას, შესაბამისი ეპიზოდური ინსცენირებებისა და სხვა სავარჯიშოების ფორმატში.<br><br>ტრენინგების ჩატარება სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 144-მა ტრენერმა უზრუნველყო. სასწავლო პროცესი პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის დაცვით წარიმართა: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ყოველი სატრენინგო სესიის დაწყების წინ, ტრენინგების ჩატარების 144 ლოკაციაზე მონაწილეებს უტარდებოდათ სწრაფი ტესტი.<br><br>აღსანიშნავია, რომ არჩევნების II ტურისთვის საპილოტე რეჟიმში ასევე განხორციელდა ცესკოს, სწავლების ცენტრისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) თანამშრომლობით შემუშავებული ელექტრონული სასწავლო პროგრამა „კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის ტექნიკა“: პროგრამა ითვალისწინებდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მდივანი) პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განმტკიცებას კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის ტექნიკაზე. საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის ცენტრალიზებულად, პირისპირ ფორმატში ჩატარებული ტრენინგების დასრულების შემდგომ, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ შემაჯამებელი ოქმის შედგენის საკითხზე მიღებული ცოდნა გადაემოწმებინათ დამატებითი რესურსის სახით შემუშავებული ელექტრონული პროგრამის მეშვეობით | 100% | ტრენინგების კონცეფცია განახლებულია<br><br>გადამზადებული ტრენერების რაოდენობა<br><br>გადამზადებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობა<br><br>ტრენინგის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | განახლდა ტრენინგების კონცეფცია<br>გადამზადდა 144 ტრენერი<br><br>1830 საუბნოს საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილ ტრენინგებზე, ეტაპების მიხედვით დაესწრო:<br>I ეტაპი - 3736 წევრი (69%.3%)<br>II ეტაპი - 3262 წევრი (60.7%)<br>III ეტაპი - 3190 წევრი (59.1%)<br>IV ეტაპი - 11 111 წევრი (44%)<br>დეტალური სტატისტიკა იხ:http://electionreforms.ge/res/docs/I-IV.pdf<br><br>სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფად შექმნილი 29 სპეციალური ჯგუფისთვის განკუთვნილ ტრენინგებზე დაესწრო:<br>I ეტაპი - 281 წევრი (68.4%)<br>დეტალური სტატისტიკა<br>http://electionreforms.ge/res/docs/20211028222954.pdf<br><br>სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი 8 საუბნო საარჩევნო კომისიისთვის/სპეციალური ჯგუფისთვის განკუთვნილ ტრენინგებზე დაესწრო: I ეტაპი - 43 წევრი (52.4%)<br><br>ტრენინგის შეფასების შედეგებით მონაწილეების ცოდნა გაზრდილია და ტრენინგი პოზიტიურადაა შეფასებული | სწავლების ცენტრი |
| 3.1.1.3 | სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის მომსახურების გაუმჯობესება | განხორციელდა | კონტაქტ-ჰაბში საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 10 630 ზარი, განხორციელდა 407 გამავალი ზარი, ჩათით მომსახურება გაეწია 4 638 მომხმარებელს. ასევე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაეცა პასუხი არასამუშაო საათებში დატოვებულ 11 კითხვას. კონტაქტ-ჰაბის ნომერზე 2 51 00 51 დატოვებული იყო 80 ხმოვანი შეტყობინება, შეტყობინების ავტორებთან განხორციელდა გამავალი ზარი; სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს გაეგზავნათ 285 მოკლე ტექსტური შეტყობინება (sms).<br><br>კონტაქტ-ჰაბში შემოსული კითხვები ძირითადად ეხებოდა შემდეგ საკითხებს: ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების გადამოწმება, საარჩევნო კოდექსი, ცესკოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, საარჩევნო სუბიექტი, მონიტორინგი და მედია, ცესკოს/ოლქის/უბნის საკონტაქტო ინფორმაცია, გადასატანი ყუთის მოთხოვნა, კენჭისყრის დღის პროცედურები.<br><br>შემუშავდა კრიტერიუმები მომხმარებელთა მიერ კონტაქტ-ჰაბის მომსახურების შეფასებისთვის, რომლის მიხედვით ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა. მომხმარებელთა უმეტესობამ გამოთქვა კმაყოფილება მიღებული სერვისით. | 100 % | ცენტრის მიერ 2020 წელს განხორციელებული მომსახურების, მათ შორის კოვიდ რისკ ჯგუფებისთვის ანალიზი განხორციელებულია<br><br>ცენტრის საქმიანობის კონცეფცია განახლებულია<br><br>მომსახურება გაუმჯობესებულია<br><br>სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავებული და გამოქვეყნებულია<br><br>მომხმარებელთა მიერ მომსახურების შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | განხორციელდა ცენტრის მიერ 2020 წელს განხორციელებული მომსახურების, მათ შორის კოვიდ რისკ ჯგუფებისთვის ანალიზი<br><br>განახლდა ცენტრის საქმიანობის კონცეფცია<br><br>დამუშავდა და ანგარიშში აისახა მომხმარებელთა მიერ მომსახურების შეფასების შედეგები<br><br>დამუშავდა და ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატისტიკური ინფორმაცია | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |

| 3.1.2 | ამოცანა | საარჩევნო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა იძლევა საარჩევნო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას და პასუხობს ახალ გამოწვევებსა და მოთხოვნებს | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **3.1.2.1** | ცესკოს სხდომების ელექტრონული მართვის დანერგვა | შეჩერებულია | გაიმართა შეხვედრები პროგრამული სერვისის მომწოდებელ კომპანიებთან და გამოვლინდა სერვისის მომწოდებელი კომპანია. დადგინდა ცესკოს სხდომებისა და კომისიის წევრთა ხმის მიცემის სამართლებრივი ნორმების თავსებადობა მომწოდებელი კომპანიის პროდუქტის ტექნიკურ და პროგრამულ შესაძლებლობებთან.<br><br>ცესკოს ხელმძღვანელ პირებთან შეთანხმებით პროექტის დანერგვა შეჩერებულია, ის დაიგეგმა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში, ცესკოს სხდომათა დარბაზის რეკონსტრუქციის პროცესში შესასრულებელ სამუშაოებთან ერთად. | 50 % | ცესკოს წევრთა მიერ ელექტრონული ხმის მიცემის პროცესი ტექნიკურად და პროგრამულად უზრუნველყოფილია | შეიქმნა პროექტის კონცეფცია<br><br>შეირჩა სერვისის მომწოდებელი კომპანია | ცესკოს მდივნის აპარატი<br><br>საფინანსო დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| **3.1.2.2** | საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა როგორც ცესკოს ადმინისტრაციულ შენობაში (მოეწყო კომისიის წევრებისა და მოადგილის სამუშაო ოთახები), ისე ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში.<br><br>საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა შენობაში ჩატარდა ელექტროგაყვანილობის გამართული მუშაობის მონიტორინგი და განხორციელდა არსებული ხარვეზების აღმოფხვრა. სსკ-ების შენობებში მოეწყო უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi ქსელი), შემოწმდა და ტექნიკურად გაიმართა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა.<br><br>საქმიანობის შესრულების 95%-იანი სტატუსი განპირობებულია იმით, რომ ორი ინფრასტრუქტურული პროექტი (ცესკოს ადმინისტრაციული შენობის სხვენის რეკონსტრუქცია, ახმეტის სსკ-ს ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია) დაფინანსებულია 2021 წლის ბიუჯეტით, ხოლო მათი დასრულება გათვალისწინებულია 2022 წელს. | 95 % | საარჩევნო ადმინისტრაციის სამეურნეო-სარემონტო სამუშაოები იდენტიფიცირებულია<br><br>საარჩევნო ადმინისტრაციის სამეურნეო-სარემონტო სამუშაოები განხორციელებულია | იდენტიფიცირებულია ჩასატარებელი სამუშაოები<br><br>განხორციელდა სამეურნეო-სარემონტო სამუშაოები, რის შედეგად გაუმჯობესდა საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა | საფინანსო დეპარტამენტი |
| **3.1.2.3** | არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარის/მასალების შეძენა | განხორციელდა | დამუშავდა სსკ-ებიდან მიღებული ინფორმაცია საარჩევნო ინვენტარის საჭიროებებთან დაკავშირებით. განისაზღვრა შესასყიდი ინვენტარის რაოდენობები, დაიგეგმა შესყიდვის პროცედურები, ჩატარდა ბაზრის კვლევა, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები.<br><br>სსკ-ებში განხორციელდა სარჩევნო ინვენტარის, პანდემიის პრევენციისთვის საჭირო აღჭურვილობის და შშმ ამომრჩეველთათვის დამხმარე საშუალებების დისტრიბუცია. | 100 % | საჭიროებების კვლევა განხორციელებულია (მათ შორის პანდემიის პრევენციისთვის საჭირო აღჭურვილობა/მომსახურება და შშმ ამომრჩეველთათვის დამხმარე საშუალებები)<br><br>შესყიდვების პროცედურები ჩატარებულია<br><br>ინვენტარის დისტრიბუცია განხორციელებულია | განისაზღვრა შესასყიდი საარჩევნო ინვენტარის რაოდენობები<br><br>განხორციელდა შესყიდვების პროცედურები<br><br>განხორციელდა ინვენტარის დისტრიბუცია | საფინანსო დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| **3.1.2.4** | თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან საარჩევნო უბნების განთავსების მიზნით | განხორციელდა | კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს გაეგზავნათ წერილები იმ შენობა-ნაგებობების შესახებ ინფორმაციის მოწოდების მიზნით, რომელიც ადაპტირებულია.<br><br>საქართველოს მასშტაბით, 73 საარჩევნო ოლქში შემავალი 3 664 საარჩევნო უბნიდან, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომია 1 107 საარჩევნო უბანი, მათ შორის მარტივი ადაპტაცია – 256, პანდუსი – 851. | 100 % | შესაბამის უწყებებთან კომუნიკაცია განხორციელებულია<br><br>საარჩევნო უბნების განთავსების შესახებ ინფორმაცია მოძიებულია<br><br>ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ ინფორმაცია პასუხისმგებელი უწყებებიდან გამოთხოვილი და დამუშავებულია | გაიგზავნა წერილები შესაბამის უწყებებთან და დამუშავდა მიღებული ინფორმაცია<br><br>საარჩევნო უბნების განთავსების შესახებ ინფორმაცია მოძიებულია<br><br>ცესკოს ვებგვერდზე ბანერში "საარჩევნო რუკა" საარჩევნო უბნების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია დასურათებულ ფორმატში https://map.cec.gov.ge/ | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| **3.1.2.5** | საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ორგანიზება | განხორციელდა | 2021 წელს ჩატარდა ორი სასერტიფიკაციო გამოცდა. სერტიფიცირების მიზანი იყო საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნისა და ზოგადი უნარების დადგენა, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის მიზნით. სასერტიფიკაციო გამოცდები ჩატარდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით. თითოეული გამოსაცდელისთვის ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩა 30 საგამოცდო ტესტი. გამსვლელი ქულის (24 ქულა) მიღების შემთხვევაში გამოსაცდელს ადგილზე გადაეცემოდა სერტიფიკატი.<br><br>* 23 მარტს, გამოცხადდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდა, რომლისთვისაც საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების მომზადება/დამტკიცება. ტესტები გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე. 23 მარტი-1 აპრილის ჩათვლით  პერიოდში, ონლაინ რეჟიმში განხორციელდა გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია. რეგისტრაციის დროს მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გამოცდის ჩაბარების ადგილად, სურვილისამებრ, შეერჩიათ თბილისის ან ქუთაისის საგამოცდო ცენტრი. 7-28 აპრილის ჩათვლით პერიოდში, სწავლების ცენტრმა, ცესკოსთან თანამშრომლობით, თბილისისა და ქუთაისის საგამოცდო ცენტრებში ჩაატარა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები.<br><br>* 20-29 ივლისის ჩათვლით პერიოდში, სწავლების ცენტრმა, ცესკოსთან თანამშრომლობით ჩაატარა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდა.<br><br>საგამოცდო პროცესი წარიმართა პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის დაცვით. | 100 % | არანაკლებ ერთი სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარებულია<br><br>სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავებულია | ჩატარდა ორი სასერტიფიკაციო გამოცდა"<br><br>7-28 აპრილის გამოცდის ჩაბარების მსურველთა  რაოდენობა ჯამში შეადგენდა 1 977-ს, მათ შორის 1 353 ქალი და 624 კაცი, აქედან:<br>* თბილისის საგამოცდო ცენტრში დარეგისტრირდა 1 410 მოქალაქე, მათ შორის, 973 (69%) ქალი და  437 (31%) კაცი;<br>* ქუთაისის საგამოცდო ცენტრში დარეგისტრირდა 567 მოქალაქე, მათ შორის, 380 (67%) ქალი და 187 (34%) კაცი<br><br>გამოცდაზე გამოცხადდა 951 მოქალაქე, სერტიფიცირება გაიარა 261-მა პირმა (ქალი - 171; კაცი - 90), მათ შორის:<br>* თბილისის საგამოცდო ცენტრში გამოცდაზე გამოცხადდა 672 მოქალაქე, სერტიფიცირება გაიარა 185 პირმა, მათ შორის ქალი - 126 (69%) და კაცი - 59 (31%)<br>* ქუთაისის საგამოცდო ცენტრში გამოცდაზე გამოცხადდა 279 მოქალაქე, სერტიფიცირება გაიარა 76-მა პირმა, მათ შორის ქალი - 45 (60%) და კაცი - 31 (40%)<br><br>20-29 ივლისის გამოცდის ჩაბარების მსურველთა რაოდენობა შეადგენდა 1 610-ს, გამოცდაზე გამოცხადდა 433 (27%) მოქალაქე, რომელთაგან სერტიფიცირება წარმატებით გაიარა 108 (25%) პირმა, მათ შორის 67(62%) ქალი და 41 (38%) კაცი | სწავლების ცენტრი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარატმენტი |

| N | საქმიანობა | საქმიანობის სტატუსი* | საქმიანობის აღწერა* | პროგრესი (%)* | საქმიანობის შესრულების ინდიკატორი | საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში | ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **3.1.3** | **ამოცანა** | საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გამარტივება ამომრჩევლებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეები გამოხატავენ კმაყოფილებას შეთავაზებული გამარტივებული სერვისების მიმართ<br><br>ჩართული მხარეებისთვის შეთავაზებული სერვისების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **3.1.3.1** | ელექტრონული რეგისტრაციების ახალი შესაძლებლობების შექმნა | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა ონლაინ რეგისტრაციის პროგრამის მუშაობის ანალიზი, რომლის შედეგად გამოიკვეთა რეგისტრაციის პროცედურებთან/პროცესებთან დაკავშირებული პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების საჭიროება. შეიქმნა პროგრამული კონცეფცია და პროგრამაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.<br><br>მომზადდა და წარედგინა არასაარჩევნო პერიოდში მედიაორგანიზაციების წარმომადგენელთა ონლაინ რეგისტრაციის/აკრედიტაციის მოდული, შესაბამისი ტექნიკური დავალება. თუმცა 2021 წელს კანდიდატების ონლაინ რეგისტრაციის პროგრამა და არასაარჩევნო პერიოდში მედიის წარმომადგენლებისთვის აკრედიტაციის ონლაინ რეგისტრაციის საპილოტე პროგრამა ვერ შეიქმნა. | 50 % | სამუშაო ჯგუფი შექმნილია<br><br>ტექნიკური დავალება მომზადებულია<br><br>კანდიდატების ონლაინ რეგისტრაციის პროგრამის კონცეფცია შექმნილია<br><br>არასაარჩევნო პერიოდში მედიის წარმომადგენლებისთვის აკრედიტაციის ონლაინ რეგისტრაციის საპილოტე პროგრამა შექმნილია<br><br>ელექტრონული რეგისტრაციების ახალი შესაძლებლობები<br>პროგრამის მომხმარებლების მიერ შეფასებულია და შედეგები ანგარიშში ასახულია | შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ცესკოს თავმჯდომარის 29 იანვრის №01-06 ბრძანებით<br><br>მომზადდა ტექნიკური დავალება<br><br>აღიწერა კანდიდატების, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა არასაარჩევნო პერიოდში რეგისტრაციასთან /აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცესები | ცესკოს სამუშაო ჯგუფი |
| **3.1.3.2** | ამომრჩეველთა სიების დამუშავება, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ანალიზის განხორციელება | განხორციელდა | საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-6 და 61-ე პუნქტების თანახმად, ცესკოს მიერ ამომრჩეველთა სიისა და ამ სიის მონაცემთა ელექტრონული ბაზის განახლების მიზნით, ამავე კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ყველა უწყებიდან (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს) 2021 წლის 1-ელი ნოემბრის მდგომარეობით მიღებულია განახლებული მონაცემები. ცესკოსთვის  გადმოცემული ამომრჩეველთა შესახებ მონაცემების საფუძველზე, განხორციელდა ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და ფაქტობრივი მისამართების ინტეგრირება ცესკოს მონაცემთა ბაზასთან, საჭირო ცვლილებების შეტანა, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა განაწილება და ფოტოსურათების დამუშავება.<br><br>მომზადდა ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილი და განთავსდა ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 31-ე მუხლის თანახმად ზემოაღნიშნული საქმიანობა სრულდება წელიწადში ოთხჯერ. | 100 % | შესაბამისი უწყებებიდან მიღებული მონაცემები დამუშავებულია<br><br>ანალიზი განხორციელებულია<br><br>სხვადასხვა სერვისების გამოყენებით ამომრჩეველთა სიები ხელმისაწვდომია<br><br>სსკ-ების მიერ მონაცემები გადამოწმებულია და ხარვეზები აღმოფხვრილია | დამუშავდა მიღებული მონაცემები<br><br>განხორციელდა მონაცემთა ანალიზი<br><br>განახლდა ამომრჩეველთა ერთიანი სია<br><br>სსკ-ების მიერ გადამოწმდა მონაცემები და აღმოიფხვრა ხარვეზები | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| **3.2.1** | **ამოცანა** | ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | მომხმარებელთა მიერ ელექტრონული სერვისები გამოყენებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **3.2.1.1** | ელექტრონული სერვისების განახლება | განხორციელდა | შეიქმნა საჩივრების წარდგენის ახალი ონლაინ სისტემა, რომელიც წარმატებით დაინერგა და ფუნქციონირებს სრული დატვირთვით.<br><br>სასამართლო განჩინებისთვის საჭირო ვებგვერდი განახლებულია. გაუმჯობესდა საიტის ვიზუალური მხარე და დაიხვეწა საიტისთვის განკუთვნილი ტექნოლოგიური საშუალებები. | 100 % | ელექტრონული სერვისები იდენტიფიცირებულია და საჭიროებისამებრ განახლებულია<br><br>სასამართლოს განჩინებისთვის საჭირო ვებგვერდი განახლებულია<br><br>ელექტრონული სერვისების მომხმარებელთა რაოდენობა | შეიქმნა საჩივრების წარდგენის ონლაინ სისტემა<br><br>გაუმჯობესდა სასამართლო განჩინებების ვებგვერდი<br><br>საჩივრების წარდგენის ონლაინ სისტემაში ამ ეტაპზე რეგისტრირებულია 145 მომხმარებელი | საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| **3.2.2** | **ამოცანა** | საინფორმაციო რესურსებისა და საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტიანად გამოყენება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | მომხმარებელთა კმაყოფილება გაზრდილია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **3.2.2.1** | საინფორმაციო სერვისების შეფასების შესაძლებლობის შექმნა | განხორციელდა | სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის საფუძველზე  განხორციელდა მომხმარებლების მიერ ცესკოს ოფიციალური ვებგვერდების შეფასება. კმაყოფილების კვლევა ხორციელდებოდა შემდეგ ვებგვერდებზე: www.cesko.ge; voters.cec.gov.ge; map.cec.gov.ge; results.cec.gov.ge; sachivrebi.cec.gov.ge. კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა თვლის რომ ცესკოს ვებგვერდებს აქვს მარტივი საძიებო სისტემა, მარტივია ინფორმაციის მოძიება და განთავსებული ინფორმაციაც უმეტეს შემთხვევაში საკმარისია მომხმარებლისთვის.<br><br>განხორციელდა მომხმარებლების მიერ სოციალურ ქსელ facebook-ში ცესკოს ოფიციალური გვერდის შეფასება და კონტაქტ ჰაბის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა.<br><br>განხორციელდა ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის იდენტიფიცირებული ტექნიკური პრობლემების ანალიზი. | 100 % | სამუშაო ჯგუფი შექმნილია<br><br>მოხმარებადი სერვისები იდენტიფიცირებული და შეფასებულია | შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ცესკოს თავმჯდომარის 29 იანვრის №01-06 ბრძანებით<br><br>მოხმარებადი სერვისები იდენტიფიცირებული და შეფასებულია<br><br>სამუშაო ჯგუფმა მოამზადა ანგარიში და წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარეს. ანგარიში ასევე განთავსებული შიდა დისკზე "Angarishebi" | ცესკოს სამუშაო ჯგუფი |

| 3.3. | მიზანი | საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.3.1. | ამოცანა | საარჩევნო სისტემის, საკანონმდებლო სიახლეების იმპლემენტაცია და საკანონმდებლო ჩარჩოს ერთგვაროვანი აღქმის ხელშეწყობა | | | | | |
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩართულ მხარეებთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებების ერთგვაროვნების პრაქტიკა არ სახელდება პრობლემად და გამოწვევად ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 3.3.1.1 | საკანონმდებლო საკითხებზე და საარჩევნო დავებზე შეხვედრის ჩატარება | განხორციელდა | ცესკოში გაიმართა სამუშაო შეხვედრები საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებთან. საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებს (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) ცესკოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ჩაუტარეს ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: საკანონმდებლო სიახლეები, სამართლებრივი წერა, საჩივრების რეესტრის ელექტრონული პროგრამა და საარჩევნო დავები.<br><br>11 სექტემბერს, ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა გამართეს დისტანციური საინფორმაციო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის დამკვირვებლად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები/საინიციატივო ჯგუფები) წარმომადგენლებთან.<br><br>საინფორმაციო შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საკანონმდებლო სიახლეები, კენჭისყრის დღის საჩივრის/განცხადების შედგენის საფუძველი და ტექნიკა, ასევე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. | 100 % | მასალები მომზადებულია<br><br>სსკ-ებთან და ჩართულ მხარეებთან შეხვედრები ჩატარებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | მომზადდა მასალები<br><br>სასწავლო პროგრამა გაიარა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 1 093 წევრმა, მათ შორის 700 (64%) ქალი და 393 (36%) კაცი<br><br>დისტანციურ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 14 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 31-მა და 17 საარჩევნო სუბიექტის 43-მა წარმომადგენელმა | იურიდიული დეპარტამენტი |
| 3.3.1.2 | დავების სახელმძღვანელოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტის განახლება შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებთან მიმართებაში ჩართულ მხარეებთან ერთად | განხორციელდა | საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შესული ცვლილებებიდან გამომდინარე განახლდა საარჩევნო დავებისა და დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტები განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე. | 100 % | სახელმძღვანელო განახლებულია<br><br>ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | განახლდა სახელმძღვანელო<br><br>ჩატარდა ორი შეხვედრა<br><br>მონაწილეთა რაოდენობა იხ. საქმიანობაში 3.3.1.1 | იურიდიული დეპარტამენტი |
| 3.3.1.3 | ცესკოს აპარატისა და სსკ-ების დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესაძლებლობების გაძლიერება | განხორციელდა | საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელმა გაიარეს ტრენინგი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული საარჩევნო დავები, დისციპლინური სახდელების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.<br><br>ასევე, ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიების იურისტებისთვის ჩატარდა ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიც არის საარჩევნო დავების წარმოება და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული სიახლეები. | 100 % | ინსტრუქცია განახლებულია<br><br>ტრენინგები ჩატარებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | განახლდა ინსტრუქცია<br><br>ტრენინგი ჩატარდა სამ ეტაპად.<br><br>ტრენინგს დაესწრო სსკ-ების 149 ხელმძღვანელი პირი და 70 იურისტი | იურიდიული დეპარტამენტი<br><br>სწავლების ცენტრი |
| 3.3.2 | ამოცანა | საარჩევნო პროცედურების გამარტივება და ტექნიკურ/პროცედურული საკანონმდებლო საკითხების დახვეწა | | | | | |
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი წინადადებები კანონმდებლობაში ასახულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 3.3.2.1 | ჩატარებული არჩევნების სამართლებრივი ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება | განხორციელდა | შესწავლილ იქნა 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების დროს სსკ-ების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები, რის საფუძველზეც ჩატარდა ამ აქტების ანალიზი და შესწავლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღწერა. აღნიშნულის საფუძველზე კი, მომდევნო კვარტალში დაიგეგმა ცესკოს თავმჯდომარის წერილის პროექტის მომზადება, რომლითაც სსკ-ებს გაეგზავნებათ სამომავლო რეკომენდაციები. ასევე მომზადდება საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესატანი ცვლილებები და საკანონმდებლო წინადადებები, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს. | 100 % | რეკომენდაციების მომზადება ცესკოსა და ოლქების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ანალიზი ჩატარებულია და რეკომენდაციები მომზადებულია<br><br>საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი მომზადებულია და პარლამენტისთვის წარდგენილია | სამართლებრივ აქტებს ჩაუტარდა ანალიზი და 17 საოლქო საარჩევნო კომისიას მიეწოდა რეკომენდაციები<br><br>საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი საქართველოს პარლამენტს წარედგინა ივნისის თვეში | იურიდიული დეპარტამენტი |
| 3.4 | მიზანი | საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა | | | | | |
| 3.4.1 | ამოცანა | ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა | | | | | |
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | შესაბამისი საარჩევნო ტექნოლოგიები იდენტიფიცირებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 3.4.1.1 | საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობის შესწავლა | განხორციელდა | ახალი საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების გამოსავლენად, საარჩევნო ადმინისტრაციამ შეისწავლა საერთაშორისო „კარგი პრაქტიკა“, გამართა სამუშაო შეხვედრები საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ სხვადასხვა კომპანიასთან. პროექტის განმახორციელებლად შეირჩა ნიდერლანდების სამეფოში რეგისტრირებული საარჩევნო ტექნოლოგიებისა და სერვისის გლობალური მიმწოდებელი კომპანია Smartmatic International B.V, რომელმაც პროექტი უსასყიდლოდ განახორციელა. საპილოტე პროექტის ფარგლებში, ხმის დათვლის ელექტრონული ტექნოლოგიებიდან შერჩეული იქნა, საარჩევნო უბნის ხმის მთვლელი ოპტიკური სკანერი (PCOS).<br><br>მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს, №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში შემავალ 31 საარჩევნო უბანზე, ცესკომ ელექტრონული აპარატების საშუალებით განახორციელა ხმის დათვლის საპილოტე პროექტი. ინფორმაცია პროექტის შესახებ იხილეთ მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების ანგარიშში. | 100 % | სამუშაო ჯგუფი შექმნილია<br><br>საერთაშორისო გამოცდილება შესწავლილია<br><br>შესაძლებლობები განხილულია | შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ცესკოს თავმჯდომარის 29 იანვრის №01-06 ბრძანებით<br><br>სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა 2 ქვეყნის, ყირგიზეთისა და სომხეთის გამოცდილება<br><br>მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს, №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში შემავალ 31 საარჩევნო უბანზე, ცესკომ ელექტრონული აპარატების საშუალებით განახორციელა ხმის დათვლის საპილოტე პროექტი | ცესკოს სამუშაო ჯგუფი |

| 3.4.2 | **ამოცანა** | ტექნოლოგიების გამოყენებით საარჩევნო პროცედურების გამარტივება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | დანერგილი ტექნოლოგიური ცვლილებები პოზიტიურად შეფასებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **3.4.2.1** | არჩევნების მართვის სისტემის "არმასი" გაუმჯობესება | განხორციელდა | საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, არმასში განხორციელდა ცვლილებები შესაბამის მოდულებში:<br>* გადაკეთდა მოდული „კონკურსანტები“: მონაცემებს დაედო შეზღუდვა გასული არჩევნების პარტიულ წევრებთან კვეთის შემთხვევაში. ხმის მიცემაში შეიცვალა გამსვლელ ქულათა რაოდენობა, ასევე, ასარჩევ პირთა რაოდენობა. შეიზღუდა იმ პირების გადაყვანა წევრად ვისაც სათანადო რაოდენობის ხმები არ ჰქონდა სისტემაში<br>* მოდულში „საერთაშორისო დამკვირვებლები“ დაემატა პიროვნებაზე ანკეტური მონაცემების გამოტანის ღილაკი, ასევე ხელით შეტანილ (გვარი, სახელი) არაქართულ მონაცემებზე რედაქტირების ფუნქცია<br>* მოდულში „პარტიული სიები“ ოლქის მხარეს დაემატა გენდერული სტატისტიკის დათვლის მექანიზმი<br>* მოდულში „საინიციატივო ჯგუფები“, არ ხდებოდა კანდიდატზე წარმდგენის მონაცემების შენახვა, როგორც ცესკოს, ასევე ოლქების მხარეს მოდულში „უბნის წევრები“-ს ქვემოდულს დაემატა ახალი ფუნქცია, კამერებზე ზედამხედველი პირის სტატისტიკის აღრიცხვისათვის<br>* მოდულის „უბნის წევრები“-ს ქვემოდულში შეიცვალა წევრთა რაოდენობები, როგორც პარტიების დანიშნულ, ისე ოლქის არჩეულ წევრებში. | 100 % | პროგრამაში შესატანი ცვლილებები იდენტიფიცირებულია<br><br>სისტემაში ახალი მოდულები შექმნილია<br><br>პროგრამა დანერგილია<br><br>მომხმარებლების მიერ პროგრამის ახალი მოდულების შეფასება ანგარიშში ასახულია | პროგრამაში შესატანი ცვლილებები იდენტიფიცირებულია<br><br>სისტემაში ახალი მოდულები შექმნის საჭიროება არ დამდგარა<br><br>ძირითადი ცვლილებები შეეხო 5 მოდულს | საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **4** | **სტრატეგიული პრიორიტეტი** | **ინკლუზიური საარჩევნო გარემო**<br>თანაბარი, ყველასათვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს განვითარება, საარჩევნო პროცესში ყველა მხარის ჩართულობის ხელშეწყობა | | | | | |
| **4.1** | **მიზანი** | საარჩევნო პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესება | | | | | |
| **4.1.1** | **ამოცანა** | საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობა ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფით | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **4.1.1.1** | საარჩევნო დოკუმენტაციის და სხვა საინფორმაციო მასალების თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე | განხორციელდა | მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციები, ამომრჩეველთა ერთიანი სია, ცესკოს ვებგვერდზე ბანერში „ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობებისთვის“ განთავსებული ინფორმაცია. ინფორმირების კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ფარგლებში მომზადებული საინფორმაციო ფლაერები.<br>საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნა განხორციელდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით. | 100% | სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საარჩევნო დოკუმენტაციისა და სხვა საინფორმაციო მასალების რაოდენობა<br>შესაბამისი დოკუმენტაცია/მასალები საარჩევნო უბნებზე განთავსებულია | სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნია 25 სახეობის მასალა<br>დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://cesko.ge/geo/list/3622/informatsia-etnikuri-umtsiresobebistvis-2021 | კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| **4.1.1.2** | ცესკოს საინფორმაციო ვიდეო რგოლების უზრუნველყოფა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე | განხორციელდა | ცესკოს მიერ საარჩევნო საკითხებზე დამზადებული 10 საინფორმაციო ვიდეორგოლი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ვიდეორგოლები განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში, ცენტრალური და რეგიონული ტელევიზიებისა და რადიოს ეთერში.<br>მასალები სომხურ ენაზე გავრცელდა ტელეკომპანიების „ფარვანა-ტვ“ და „ატვ-12“, ასევე რადიოს „ნორ“ და „ვრასტან-FM“ ეთერებში, ხოლო აზერბაიჯანულ ენაზე – ტელეკომპანიების „მარნეული-ტვ“, „ქვემო ქართლი“, „ბოლნელი ტვ“, „AG-TV”, „TV-4“, ასევე რადიოს „მარნეული“, „ბოლნელი“, „AG-FM“ ეთერებში. | 100 % | სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი ვიდეორგოლების რაოდენობა<br>ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ საინფორმაციო ვიდეო რგოლი მომზადებულია<br>გამოყენებული საინფორმაციო საშუალებების რაოდენობა | სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნია 10 ვიდეორგოლი<br>ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლი<br>მასალები გავრცელდა ტელეკომპანიებისა და რადიოს საშუალებით | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| **4.1.2** | **ამოცანა** | საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **4.1.2.1** | საარჩევნო უბნების აღჭურვის პროცესში შშმ პირების საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება | განხორციელდა | 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის უსინათლო ამომრჩევლების კენჭისყრაში მონაწილეობისთვის საუბნო საარჩევნო კომისიებში განთავსებული იყო საარჩევნო ბიულეტენის ჩარჩო/ფორმას.<br>სიახლეა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის ჩარჩო/ფორმას დაემატა სპეციალური აღმნიშვნელი წარწერით „მაჟორიტარული/მერი“ და „პროპორციული“, რომელიც დაეხმარება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს გაუწიოს სერვისი უსინათლო ამომრჩევლებს.<br>ჩარჩო/ფორმა უზრუნველყოფილი იყო ასევე N4 კრწანისის საარჩევნო ოლქში შემავალ უბნებზე ჩატარებული საპილოტე პროექტის ფარგლებში.<br>მცირედმხედველი პირებისთვის უზრუნველყოფილი იყო გამადიდებელი ლინზა, ხოლო ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ხმის მიცემის კაბინა.<br>საინფორმაციო პოსტერი განთავსებული იყო ყველა საარჩევნო უბანზე. | 100 % | უსინათლო პირებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ორი ცალი ჩარჩო/ფორმა ყველა საარჩევნო უბანზე განთავსებულია<br>მცირედმხედველი პირებისთვის ორი გამადიდებელი ლინზა ყველა საარჩევნო უბანზე განთავსებულია<br>საინფორმაციო პოსტერი ყველა საარჩევნო უბანზე განთავსებულია<br>ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ადაპტირებულ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა განთავსებულია | კენჭისყრაში მონაწილეობისთვის უზრუნველყოფილი იყო:<br>• უსინათლო პირებისთვის - ყველა საარჩევნო უბანზე ორი ცალი ჩარჩო/ფორმა;<br>• მცირედმხედველი პირებისთვის - ყველა საარჩევნო უბანზე ორი ცალი გამადიდებელი ლინზა;<br>• საინფორმაციო პოსტერი - ყველა საარჩევნო უბანზე;<br>• ეტლით მოსარგებლე პირებისთვის 1 123 უბანზე ხმის მიცემის კაბინა. | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| **4.1.2.2** | ცესკოს საინფორმაციო ვიდეო რგოლები შშმ პირებისთვის (მათ შორის მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის) მისაწვდომობის უზრუნველყოფა | განხორციელდა | ცესკოს ყველა საინფორმაციო ვიდეორგოლი მისაწვდომი იყო შშმ პირებისთვის. ასევე მომზადდა ვიდეორგოლი შშმ პირებისთვის მისაწვდომი სერვისების შესახებ. | 100 % | ცესკოს საინფორმაციო ვიდეო რგოლები მისაწვდომია შშმ პირებისთვის<br>შშმ პირებისთვის მისაწვდომი სერვისების შესახებ ვიდეო რგოლი დამზადებულია<br>რგოლების რაოდენობა | ცესკოს მიერ მომზადებული 13 საინფორმაციო ვიდეორგოლი მისაწვდომი იყო შშმ პირებისთვის<br>მომზადდა ვიდეორგოლი შშმ პირებისთვის მისაწვდომი სერვისების შესახებ | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br>კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **4.1.2.3** | საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების გადამზადება შშმ ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ | განხორციელდა | შშმ ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის საკითხების სწავლება განხორციელდა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ჩატარებული ინსტრუქტაჟის ეტაპზე, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის – ტრენინგის I, II, III, IV და V ეტაპებზე.<br>საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: საკანონმდებლო სიახლე, კერძოდ ადაპტირებული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა შეყვანის საკითხი; ინფორმაცია მათთვის შეთავაზებული სერვისების შესახებ, კერძოდ გამადიდებელი ლინზა, საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა, კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი და ადაპტირებული უბნების შემთხვევაში სპეციალური კაბინა. | 100% | საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სატრენინგო მოდულებში საკითხები შშმ პირთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ გათვალისწინებულია<br><br>საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის შშმ ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ ტრენინგები ჩატარებულია<br><br>ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა | შემუშავდა სასწავლო მასალა, დისტანციური ელექტრონული პროგრამა/პრეზენტაცია, რომლებშიც გათვალისწინებულია შშმ პირთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის საკითხები<br><br>ჩატარდა ინსტრუქტაჟი და ტრენინგების 5 ეტაპი<br><br>პროგრამა გაიარა:<br>* 73 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა<br>* 3 664 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა | სწავლების ცენტრი<br><br>კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი |
| **4.1.2.4** | დაინტერესებული პირებისთვის შშმ პირთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესახებ სასწავლო ელექტრონული პროგრამის განახლება | განხორციელდა | საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა განახორციელა სსკ-ების წვრებისა და ცესკოს თანამშრომლების მიერ სასწავლო ელექტრონული პროგრამით სარგებლობის მონიტორინგი.<br><br>გარდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა პროგრამის გამოყენებით სასწავლო კურსი გაიარა სსკ-ების 128 წევრმა და ცესკოს 23-მა თანამშრომელმა. | 100 % | შშმ პირთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ ინსტრუქცია განახლებულია<br><br>პროგრამის ტესტები მომზადებულია<br><br>პროგრამის მომხმარებელთა რაოდენობა | განახლდა ინსტრუქცია<br><br>მომზადდა სასწავლო ელექტრონული პროგრამის ტესტები<br><br>პროგრამაში დარეგისტრირდა 1 388 პირი, აქედან 534 (39%) ქალი, 854 (61%) კაცი. ტესტირება წარმატებით გაიარა 1 149 პირმა, აქედან ქალი - 426 (37%) ქალი და 723 (63%) კაცი | კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი |
| **4.1.2.5** | საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ონლაინ შეხვედრების ორგანიზება შშმ პირებთან | განხორციელდა | სწავლების ცენრთან თანამშრომლობით გაიმართა ორი დისტანციური შეხვედრა ყრუ და უსინათლო ამომრჩეველებთან, კერძოდ:<br><br>24 სექტემბერს, გაიმართა დისტანციური შეხვედრა საქართველოს ყრუთა კავშირის წარმომადგენლებთან, ასევე ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებთან. სწავლების ცენტრის წარმომადგენელმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: კენჭისყრის დღის პროცედურები და მათთვის მისაწვდომი სერვისები, არჩევნებში ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო მონაწილეობისთვის მიღებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში დაგეგმილი საპილოტე პროექტი.<br><br>27 სექტემბერს, გაიმართა დისტანციური შეხვედრა საქართველოს უსინათლოთა კავშირის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. სწავლების ცენტრის წარმომადგენელმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: კენჭისყრის დღის პროცედურები, კერძოდ საუბნო კომისიის წევრების ფუნქციები, საარჩევნო უბნებზე დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, №4 კრწანისის ოლქში დაგეგმილი საპილოტე პროექტი, საარჩევნო ბიულეტენის ფორმა და ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა, რომლის საშუალებით უსინათლო ამომრჩეველს ეძლევა კენჭისყრაში დამოუკიდებლად მონაწილეობის საშუალება. | 100 % | არანაკლებ ერთი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარებულია<br>(ყრუ და სმენადაქვეითებული, უსინათლო, ფიზიკური შეზღუდვის მქონე, მხარდაჭერის მიმღებ პირები)<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | ჩატარდა ორი დისტანციური შეხვედრა:<br><br>24 სექტემბერი - შეხვედრას დაესწრო საქართველოს ყრუთა კავშირის 10-მდე წარმომადგენელი<br><br>27 სექტემბერი - შეხვედრას დაესწრო საქართველოს უსინათლოთა კავშირის თბილისისა და რეგიონების 15 ფილიალის 40-მდე წარმომადგენელი | კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი |
| **4.1.2.6** | ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო წინადადების მომზადება/ინიცირება | განხორციელდა | მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის არჩევნებში მონაწილეობის დროებით წესს. ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველს ექნება ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ფარგლებში ნებისმიერ ადაპტირებულ უბანზე მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. | 100 % | საკანომდებლო წინადადება მომზადებული და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია | საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია საქართველოს პარლამენტში | იურიდიული დეპარტამენტი<br><br>კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი |
| **4.2** | **მიზანი** | თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა | | | | | |
| **4.2.1** | **ამოცანა** | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **4.2.1.1** | გენდერული პორტალის განვითარება | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების I და II ტურის შემდეგ გენდერულ პორტალზე აიტვირთა ინფორმაცია ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლების, რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების, არჩეული მერებისა და საკრებულოების წევრების, დამკვირვებელის ორგანიზაციების, მედიის აკრედიტირებული წარმომადგენლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ. ასევე, შემუშავდა და პორტალზე აიტვირთა გაერთიანებული ინფორმაცია I და II ტურის შედეგების შესახებ.<br><br>სხვადასხვა წლებში ჩატარებული არჩევნებში მონაწილე კანდიდატების სტატისტიკური ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტიდან, რომელიც საანგარიშო პერიოდში არ იქნა წარმოდგენილი. | 85 % | არჩევნების მიხედვით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლების გენდერული სტატისტიკა ასაკობრივ ჭრილში პორტალზე განთავსებულია<br><br>სხვადასხვა წლებში ჩატარებული არჩევნებში მონაწილე კანდიდატების სტატისტიკური ინფორმაცია მოძიებული/დამუშავებული და პორტალზე განთავსებულია | ცესკოს ვებგვერდზე წინა საანგარიშო პერიოდში განთავსდა ინფორმაცია ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლების შესახებ გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში, არჩევნების მიხედვით https://cesko.ge/res/docs/2%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98.pdf<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი სხვადასხვა წლებში ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე კანდიდატების სტატისტიკური ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში არ იქნა წარმოდგენილი | კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |

| 4.2.2 | **ამოცანა** | საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისების მიზნით გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| **4.2.2.1** | ქალთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა პასიური საარჩევნო უფლების განსახორციელებლად | განხორციელდა | 2 სექტემბერს, დისტანციურად განხორციელდა საინფორმაციო-სასწავლო კურსი „ქალთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა პასიური საარჩევნო უფლების განსახორციელებლად“. კურსის მსმენელები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: გენდერული თანასწორობა არჩევნებში, ძირითადი საკანონმდებლო სიახლეები მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებთან მიმართებით, საკრებულოს წევრობის/მერობის კანდიდატის რეგისტრაციის წესი და ვადა, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის უფლებრივი მდგომარეობა (კომუნიკაცია საარჩევნო კომისიებთან, კენჭისყრის დღე, საარჩევნო დავები), სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო პროცესში, კიბერშევიწროვების პრევენცია, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა უფლებრივი მდგომარეობა. | 100 % | სამიზნე ჯგუფი იდენტიფიცირებულია და შესაბამისი ტრენინგები ჩატარებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | ჩატარდა ორი სატრენინგო სესია;<br><br>ტრენინგი გაიარა 12 საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილმა 29 ქალმა | სწავლების ცენტრი<br><br>კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი |

| 5 | სტრატეგიული პრიორიტეტი | მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება<br><br>მართვის ეფექტიანობის ზრდისა და ინსტიტუციური სრულყოფის შედეგად არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის სათანადო ხარისხის სერვისების მიწოდება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.1 | მიზანი | მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება | | | | | |
| 5.1.1 | ამოცანა | მართვის ხარისხის სტანდარტის (ISO) განვითარება | | | | | |
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | მართვის ხარისხის სტანდარტის (ISO) შენარჩუნებულია და საკონტროლო აუდიტი წარმატებით გავლილია | | | | | |
| N | საქმიანობა | საქმიანობის სტატუსი* | საქმიანობის აღწერა* | პროგრესი (%)* | საქმიანობის შესრულების ინდიკატორი | საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში | ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი |
| 5.1.1.1 | ხარისხის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტების განახლება | განხორციელდა | ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სისტემის შემუშავების და დანერგვის საკოორდინაციო საბჭოს მიერ ჩატარდა ცესკოს აპარატის მენეჯმენტის ანალიზი. ანალიზის მომზადებისთვის განახლდა ხარისხის მართვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც დართულია მენეჯმენტის 2020 წლის ანალიზის დოკუმენტზე. კერძოდ: KPI ბიზნეს პროცესების აღმნიშვნელი PD დოკუმენტი, გარე პროვაიდერების SWAT ანალიზის დოკუმენტი, შიდა აუდიტის 2021 წლის გეგმა, შიდა და გარე დოკუმენტების ჩამონათვალი, ჩართული მხარეების მიერ კმაყოფილების განმსაზღვრელი დოკუმენტები, შედგა შეუსაბამობის ოქმები და განხორციელდა მაკორექტირებელი ქმედებები. შემუშავდა ხარისხის განვითარების 2021 წლის სტრატეგიული გეგმა, რომელიც დისტანციურად დამტკიცდა საბჭოს ონლაინ სხდომაზე.<br><br>2021 წლის 17 ივნისს, განხორციელდა ხარისხის სისტემების შიდა აუდიტი, ხოლო 2021 წლის 22-23 ივნისს განხორციელდა გარე მეორე საკონტროლო აუდიტი. ორივე ტიპის აუდიტი წარმატებით იქნა განხორციელებული. ადგილი არ ჰქონია შეუსაბამო გადახრებს, რის საფუძველზეც ცესკოს მიენიჭა განახლებული სერტიფიკატი. | 100 % | ხარისხის მართვის სისტემის შემუშავების და დანერგვის საკოორდინაციო საბჭოს გამართული შეხვედრების რაოდენობა<br><br>განახლებული დოკუმენტები შეთანხმებული და საბჭოს მიერ დამტკიცებულია | გაიმართა ერთი დისტანციური შეხვედრა. ონლაინ კორესპონდენცია განხორციელდა 10-ჯერ<br><br>განახლდა ყველა შესაბამისი დოკუმენტი, დამტკიცდა საბჭოს მიერ<br><br>ცესკოს მიენიჭა განახლებული სერტიფიკატი | ხარისხის მართვის სისტემის შემუშავების და დანერგვის საკოორდინაციო საბჭო |
| 5.1.2 | ამოცანა | რისკებისა და კრიზისების მართვის შესაძლებლობების განვითარება | | | | | |
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | რისკები იდენტიფიცირებულია და კრიზისების მართვის მექანიზმები შემუშავებულია | | | | | |
| N | საქმიანობა | საქმიანობის სტატუსი* | საქმიანობის აღწერა* | პროგრესი (%)* | საქმიანობის შესრულების ინდიკატორი | საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში | ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი |
| 5.1.2.1 | რისკების მართვის დოკუმენტის განახლება | განხორციელდა | 2021 წელს განხორციელებული ცესკოს აპარატში სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, განახლდა რისკების მართვის დოკუმენტი და ის მოყვანილ იქნა შესაბამისობაში განხორციელებულ ცვლილებებთან. | 100 % | რისკების მართვის დოკუმენტი განახლებულია | განახლდა რისკების მართვის დოკუმენტი | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |
| 5.1.3 | ამოცანა | ელექტრონული ინსტრუმენტების საშუალებით მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება | | | | | |
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | ელექტრონული შესაძლებლობები შექმნილი და დანერგილია | | | | | |
| N | საქმიანობა | საქმიანობის სტატუსი* | საქმიანობის აღწერა* | პროგრესი (%)* | საქმიანობის შესრულების ინდიკატორი | საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში | ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი |
| 5.1.3.1 | დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შემუშავება | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | საანგარიშო პერიოდში დაგეგმვისა და ანგარიშგების პროგრამის პილოტირების პროცესში ჩაერთვნენ რეგისტრირებული მომხმარებლები. მათ მიერ, დეპარტამენტის წარმომადგენელთა საკონსულტაციო მხარდაჭერით, მოხდა II კვარტლის პროგრეს ანგარიშების გენერირება და მონაცემების შეყვანა.<br><br>დეპარტამენტის მიერ პროგრამაში აიტვირთა I კვარტლის კონსოლიდირებული პროგრეს ანგარიში.<br><br>საარჩევნო ადმინისტრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების გამო, დეპარტამენტის თანამშრომლებმა პროგრამაში ატვირთეს სამომედო გეგმის განაახლებული ვერსია.<br><br>განხორციელებულ სამუშაო პროცესში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ეცნობა საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს. | 30 % | პროგრამის პილოტირება განხორციელებულია | პილოტირების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების სრულად აღმოფხვრა ვერ მოხერხდა, შესაბამისად  საანგარიშო პერიოდში პროგრამის სრულფასოვნად ამოქმედება ვერ მოხერხდა და გადაიდო მომავალი წლისთვის | კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 5.1.4 | ამოცანა | **ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება** | | | | | |
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | ინსტიტუციური ეფექტიანობის ხელშემწყობი მექანიზმები გაუმჯობესებულია | | | | | |
| N | საქმიანობა | საქმიანობის სტატუსი* | საქმიანობის აღწერა* | პროგრესი (%)* | საქმიანობის შესრულების ინდიკატორი | საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში | ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი |
| 5.1.4.1 | საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის გეგმის შემუშავება | განხორციელდა | შემუშავდა საოლქო საარჩევნო კომისიების 2021 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით. | 100 % | გეგმა შემუშავებულია და ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულია | გეგმა დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის 2021 წლის 16 თებერვლის № 01-11 ბრძანებით | საარჩევნო პროცესების მართვისა და საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| 5.1.4.2 | არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | მიმდინარეობს არჩევნების ხარჯების შესახებ ინფორმაციის დამუშავება სტანდარტის შესაბამისად და ცესკოს ვებგვერდზე ატვირთვა. ვინაიდან ზოგიერთ საარჩევნო ოლქში გაიმართა არჩევნების II ტური, სსკ-ების მიერ ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილ იქნა დეკემბრის ბოლოს. შესაბამისად განხორციელდება არჩევნების ხარჯების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და გამოქვეყნება განხორციელდება 2022 წლის იანვარში. | 95 % | სტანდარტის მიხედვით ანგარიშები მომზადებულია | სტანდარტის მიხედვით ანგარიშები მომზადება და პორტალებზე ატვირთვა დასრულდება 2022 წლის იანვარში | საფინანსო დეპარტამენტი |
| 5.1.4.3 | საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციის შიდა აუდიტის განხორციელება | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | ჩატარდა ოთხი საოლქო საარჩევნო კომისიის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის დასრულების შემდეგ შიდა აუდიტორული ანგარიშები გადაეგზავნა აუდიტის ობიექტებს - საოლქო საარჩევნო კომისიებს.<br><br>ცესკოს სტრუქტურულ ერთეულებში შიდა აუდიტორული შემოწმება არ ჩატარებულა. | 80 % | შიდა აუდიტორული შემოწმება არანაკლებ 2 სტრუქტურულ ერთეულში და არანაკლებ 5 სსკ-ში ჩატარებულია<br><br>შესაბამისი რეკომენდაციები მომზადებული და წარდგენილია | 4 საოლქო საარჩევნო კომისიის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი ჩატარებულია, ხოლო სტრუქტურულ ერთეულებში არ ჩატარებულა<br><br>მომზადდა ანგარიში და მიეწოდა აუდიტის ობიექტებს | იურიდიული დეპარტამენტი |
| 5.1.4.4 | შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი | არ განხორციელდა | 2019 წელს რეკომენდაციები არ მომზადებულა, შესაბამისად, აღნიშნული წლის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი არ განხორციელებულა | 0 % | 2019 წელს მომზადებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი ჩატარებულია | | იურიდიული დეპარტამენტი |

| 5.2 | მიზანი | ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5.2.1 | ამოცანა | თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა | | | | |
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | პროფესიული განვითარების მექანიზმების რაოდენობა | | | | |

| N | საქმიანობა | საქმიანობის სტატუსი* | საქმიანობის აღწერა* | პროგრესი (%)* | საქმიანობის შესრულების ინდიკატორი | საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში | ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **5.2.1.1** | საარჩევნო ადმინისტრაციაში ახლად დანიშნული/არჩეული თანამშრომლებისთვის საორიენტაციო სასწავლო კურსის განხორციელება | განხორციელდა | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია საორიენტაციო სასწავლო კურსს საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი თანამშრომლებისთვის.<br><br>საორიენტაციო სასწავლო კურსის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: შრომითი ურთიერთობები; სსკ-ების კომპეტენცია და რეგლამენტით განსაზღვრული მუშაობის წესი (ზოგადი მიმოხილვა), შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ სამართლებრივი საკითხები და არჩევნების მართვის სისტემის გამოყენება.<br><br>ცესკოს მდივნის აპარატმა „საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის“ (eDocument) სწავლების ფარგლებში ახლად დანიშნულ თანამშრომლებისთვის შექმნა სისტემის მომხმარებელი, უზრუნველყო სათანადო დაშვებები, ჩაატარა პროგრამის მოხმარების თეორიული და პრაქტიკული კურსები. | 100 % | საორიენტაციო სასწავლო კურსის მონაწილეთა იდენტიფიცირება განხორციელებულია<br><br>სასწავლო კურსი "შრომითი ურთიერთობები" ჩატარებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა<br><br>"არჩევნების მიმოხილვა - ზოგადი სასწავლო კურსი" ჩატარებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სასწავლო კურსი "საქმისწარმოების წესისა და საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) მუშაობის წესები" ჩატარებულია | განხორციელდა საორიენტაციო სასწავლო კურსის მონაწილეთა იდენტიფიცირება<br><br>ჩატარდა სასწავლო კურსები შემდეგ საკითხებზე: "შრომითი ურთიერთობები", ,,არჩევნების მიმოხილვა - ზოგადი სასწავლო კურსი", საქმისწარმოების წესისა და საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) მუშაობის წესები"<br><br>სასწავლო კურსი გაიარა 43-მა ახალმა თანამშრომელმა, აქედან 3 აგვისტოს სასწავლო კურსი გაიარა 17-მა მონაწილემ, 5 სექტემბერს 18-მა, ხოლო 10 სექტემბერს რვა მონაწილემ | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი<br><br>სწავლების ცენტრი<br><br>ცესკოს მდივნის აპარატი |
| **5.2.1.2** | საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები - "პოტენციური საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის" | განხორციელდა | 2021 წლის 31 მაისი-12 ივნისის ჩათვლით პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა 64 მუნიციპალიტეტში განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის“. პროგრამის მიზანი იყო – სამოქალაქო საარჩევნო ცნობიერების ამაღლება და საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური პოტენციური საკადრო რესურსის გამოვლენა/განვითარება.<br><br>პროფილური სასწავლო პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: დემოკრატიული საარჩევნო პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები (მათ შორის, ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი); საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები (ეთიკის კოდექსი); საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მიმოხილვა (საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი); საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში; საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ ფუნქციების შესრულება და ხმის მიცემის პროცედურა; კენჭისყრის მიმდინარეობისას პროცედურული რისკების იდენტიფიცირება და რეაგირება; ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა; საარჩევნო უბნის დახურვა; საარჩევნო ბიულეტენების დათვლა, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა და საჯაროობა; კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები.<br><br>ტრენინგები ჩატარდა კომბინირებული მეთოდოლოგიით, მათ შორის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გასაღრმავებლად მონაწილეების ჩართულობით განხორციელდა ეპიზოდური ინსცენირებები (საარჩევნო ყუთის გახსნა და საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება/ დათვალა/დალუქვა; კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენა).<br><br>პროექტში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია გაიარეს სსკ-ებში. სასწავლო კურსი განახორციელეს სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა ტრენერებმა, მათ შორის, პროექტში სსკ-ების წევრებმა.<br><br>საინფორმაციო-სასწავლო პროექტი პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის დაცვით წარიმართა. | 100 % | საქმიანობის კონცეფცია და სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>გადამზადებული ტრენერების რაოდენობა<br><br>მუნიციპალიტეტების რაოდენობა მონაწილეთა რაოდენობა | მომზადდა საქმიანობის კონცეფცია და სასწავლო მასალა<br><br>გადამზადდა საარჩევნო ადმინისტრაციის 148 ტრენერი<br><br>პროექტი 64 მუნიციპალიტეტში განხორციელდა<br><br>პროექტში მონაწილეობა მიიღო<br>11 889 მოქალაქემ, აქედან სერტიფიკატი მიიღო 10 707-მა მონაწილემ, მათ შორის 8 718(82%) იყო ქალი და 1 989(18%) კაცი | სწავლების ცენტრი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| **5.2.1.3** | სსკ-ების წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ჩატარება | განხორციელდა | სსკ-ების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე:<br>• არჩევნების მართვის სისტემა „არმასი“-ს გამოყენება - საარჩევნო რეგისტრაციებთან დაკავშირებით საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებებისა და არჩევნების მართვის სისტემა „არმასი“-ს მოხმარების შესახებ ჩაუტარდათ ტრენინგი სსკ-ების ხელმძღვანელ პირებს;<br>• ფინანსური მენეჯმენტი - ტრენინგი გაიარეს, როგორც სსკ-ების თავმჯდომარეებმა, ისე ბუღალტრებმა. ტრენინგის თემა იყო ფინანსური აღრიცხვა და ბიუჯეტირება. | 100 % | არჩევნების მართვის სისტემა "არმასი"-ს გამოყენების შესახებ ტრენინგი ჩატარებულია<br><br>საქმისწარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების ტრენინგი ჩატარებულია<br><br>სამართლებრივ წერაში ტრენინგი ჩატარებულია<br><br>ფინანსურ მენეჯმენტში ტრენინგი ჩატარებულია | ჩატარდა ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენელთათვის არჩევნების მართვის სისტემა "არმასი"-ს გამოყენების, საქმისწარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების, სამართლებრივ წერის და ფინანსური მენეჯმენტის შესახებ | საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br><br>სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტი<br><br>იურიდიული დეპარტამენტი<br><br>საფინანსო დეპარტამენტი |
| **5.2.1.4** | ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის ჩატარება და გადამზადების გეგმის მომზადება | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | ცესკოს თანამშრომელთა გადამზადების გეგმის შესაბამისად და ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის ორგანიზებით ივლისში, ამომრჩეველთა სიების ფორმირების განყოფილების შვიდმა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი თემაზე ,,Querying Dara with Transact-SQL“. ტრენინგის შედეგად მონაწილეებს გაუუმჯობესდათ მონაცემთა და სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. | 80 % | ტრენინგების წლიური გეგმა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულია<br><br>ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა<br><br>გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა | დამტკიცდა ტრენინგების გეგმა ცესკოს თავმჯდომარის 2021 წლის 17 თებერვლის N01-13 ბრძანებით<br><br>ჩატარდა ერთი ტრენინგი, მონაწილეობა მიიღო შვიდმა თანამშრომელმა | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |
| **5.2.1.5** | მენტორინგის განხორციელება | განხორციელდა | განხორციელდა იმ პოტენციური შეგირდების იდენტიფიცირება რომელთა შესაძლებლობების განვითარება შესაძლებელი იქნებოდა ამ სტრუქტურულ ერთეულში არსებული უფრო მეტი გამოცდილების მქონე პირების მიერ. განისაზღვრა 4 მენტორი, რომლებიც წლის განმავლობაში ახორციელებდნენ შეგირდების მენტორინგს და ცოდნის/გამოცდილების გაზიარების გზით, უზრუნველყოფდნენ შეგირდების შესაძლებლობების განვითარებას, მენტორინგის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები მომზადებულია შესაბამისი მენტორების მიერ. | 100 % | შერჩეული მენტორების რაოდენობა<br><br>პერსონალის რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ მენტორინგი<br><br>მენტორინგის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში მომზადებულია | ცესკოს თავმჯდომარის 2021 წლის 16 თებერვლის N01-12 ბრძანებით შეირჩა 4 მენტორი<br><br>მენტორინგი ჩაუტარდა 4 შეგირდს<br><br>მომზადდა ანგარიშები მენტორინგის მიმდინარეობის შესახებ | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |

| 5.2.2 | ამოცანა | ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება და წახალისება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | კვალიფიციური ადამიანური კაპიტალი შენარჩუნებულია, წახალისების მექანიზმები დანერგილია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 5.2.2.1 | საგანმანათლებლო პროგრამების (საარჩევნო განვითარების სკოლა, ადმინისტრატორის კურსები) დასაქმების ანალიზის განხორციელება | განხორციელდა | დეპარტამენტმა შეისწავლა 2020-2021 წლებში საგანმანათლებლო პროგრამების (საარჩევნო განვითარების სკოლა, ადმინისტრატორის კურსები) კურსდამთავრებულების საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმების საკითხი. | 100 % | 2020-2021 წლებში საგანმანათლებლო პროგრამების (საარჩევნო განვითარების სკოლა, ადმინისტრატორის კურსები) კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების ანალიზი განხორციელებულია | განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმების ანალიზი და გამოვლინდა, რომ რომ 2021 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებზე საარჩევნო უბნეზე დასაქმებული პირებიდან საარჩევნო განვითარების სკოლა გავლილი ჰქონდა - 255, ახალგაზრდული ბანაკები - 37, ადმინისტრატორის კურსები - 13 296 პირს | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| 5.2.2.2 | თანამშრომელთა კმაყოფილებისა და მოტივაციის ანონიმური კვლევის ჩატარება | არ დაწყებულა | პანდემიიდან გამომდინარე თანამშრომელთა დისტანციურ რეჟიმზე იანვარ-თებერვლის თვეში ყოფნის გამო, თანამშრომელთა კმაყოფილებისა და მოტივაციის კვლევა არ ჩატარებულა. პირველ კვარტალში დაწყებული რეორგანიზაციის პროცესის გამო კვლევის ჩატარება შეჩერდა. კვლევა დაიგეგმება და განხორციელდება თანამშრომელთა სამუშაოზე სრულად გამოცხადების შემდეგ. | 0 % | კმაყოფილებისა და მოტივაციის ანონიმური კვლევა ცესკოს თანამშრომელთა<br>არანაკლებ 70%-ის მონაწილეობით ჩატარებულია<br><br>კვლევის შედეგების ანალიზი განხორციელებულია<br><br>შესაბამისი რეკომენდაციები მომზადებულია და ცესკოს ხელმძღვანელებისთვის წარდგენილია | | ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი |
| 5.2.2.3 | კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების ეფექტური მექანიზმის დანერგვა | განხორციელდა | ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის იმპლემენტაციის მიზნით, მზადდება ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული გეგმა, რომლის საფუძველზე დაინერგება ცესკოს აპარატში კვალიფიციური კადრების მოზიდვის საჭირო მექანიზმები, ასევე განხორციელდება სხვადასხვა აქტივობები.<br><br>დაინერგა თანამშრომელთა არამატერიალური წახალისება და ცესკოს აპარატში ერთ თანამშრომელს ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით, დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების სანიმუშოდ შესრულებისტვის გამოეცხადა მადლობა და გადაეცა მადლობის სიგელი. | 100 % | იდენტიფიცირებულია ცესკოს აპარატში არსებული პოზიციები, სადაც არსებობს კვალიფიციური კადრების მოზიდვის საჭიროება<br><br>ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე მორგებული რეკრუტირების მოდელის შემუშავება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება<br><br>არამატერიალური წახალისების ფორმების შემუშავება/დანერგვა | ცესკოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის 2021 წლის 18 ივნისის №01-116 ბრძანებით<br><br>არამატერიალური წახალისების ფორმა დანერგილია, მადლობა გამოეცხადა ცესკოს აპარატის ერთ თანამშრომელს | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |
| 5.2.3 | ამოცანა | ორგანიზაციული ეთიკისა და კორპორატიული კულტურის განმტკიცება | | | | | |
| | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | ორგანიზაციული ეთიკის და კორპორატიული კულტურის განსამტკიცებლად განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 5.2.3.1 | სოციალური აქციების ორგანიზება | განხორციელდა | საანგარიშო პერიოდში, საახალწლოდ განხორციელდა  სოციალური აქცია მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი და მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად, როგორც თბილისში, ისე ზოგიერთი რეგიონში.<br>სოციალური აქციისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში, მოხდა იდენტიფიცირებული 36 ოჯახისთვის ე.წ. სასაჩუქრე ნობათების შესყიდვა და გადაცემა. აქციაში ასევე, ჩაერთულნი იყვნენ ის სსკ-ები, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ აქციის ბენეფიციარი ოჯახები. | 100 % | სოციალური აქციები ორგანიზებულია<br><br>აქციების რაოდენობა | სულ განხორციელდა 2 სოციალური აქცია, სააღდგომო და საახალწლო, რომელთა ფარგლებშიც დახმარება გაეწია ჯამში 48 მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ და მრავალშვილიან ოჯახს | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |

| საქმიანობის სტატუსი* | პროგრესი (%)* | საქმიანობის აღწერა* |
|---|---|---|
| **სტატუსი** | **პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი**<br><br>**პროცენტი გამოითვლება ინდიკატორის მთლიანი (წლიური) მაჩვენებლიდან.** | აღწერილობითი ინფორმაცია პირველ გრაფაში მითითებული საქმიანობის შესახებ რომელმაც უნდა ახსნას, თუ რა ნაბიჯები იქნა გადადგმული და რა იგეგმება სამომავლოდ, მათ შორის განხორციელების თარიღის, განმახორციელებელი პირების, რისკების, პრობლემის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 250.<br>აღწერილობითმა ნაწილმა უნდა განმარტოს, თუ რატომ მოხდა კონკრეტული სტატუსისა და პროცენტული მაჩვენებლის მინიჭება. გრაფა ივსება ანგარიშგებაზე პასუხისმგებლის მიერ. |
| **არ დაწყებულა** | 0% | |
| **არ განხორციელდა** | 0% | |
| **მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა** | 1%-50% | |
| **მიმდინარე - მეტწილად შესრულდა** | 51%-99% | |
| **განხორციელდა** | 100% | |
| **განხორციელდა დაგვიანებით** | 100% | |
| **გაუქმებულია** | 0%-99% | |
| **შეჩერებულია** | 0%-99% | |